

ა	უდიტი
ა	ღრიცხვა
ფ	ინანსები
i	ინფო კონსულტანტი

კლუს

დამოუკიდებელი გამოცემა

იკითხეთ „ააფის“ ფურცლებზე –


თემურ იობაშვილი: შეერთებულმა შტატებმა რუსულ ენერგოგიგანტებს სანქციები დაუწესა

ჟურნალის პარტნიორი –



გამომცემელი შპს „ააფ-მენეჯმენტი“

PUBLISHER "AAF-MANAGEMENT" LTD



შ ი ნ ა ა რ ს ი

მარიამ აფრასიძე

საგადასახადო და საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეები: ოქტომბერი-2025 3

გიორგი ცერცვაძე

მსს ფასს 2015-ის კომენტარები: მე-13 განყოფილება „მარაგები“ (დასასრული) 7

მაკა ხარაზიშვილი

ინტერვიუ „თავისუფალი უნივერსიტეტის“ ლექტორ ლია ნადიბაიძესთან 14

მაკა ხარაზიშვილი

რა ღირს ანაბარი საქართველოს კომერციულ ბანკებში და რამდენად დაცულია ჩვენი ფული 21

თემურ იობაშვილი

შეერთებულმა შტატებმა რუსულ ენერგოგიგანტებს სანქციები დაუწესა 24

ქეთო გოგონია

„ყვეთელი ცხელება“ – მსოფლიოს და საქართველოს ოქროს ღირებულებამ თავგზა აუბნია 28

კითხვა-პასუხი

35

შრომის ბირჟა ფინანსისტებისათვის

44

ფრიდონ კერვალიშვილი

ყველაზე ხანგრძლივი Shut Down-ის გავლენა ამერიკის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე 46

უცხოური ვალუტის კურსები

51

გენერალური დირექტორი: ფრიდონ ალშიბაია.

მთავარი რედაქტორი: გიორგი ცერცვაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ სარედაქციო კოლეგია: თემურ იობაშვილი (მთ. რედაქტორის მოადგილე), მარიამ აფრასიძე, ფრიდონ კერვალიშვილი (ელექტრონული ვერსიის რედაქტორი).

„კითხვა-პასუხის“ განხილვის საბჭო: ფრიდონ ალშიბაია (საბჭოს თავმჯდომარე), ლევან ასანიძე, ნონა ბერძენიშვილი, ბექა დოლონაძე, ნიკოლოზ ედიბერიძე, ნათია უჩანეიშვილი, გოგა ფარასტაშვილი, ფარნაოზ ნულაია.

იურისტ-კონსულტანტი: გიორგი ბოჭორიშვილი.

გამომცემელი: შპს „აფ-მენეჯმენტი“, რეგისტრირებულია 06.09.1999 წ. საიდენტიფიკაციო კოდი 211390074. ა/ა № GE59PC0133400100000050 „პროკრედიტ ბანკში“, ბ/კოდი MIBGGE22.

მისამართი: ქ. თბილისი, 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, III და IV სართული.

ტელ.: 239-33-50, 239-33-47, 239-33-69, 239-57-26.

სარეკლამო სამსახური: (599) 111-001. რეალიზაციის სამსახური: (593) 32-27-05, (597) 69-57-57.

ელ. ფოსტა: info@aaf.ge

ვებგვერდი: www.aaf.ge

„ამგვარად, შევახსენებ ყველა ვაჭარს და ვურჩევ მას, ჩათვალოს სიამოვნებად წიგნების სწორი და კარგი წარმოება, ხოლო ვისაც არ აქვს ამის უნარი, მან, დაე, ისწავლოს, ანდა აიყვანოს თავისთვის ნამდვილად ყოჩაღი და პრაქტიკული ახალგაზრდა ბუღალტერი, ვინაიდან სხვაგვარად შენი საქმენი იქცევიან ქაოსად და ბაბილონის გოდოლად, რასაც შენ, თუ სახელი და ქონება შენთვის ძვირფასია, უნდა უფროთხოდე“.

ბენედეტო კოტრული, „სავაჭრო ბუღალტერიის შესახებ“. 1573 წ.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ და „ბიზნესი და მენეჯმენტის“

მკითხველთა საყურადღებოდ!

მიმდინარეობს ჩვენი ჟურნალების 2025 წლის გამოწერის კამპანია!

**12 თვით ხელმოწერის (12 „ააფი“ + 2 „ბიზნესმენი“)
ღირებულებაა 120 ლარი.**

თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ მითითებულ რეკვიზიტებზე და შემდეგ დაუკავშირდეთ ჩვენს მენეჯერს, რომელიც მოგაწვდით ინვოისსა და გამოწერის დამადასტურებელ ბლანკს.

ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია:

შპს „ააფ-მენეჯმენტი“, საიდენტიფიკაციო № 211390074,

ა/ა № GE59PC0133400100000050 „პროკრედიტ ბანკში“, ბ/კოდი MIBGGE22.

**დაგვირეკეთ: 239-33-47 (რეალიზაციის სამსახური თბილისში);
(593) 32-27-05; (597) 69-57-57; (599) 11-10-01; (599) 13-72-19.**

27-10-93, (595) 55-87-83 (ბათუმი); (579) 31-02-02 (ქუთაისი)

რეალიზაციის სამსახური: ელზა ოთიაშვილი (სამს. უფროსი), მამუკა ელგენდარაშვილი, ნათელა ჯანიაშვილი, ბაქარ ბასილაშვილი (ბათუმი), ბექა დოლონაძე (ქუთაისი).

დამკაბადონებელი: **ლადო ლომსაძე.**

საავტორო უფლებები დაცულია. სტატიების გადაბეჭდვა შესაძლებელია მხოლოდ ჟურნალის რედაქციასთან შეთანხმებით. მიღებული მასალები არ რეცენზირდება. რედაქცია შეიძლება არ ეთანხმებოდეს ავტორის აზრს. სტატიებსა და რეკლამებს განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები და რეკლამის განმთავსებლები.

იურიდიული პირების განცხადებები ქვეყნდება მხოლოდ სარეკლამო საწყისებზე. ჟურნალის უფასოდ გადაცემა ხდება მხოლოდ სარეკლამო მიზნით. შპს „ააფ-მენეჯმენტი“ იტოვებს უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ, არ გამოაქვეყნოს ზოგიერთი პირის რეკლამები ან/და განცხადებები.

ფასი – 8.75 ლარი.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.11.2025 წ.

ჟურნალის ტირაჟის ნაწილი 2022 წლიდან ვრცელდება ციფრული ვერსიის სახით (ელექტრონულად).

საკანონმდებლო სიასლექსის მიმოხილვა

საკანონმდებლო სიასლექსის მიმოხილვა – ამ რუბრიკას, რომლის დანიშნულება სახელწოდებიდანაც გასაგებია, ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი მარიამ აფრასიძე წარმოგიდგენთ.

საგადასახადო და საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიასლექსები: ოქტომბერი-2025

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შემთავნილი ცვლილებები

– ფინანსთა მინისტრის მიერ 08.10.2025-ში მიღებული №262 ბრძანებით ცვლილება შევიდა „ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ ბრძანებაში.

შედეგად, ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან სანქციის თანხის დაბრუნების მიზნით წარდგენილი „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნაზე“ უარის თქმის საფუძველია ასევე, თუ გადასახადის გადამხდელი არ გაეცნო საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილ ხარვეზს ან უარი განაცხადა მის მიღებაზე, და ამასთან, ხარვეზის დადგენის შესახებ წერილის გაგზავნის თარიღიდან გასულია 30 კალენდარული დღე.

– 23.10.2025-ში მიღებული №277 ბრძანებით კი, ცვლილება შევიდა „ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ ბრძანებაში.

შედეგად განახლდა გადასახადის გადამხდელისთვის ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების საფუძველები.

ბრძანების 13⁴ მუხლის 1² პუნქტს დაემატა ახალი „ი“ ქვეპუნქტი, რომლითაც განისაზღვრა გადასახადის გადამხდელისთვის, მოთხოვნის შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით, ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ახალი შემთხვევა. კერძოდ, ეს ქვეპუნქტი განიხილავს ისეთ შემთხვევას, როდესაც გადასახადის გადამხდელს აქვს რამდენიმე საბანკო ანგარიში და ადგილი აქვს ამ საბანკო ანგარიშებიდან გადასახადის ან სანქციის (მათ შორის, საბაჟო სანქციის) თანხების განსაზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით ჩამოწერას საგადასახადო ორგანოს ერთი და იგივე საინკასო დავალებით.

ამ შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელს მხოლოდ მოთხოვნის საფუძველზე, ამავე ბრძანებით განსაზღვრული დამატებითი დოკუმენტების წარდგენის

გარეშე, შეუძლია მიმართოს საგადასახადო ორგანოს ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან სანქციის თანხის დაბრუნების შესახებ.

ცვლილება „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონში

– პარლამენტის მიერ 29.10.2025-ში მიღებული №1015-IVმს-XIმპ კანონით ცვლილება შევიდა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონში, რომლის მიხედვით, საჯარო მოსამსახურეს (გარდა საქართველოს პრეზიდენტისა, პარლამენტის წევრისა და საქართველოს მთავრობის წევრისა) არ აქვს უფლება, ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს (გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური, შემოქმედებითი საქმიანობებისა ან საქართველოს თავდაცვის ძალების რეზერვში საქმიანობისა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში დასაქმებული პირის მიერ სამედიცინო ან საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ან საავიაციო სფეროს სახელმწიფო ან სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოში განხორციელებული საქმიანობისა, აგრეთვე საზღვარგარეთ საერთაშორისო ორგანიზაციაში არსებულ თანამდებობაზე საქმიანობისა, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო პარტნიორობის ან/და სამშვიდობო ოპერაციის მიზნების შესასრულებლად, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საპენსიო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის შემთხვევაში – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საპენსიო ფონდის მმართველობითი საბჭოს წევრის საქმიანობისა).

ასევე, საჯარო მოსამსახურეს (გარდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისა და პოლიტიკური თანამდებობის პირისა) უფლება აქვს, ახორციელებდეს ანაზღაურებად სამეცნიერო, პედაგოგიურ, შემოქმედებით საქმიანობას მხოლოდ შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ან კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის თუ ორგანოს მიერ კონკრეტული საქმიანობის შესაბამისი ვადით, მაგრამ ერთჯერადად, არაუმეტეს 1 წლით გაცემული წერილობითი თანხმობის საფუძველზე, ხოლო „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით

გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობის დაკავება მას შეუძლია მხოლოდ შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ან კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ კონკრეტული საქმიანობის შესაბამისი ვადით გაცემული წერილობითი თანხმობის საფუძველზე. თანხმობების გაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება 10 დღის ვადაში და ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

საჯარო მოსამსახურეს არ აქვს უფლება, ეკავოს სხვა თანამდებობა რომელიმე საჯარო დაწესებულებაში (გარდა საქართველოს თავდაცვის ძალების რეზერვისა, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საპენსიო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის შემთხვევაში საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საპენსიო ფონდის მმართველობითი საბჭოს წევრის თანამდებობისა), მმართველობითი/სათათბირო ფუნქციის შესასრულებლად შექმნილ კომისიაში ან საბჭოში (გარდა არაანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელების შემთხვევისა) ან კერძო სამართლის იურიდიულ პირში, ან იყოს ნებისმიერი ღონის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, ან ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს ან ეკავოს რაიმე თანამდებობა სხვა ქვეყნის ორგანოში ან დაწესებულებაში, გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

– – 28.10.2025 წ. გამოიცა და 2025 წლის 1 ნოემბრიდან ამოქმედდა საქართველოს მთავრობის №482 დადგენილება „იმ საქმიანობების/ფუნქციების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განმახორციელებელ/შემსრულებელ პირებსაც უფლება აქვთ, შეთავსებით შეასრულონ ანაზღაურებადი სამუშაო საჯარო სამსახურში, აგრეთვე იმავე დაწესებულებაში ან/და სხვა საჯარო დაწესებულებებში“. ამ დადგენილებით განისაზღვრა „საჯარო სამსახურში, აგრეთვე იმავე დაწესებულებაში ან/და საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა რელიგიური და წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა), სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში, იმ საწარმოში, რომლის აქციათა ან წილის 50%-ს ან მეტს ფლობს/ფლობენ სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები ან ამ საწარმოს შვილობილ საწარმოში (შემდგომში – საჯარო დაწესებულებები) „ის საქმიანობები/ფუნქციები, რომელთა განმახორციელებელ / შემსრულებელ პირებსაც უფლება აქვთ, შეთავსებით შეასრულონ ანაზღაურებადი სამუშაო საჯარო დაწესებულებებში“, თანდართული სახით“. დადგენილების მე-2 და მე-3 მუხლების თანახმად:

„მუხლი 2.

შეთავსებით ანაზღაურებადი სამუშაო დასაშვებია:

ა) მხოლოდ ამ დადგენილებით განსაზღვრული

საქმიანობების/ ფუნქციების განხორციელებისას, საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული იმ პირების მიერ, რომელთა შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება საქართველოს შრომის კანონმდებლობით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თავისებურებების გათვალისწინებით (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი);

ბ) საჯარო დაწესებულების მიერ უცხოურ ორგანიზაციასთან გაფორმებული სასესიო ან/და სავრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროგრამის შესაბამისად, იმავე ან/და სხვა საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირების მიერ, რომლებიც საქმიანობენ შესაბამისი პროგრამის ფარგლებში;

გ) საარჩევნო პერიოდში, საარჩევნო ადმინისტრაციის სისტემაში (საარჩევნო კომისიები, ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატი, უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატი, საოლქო საარჩევნო კომისიები) დამხმარე და ტექნიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირებისთვის.

მუხლი 3.

შეთავსებით ანაზღაურებადი სამუშაო ამ დადგენილებით გათვალისწინებული საქმიანობების/ ფუნქციების განმახორციელებელი/ შემსრულებელი პირების მიერ დასაშვებია დაწესებულების ხელმძღვანელის ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ კონკრეტული სამუშაოს შესაბამისი ვადით, მაგრამ ერთჯერადად, არაუმეტეს 1 წლით გაცემული წერილობითი თანხმობის საფუძველზე“.

ცვლილება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციებში“

– ფინანსთა მინისტრის მიერ 20.10.2025-ში მიღებული №274 ბრძანების საფუძველზე ცვლილებები განხორციელდა „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციებში“.

„გარანტიის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №4) პირველი მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტს დაემატა „ი“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად საბაჟო კოდექსის 55-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებითა და საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების გარდა, გარანტია ასევე არ წარედგინება ნავთობის გადამუშავების ლიცენზიისა და წლიურად არანაკლებ 1 მილიონი ტონის გადამუშავების სიმძლავრის მქონე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მფლობელის მიერ:

– ნავთობის ან/და ნედლი ნავთობის მიმართ შიდა გადამამუშავების პროცედურის გამოყენებისას;

– ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე

დისტრიბუციის შერევის (კომპაუნდირების) მიზნითა და გადამუშავებული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის პირობით შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებისას.

დაკორექტირდა „საქონლის დროებით შენახვის შესახებ“ ინსტრუქცია (დანართი №6), რომლის მიხედვითაც დროებით შენახვის დეკლარაცია უნდა წარედგინოს საზღვაო გზით შემოტანილი, სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით გადაადგილებული საქონლის შემთხვევაში – საქონლის სატრანსპორტო საშუალებიდან ჩამოტვირთვიდან, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საჭიერო ტრანსპორტით შემოტანილი, საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილი აეროპორტის მომიჯნავე საბაჟო საწყობში განთავსებული საქონლის შემთხვევაში – ზოგადი დეკლარირებიდან, ხოლო სხვა შემთხვევაში – საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების შეტანიდან, არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, გარდა ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

გათვალისწინებული წესი ვრცელდება ასევე ნავთობის გადამუშავების ლიცენზიისა და წლიურად არანაკლებ 1 მილიონი ტონის გადამუშავების სიმძლავრის მქონე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მფლობელის მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი ნავთობის, ნედლი ნავთობის ან/და ნავთობპროდუქტების საბაჟო საწყობში განთავსებაზე. ამასთან, ასეთი საქონლის საბაჟო საწყობში განთავსებისას დეკლარანტი ვალდებულია, საქონლის დროებით შენახვის დეკლარაციის შევსებამდე უზრუნველყოს საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვერული კომპანიის აქტის შედგენა და საბაჟო ორგანოსთვის წარდგენა.

ასევე დაკორექტირდა „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №12) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურის გამოყენებისას იმპორტის გადასახდელი გადაიხდება, საქონლის გაშვებიდან არაუგვიანეს 45 კალენდარული დღისა:

– „ოქროს სიის“ მონაწილის კუთვნილ, სეს ესნ-ის 1001 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ ხორბალზე.

– ნავთობის გადამუშავების ლიცენზიისა და წლიურად არანაკლებ 1 მილიონი ტონის გადამუშავების სიმძლავრის მქონე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მფლობელის კუთვნილ, სეს ესნ-ის 2709, 2710 12 110 00, 2710 12 150 00, 2710 12 900 00, 2710 19 110 00, 2710 19 150 00, 2710 19 310 00, 2710 19 350 00, 2710 19 510 00, 2710 19 550 00, 2710 19 620 00, 2710 19 660 00, 2710 19 670 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებით გათვალისწინებულ საქონელზე.

სსპა ცვლილებები

– 31.10.2025-ში მიღებული მთავრობის №484 დადგენილების საფუძველზე, ცვლილება განხორციელდა „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ ამავე პირის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში, რომელიც ამოქმედდება 2026 წლის 1 თებერვლიდან.

შედეგად, 24-ე მუხლის შემდეგ დაემატა 24¹ მუხლი – **მშენებლობის შეტყობინების თაობაზე განცხადების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების წესი.**

ამ წესის მიხედვით, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ვალდებულია, მშენებლობის შეტყობინებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების განხორციელებისას გამოიყენოს მხოლოდ პროგრამული უზრუნველყოფისა და მართვის ავტომატური საშუალებები. ასევე, მშენებლობის შეტყობინებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სტადიაზე ელექტრონული განცხადების წარდგენა დაადასტუროს ამ განცხადების ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციითა და მისთვის სარეგისტრაციო ნომრის მინიჭებით.

წარდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია ავტომატურად აისახება საკადასტრო რუკაზე, უძრავ ნივთზე (საკადასტრო ერთეულზე) იდენტიფიცირებული სახით და საჯაროდ ქვეყნდება.

– 20.10.2025-ში მიღებული მთავრობის №464 დადგენილებით ცვლილება შევიდა „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ამავე პირის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში.

დებულების მე-8 მუხლს დამატებული მე-12 და მე-13 პუნქტების მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ შესწავლა-მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზიის მოქმედების ვადის ფარგლებში, სასარგებლო წიაღისეულის შესწავლისათვის გამოყოფილი ვადა ჯამურად არ აღემატება 10 წელს, საინვესტიციო წინადადებების არსებობისას (არანაკლებ თავდაპირველად განსაზღვრული ინვესტიციის იმ მოცულობისა, რომელიც ვერ განხორციელდა), მოქალაქეთა დასაქმების ვალდებულების აღებისა და შემოთავაზებული ინვესტიციის მოცულობის არანაკლებ 10%-ის საბანკო გარანტიის წარმოდგენის პირობით (რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნეს ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანიდან ერთი თვის ვადაში და მისი მოქმედების ვადა არანაკლებ 4 თვით უნდა აღემატებოდეს საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას), ლიცენზიის მფლობელის დასაბუთებული მომართვის საფუძველზე, ლიცენზიის გამცემის ინიცირებისა და სამინისტროს წარდგინებით, შესწავლის ვადის დამატებით განსაზღვრაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. ასეთ შემთხვევაში ლიცენზიის

მფლობელი ლიცენზიის გამცემს მიმართავს არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრისა. ამასთან, დამატებითი ვადის განსაზღვრისას სასარგებლო წიაღისეულის შესწავლისათვის ჯამურად გამოყოფილი ვადა არ უნდა აღემატებოდეს ამ დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადას (10 წელს).

ამ შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

– დასაბუთებულ მიმართვასთან ერთად, ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს შესწავლისათვის გამოყოფილი განვლილი პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შესაბამისად განხორციელებული ინვესტიციის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი აუდიტორის/ აუდიტორული ფირმის მიერ დადასტურებული დასკვნა და შესწავლისათვის დამატებით მოთხოვნილი ვადის განმავლობაში შესასრულებელი სამუშაოების დეტალური გეგმა-გრაფიკი;

– ლიცენზიაში ცვლილების შეტანამდე 10 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს „სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2025 წლის 7 ივლისის №12 ბრძანებით დამტკიცებული

დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი. ამასთანავე, ლიცენზიის გამცემის ინიცირების საფუძველზე, სამინისტროს წარდგინებითა და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, შეიძლება, დადგინდეს განსხვავებული გადასახდელი თანხა;

– შესწავლისთვის განსაზღვრული დამატებითი ვადის გასვლიდან ორი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი აუდიტორის/ აუდიტორული ფირმის დასკვნა, რომელიც დაადასტურებს დამატებით განსაზღვრულ ვადაში შესაბამისი ინვესტიციის განხორციელებას.

იხილეთ ასევე:

– 31.10.2025-ის მთავრობის №488 დადგენილება, „არქიტექტორებისა და ინჟინერ-მშენებლების სერტიფიცირების წესის შესახებ“ ამავე პირის 2024 წლის 10 აპრილის №134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

– 31.10.2025-ის მთავრობის №492 დადგენილება, „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 12 თებერვლის №56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მარია ამფრასიძე

17 არასამთავრობო ორგანიზაციას სახელმწიფო 1.65 მლნ ლარის გრანტს მისცემს

სსიპ სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტო 17 არასამთავრობო ორგანიზაციაზე 100 000 ლარამდე ოდენობის გრანტებს გასცემს.

უწყების ინფორმაციით, სააგენტოს მიერ გამოცხადებული მცირე გრანტების საჯარო კონკურსი დასრულდა და საგრანტო განაცხადების განმხილველმა საბჭომ გამარჯვებული სამოქალაქო ინიციატივები გამოავლინა.

გამარჯვებული სამოქალაქო ინიციატივების საერთო ბიუჯეტი 1,657,775 ლარს შეადგენს.

სსიპ სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტო „ქართულმა ოცნებამ“ NGO-ების ბიუჯეტიდან დაფინანსების მიზნით, მიმდინარე წლის თებერვალში შექმნა.

უწყების მიერ გავრცელებულ პრესრელიზში ვკითხულობთ:

„სამოქალაქო ინიციატივები შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებს მოიცავს:

- შრომა, ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა;
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა;
- სპორტის განვითარება;
- განათლება, მეცნიერება და ახალგაზრდობა;
- რეგიონული განვითარება და ადგილობრივი თვითმმართველობა;
- შერიგება და სამოქალაქო თანასწორობა;
- დემოკრატიული ინსტიტუტები, კარგი მმართველობა და ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები.

სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტოს დებულების თანახმად, სააგენტოს საქმიანობის მიზანია სახელმწიფო გრანტის გაცემის გზით საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერა და ხელშეწყობა“.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის წლევანდელი ბიუჯეტი 20 მლნ ლარია.

სააგენტოს ჩამოყალიბების პარალელურად, მაშინ ერთპარტიულმა პარლამენტმა ცვლილება შეიტანა „გრანტების შესახებ“ კანონში, რომლითაც უცხოური დონორებისგან გრანტის მიღებას მთავრობის ან მთავრობის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის თანხმობა სჭირდება. გაზაფხულიდან ქვეყანაში აკრძალული გრანტის მიღება გრანტის მიმღების დაჯარიმებას იწვევს, აღნიშნული გრანტის ორმაგი ოდენობით.

რუბრიკის სპონსორი -



სპეციალისტის კომენტარი

სპეციალისტის კომენტარი - ამ რუბრიკით ჩვენს ჟურნალში ქვეყნდება პრაქტიკოსი სპეციალისტების კომენტარები სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებისა და სხვადასხვა სახელების შესახებ. ჟურნალში გაუკეთდება კომენტარები როგორც ახლად გამოქვეყნებულ ნორმატიულ დოკუმენტებს, ასევე ადრე მიღებულ იმ კანონებსა და დებულებებს, რომლებიც დღეს აქტუალურია.

რუბრიკას უძღვება შპს აუდიტური კონცერნი „ბოლნისა“-ს გენერალური დირექტორი, „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ მთავარი რედაქტორი, ფინიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვიორგი ცერცვაძე.

მსს ფასს 2015-ის კომენტარები: მმ-13 განყოფილება „მარაგები“

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ააფი“, №9(309), 2025 წ.)

მარაგების თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდები: ნორმატიული დანახარჯების, საცალო ფასებისა და ბოლო შესყიდვის ფასის მეთოდები

„13.16. მარაგის თვითღირებულების დასადგენად საწარმოს შეუძლია ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორცაა ნორმატიული დანახარჯებისა და საცალო ფასების მეთოდი, ან ბოლო შესყიდვის ფასი, თუ შედეგი მიახლოებით უტოლდება თვითღირებულებას. ნორმატიული დანახარჯების მეთოდის დროს მხედველობაში მიიღება ნედლეულისა და მასალების ხარჯვის, საშუალო ძალის გამოყენების, მწარმოებლურობისა და საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების ნორმატიული დონეები. ეს ნორმატივები რეგულარულად უნდა გადაისინჯოს და, საჭიროების შემთხვევაში, შეიცვალოს თანამედროვე პირობების გათვალისწინებით. საცალო ფასების მეთოდის დროს, მარაგის თვითღირებულება განისაზღვრება მარაგის გასაყიდი ფასის მიხედვით, რომელსაც აკლდება საერთო მოგებისათვის დადგენილი გარკვეული პროცენტის შესაბამისი თანხა (მარჟა)“.

ჩვენ განვიხილეთ, თუ როგორ ხდება მსს ფასს-ის მიხედვით მარაგების თვითღირებულების გაანგარიშება (კალკულაცია), ანუ, რა სახის დანახარჯები უნდა მიეკუთვნოს შექმნის, წარმოების, მომსახურების თვითღირებულებას და რა სახის – მიმდინარე პერიოდის ხარჯებს. თუ საწარმოს ბუღალტერი სწორად ახდენს ხარჯების მიკუთვნებას სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულებაზე და შემდგომ ამ ხარჯების სწორად გადანაწილებას წარმოებული ან შექმნილი პროდუქციის სახეობებზე, მაშინ მივიღებთ იდეალურ სურათს, როდესაც საწარმომ ზუსტად იცის თითოეული ნაწარმის (საქონლის) თვითღირებულება. რა

თქმა უნდა, საწარმოები უნდა ისწრაფოდნენ აღრიცხვის სიზუსტისაკენ, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ზოგჯერ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების დიდი სიზუსტით გამოანგარიშება სერიოზულ დროით და შრომით დანახარჯებს მოითხოვს, განსაკუთრებით მსხვილ, მრავალპროფილიან წარმოებებში. ამ დროს სასარგებლო ინფორმაცია შეიძლება მიიღწეოდეს უფრო ნაკლები სიზუსტითაც, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვითღირებულების გამოთვლის სიზუსტის ამაღლება გარკვეული დონის შემდეგ შეიძლება აღარ იწვევდეს მიღებული ინფორმაციის სარგებლიანობის ადეკვატურ ამაღლებას. ვავიხსენოთ, რომ მსს ფასს-ის 2.13 მუხლის თანახმად, „ინფორმაციით მიღებული სარგებელი უნდა აღემატებოდეს მისი მომზადებისთვის საჭირო დანახარჯებს. სარგებლისა და დანახარჯების შეფასება, ძირითადად, მსჯელობის საფუძველზე ხდება“ (ე.წ. სარგებლიანობასა და დანახარჯებს შორის თანაფარდობის პრინციპი). ამიტომ ზოგ შემთხვევაში დასაშვებია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში მოხდეს მიახლოებითი მეთოდებით, რომლებიც არსებითად არ ცვლიან აღრიცხვა-ანგარიშგების მონაცემთა საიმედოობას, რასაკვირველია იმ პირობით, თუ კი ეს მიახლოებითი მეთოდები თავის მხრივ სწორად იქნება გამოყენებული.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საწარმოს უფლება აქვს, შეაფასოს მარაგების თვითღირებულება ნორმატიული დანახარჯების მეთოდის, საცალო მეთოდის ან ბოლო შესყიდვის ფასის მეთოდის გამოყენებით იმ პირობით, რომ ამ მეთოდებით დათვლილი მარაგების თვითღირებულება დაახლოებით ტოლი იქნება მსს ფასს-ის 13.5–13.15 მუხლების გათვალისწინებით გამოთვლილი თვითღირებულებისა.

მსს ფასს-ის ზემოაღნიშნული 13.16 მუხლის მიხედვით, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების მიახლოებით გამოსაანგარიშებლად,

როდესაც არ ხერხდება ან მიიჩნევა არამიზანშეწონილად (სირთულის გამო) მათი ზუსტი კალკულაცია, შეიძლება გამოყენებული იქნეს სამი მიახლოებითი მეთოდი:

- ნორმატიული დანახარჯების მეთოდი;
- საცალო ფასების მეთოდი;
- ბოლო შესყიდვის მეთოდი.

ნორმატიული დანახარჯების მეთოდის არსი მდგომარეობს შემდეგში: პროდუქციის მოძრაობა აღირიცხება არაფაქტობრივი თვითღირებულებით არამედ სათანადო ეკონომიკური გათვლების შედეგად წინასწარ შეფასებული ნორმატიული თვითღირებულებით. ეკონომიკური გათვლების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამა თუ იმ პროდუქციის საწარმოებლად საჭირო ნედლეულისა და მასალების ხარჯვის, საწარმოო სიმძლავრეების გამოყენებისა და შრომითი დანახარჯების ნორმატიული მაჩვენებლები და მათი ფასები. რა თქმა უნდა, ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფის ან ხარისხისადმი მოთხოვნის გაზრდის გამო, აგრეთვე სხვა მიზეზების გამოც (მაგალითად, მუშახელის შრომის გაძვირება) შეიძლება შეიცვალოს როგორც ნედლეულისა და მასალების, ასევე საწარმოო სიმძლავრეებისა და სამუშაო ძალის გამოყენების ნორმატიული დონეები (როგორც რაოდენობრივად, ასევე თანხობრივად). ამიტომ დადგენილი ნორმები რეგულარულად (მინიმუმ წელიწადში ორჯერ, სასურველია ყოველთვიურად) უნდა იქნეს გადასინჯული და დაზუსტებული, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გადახრა ფაქტობრივ და ნორმატიულ თვითღირებულებას შორის შეიძლება საკმაოდ დიდი აღმოჩნდეს, რაც არასასურველია. პირიქით შემთხვევაში, თუ ნორმების გადასინჯვა რეგულარულად ხდება, წლის მანძილზე დაგროვილი გადახრა ფაქტობრივ და ნორმატიულ თვითღირებულებას შორის, როგორც წესი, წარმოების მასშტაბთან შედარებით უმნიშვნელოა. წლის ბოლოს აღნიშნული გადახრის სიდიდე მიეკუთვნება, იმისდა მიხედვით, ფაქტობრივი თვითღირებულება მეტია თუ ნაკლები ნორმატიულზე და აგრეთვე იმის მიხედვით, წარმოებული პროდუქცია რეალიზებულია თუ არა, ან საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშს, ან სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირებას.

მაგალითი 11. საწარმომ წლის მანძილზე აწარმოვა 1000 ერთეული პროდუქცია, რომლის ჯამური ნორმატიული თვითღირებულებაა 15000 ლარი. წლის ბოლოს გაირკვა, რომ ამ პროდუქციის ფაქტობრივმა თვითღირებულებამ შეადგინა: ა) 15100 ლარი; ბ) 14900 ლარი.

ამ შემთხვევაში გადახრა 100 ლარი უნდა მიეკუთვნოს:

- 1) თუ პროდუქცია არ არის რეალიზებული, სასაქონლო-მატერიალური მარაგის ანგარიშს, ანუ: (ა) შემთხვევაში ის უნდა დაემატოს; ან, (ბ) შემთხვევაში უნდა დააკლდეს შესაბამისი

პროდუქციის ნაშთის ღირებულებას;

2) (ა) შემთხვევაში საანგარიშო წლის ზარალს ან (ბ) შემთხვევაში მოგებას (რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების მუხლის დაკორექტირების გზით), თუ პროდუქცია რეალიზებულია;

3) თუ ნაწილი პროდუქციის რეალიზებულია, ხოლო ნაწილი - არა, გადახრის სიდიდე უნდა განაწილდეს პროპორციის წესის მიხედვით სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირებასა და საანგარიშო წლის მოგება-ზარალს შორის. მაგალითად, (ბ) შემთხვევაში, თუ გაყიდული იყო 750 ერთეული პროდუქცია, ხოლო დანარჩენი 250 ირიცხებოდა ნაშთად, მაშინ 75 ლარი მიეკუთვნება მოგებას (რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების მუხლის დაკორექტირების გზით), ხოლო 25 ლარით შემცირდება პროდუქციის ნაშთის თვითღირებულება.

საცალო ფასების მეთოდი ძირითადად გამოიყენება საცალო ვაჭრობაში. საცალო ვაჭრობის ობიექტებისათვის შესყიდული საქონლის ასორტიმენტი, როგორც წესი, ძალიან მრავალფეროვანი და ამასთან სწრაფად ცვალბადია, ამიტომ ფაქტობრივი თვითღირებულების გამოანგარიშება თითოეული გაყიდვის (გახარჯვის) დროს შრომატევადია და არაეფექტიანი. ამავე დროს საცალო ვაჭრობის დამახასიათებელი თავისებურებაა, რომ ისინი საქონელს (სასაქონლო ჯგუფებს) ყიდიან, უმეტეს შემთხვევებში, ძირითადად ერთი და იგივე რენტაბელობით ანუ ფასნამატით (ე.წ. „მარჟა“ - სხვაობა საქონლის გასაყიდ ფასსა და თვითღირებულებას შორის). ეს საშუალებას გვაძლევს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულების დასადგენად, რომელიც უნდა აისახოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში (ბალანსში), მათი თვითღირებულება გამოვთვალოთ შემდეგნაირად: შესყიდული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულებას აკლდება რეალიზებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება, რომელიც თავის მხრივ განისაზღვრება მათი გასაყიდი ფასიდან რენტაბელობის (ფასნამატის) საშუალო პროცენტის შესაბამისი თანხის გამოკლებით.

მაგალითი 12. საცალო ვაჭრობის უნივერსალმა წლის მანძილზე შეიძინა 480000 ლარის საქონელი (წლის დასაწყისში საქონლის ნაშთი არ ჰქონია). საშუალო ფასნამატი შეადგენს 25%-ს. წლის ნავაჭრმა შეადგინა 500000 ლარი (სიმარტივისათვის დღგ-ს უგულებელგყოფთ), წლის ბოლოს დარჩენილია საქონლის ნაშთი. ამ შემთხვევაში გაყიდული სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება, განსაზღვრული საცალო ფასების მეთოდით, ტოლი იქნება 500000/1.25=400000 ლარის. შესაბამისად, წლის ბოლოს გაუყიდავად

დარჩენილი საქონლის ნაშთის თვითღირებულება იქნება 480000-400000=80000 ლარი.

იმ შემთხვევაში, თუ საცალო ვაჭრობის ობიექტი სისტემატურად იყენებს რენტაბელობის ანუ ფასნამატის სხვადასხვა პროცენტს და საშუალო პროცენტის განსაზღვრა შეუძლებელია, მაშინ საცალო ფასების მეთოდის არსი იგივე რჩება, მხოლოდ იცვლება (რთულდება) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვრის ფორმულა, რომელიც იღებს შემდეგ სახეს (ყველა რიცხვი ამ ფორმულაში აიღება ღღ-ის გარეშე):

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება = ამონაგები ნავაჭრიდან*(საქონლის საწყისი ნაშთი + შეძენილი საქონლის თვითღირებულება)/(საქონლის საწყისი ნაშთის გასაყიდი ფასი + შეძენილი საქონლის გასაყიდი ფასი).

საქონლის ნაშთის თვითღირებულება შესაბამისად იქნება:

საქონლის ნაშთის თვითღირებულება = (საქონლის საწყისი ნაშთი) + (შეძენილი საქონლის თვითღირებულება) - (რეალიზებული საქონლის თვითღირებულება).

ბოლო შესყიდვის მეთოდი წარმოადგენს საცალო ფასების მეთოდის მოდიფიცირებას, როდესაც მარაგის ცალკეული სახეობების ნაშთის კორექტირება ხდება მათი ბოლო შესყიდვის ფასების მიხედვით, როდესაც ეს ნაშთი არსებითია (უფრო ხშირად, ეს ხდება ხოლმე საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე შესყიდვების გამო) და ბოლო შესყიდვის ფასი კი – წლის მანძილზე შესყიდვის საშუალო ფასისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული. თუმცა, აღვნიშნავთ, რომ პრაქტიკაში ეს მეთოდი თითქმის არ გამოიყენება.

„თვითღირებულების ფორმულები

13.17. საწარმომ ცალკეული სახის მარაგის თვითღირებულება, რომლებიც არ არის ურთიერთშემცვლელი, აგრეთვე სპეციფიკური პროექტებისთვის წარმოებული და განკუთვნილი საქონლის, ან მომსახურების თვითღირებულება უნდა განსაზღვროს მათზე გაწეული ინდივიდუალური დანახარჯების ცალ-ცალკე იდენტიფიკაციით.

13.18. ისეთი მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის, რომლებიც აღწერილი არ არის 13.17 პუნქტში, გამოყენებულ უნდა იქნეს „პირველი შემოსავალში – პირველი გასავალში“ (ფიფო) მეთოდი, ან საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა. საწარმომ თვითღირებულების ერთნაირი ფორმულა უნდა გამოიყენოს ყველა ისეთი მარაგისთვის, რომლებსაც მსგავსი ბუნება აქვს და მსგავსი მეთოდებით იყენებს

საწარმო. განსხვავებული ბუნების ან გამოყენების მარაგისთვის შეიძლება თვითღირებულების განსხვავებული ფორმულის გამოყენება. წინამდებარე სტანდარტის მიხედვით, დაშვებული არ არის თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდი „ბოლო შემოსავალში – პირველი გასავალში“ (ლიფო)“.

როგორც წესი, საწარმო მუდმივად ახდენს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შესყიდვას ან/და წარმოებას, რის შემდეგმ ხდება მათი რეალიზაცია ან გამოყენება სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოების პროცესში. ამასთან დაკავშირებით წარმოიშობა კონკრეტული რეალიზებული ან წარმოების პროცესში გადაცემული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულების განსაზღვრის საკითხი. პრობლემის არსი მარტივად ჩანს შემდეგ მაგალითზე: დაეუშვათ, საწარმომ შეიძინა ერთი და იგივე რაოდენობის ფიჭვის ხის მასალა 3-ჯერ: ჯერ – 75 ლარად (1 კუბ. მ), შემდეგ 80 ლარად, შემდეგ 85 ლარად. ამის შემდეგ დამზადებული იქნა ავეჯი, რომელზეც გაიხარჯა 1 კუბ. მეტრი ფიჭვის ხის მასალა. რა იქნება ამ შემთხვევაში ავეჯის დამზადებაზე გახარჯული ნედლეულის თვითღირებულება: 75 ლარი, 80 თუ 85?

არსებობს გახარჯული (გაყიდული, ჩამოსაწერი) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვრის სამი მეთოდი:

1) ინდივიდუალური დანახარჯების სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდი. ამ მეთოდის თანახმად, ხდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების იდენტიფიკაცია (გამიჯვნა სხვა ანალოგიური სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისაგან) ამა თუ იმ ნიშნით, რაც საშუალებას იძლევა მათი რეალიზაციისას ან წარმოების პროცესში გადაცემისას ჩამოსაწერი თვითღირებულება განსაზღვრული იქნეს ინდივიდუალურად.

მაგალითი 13. ღვინის მადანია ვაჭრობს კახური ჩამოსასხმელი ღვინით. ღვინის შესყიდვა ხდება სხვადასხვა მიმწოდებლებისაგან სხვადასხვა ფასებით, თუმცა გასაყიდი ფასი ყველა ღვინოზე ერთი და იგივეა. ღვინოების იდენტიფიკაცია ლაბორატორიული ნიშნებით (გრადუსიანობა და სხვა) არ ხდება, მაგრამ ყოველ ცისტერნაში იხსმევა მხოლოდ ერთი მიმწოდებლისაგან შეძენილი ღვინო (ანუ სხვადასხვა მიმწოდებლებისაგან შეძენილი ღვინოების შერევა არ ხდება). ცისტერნები დანომრილია და ცნობილია (დაფიქსირებულია), თუ რომელ ცისტერნაში რომელი ღვინო (ანუ რა შესყიდვის ფასის მქონე) ჩაისხა.

ამ შემთხვევაში გაყიდული ღვინის თვითღირებულების დადგენა სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდით ხდება თითოეული ცისტერნიდან გაყიდული ღვინის მარაგის ოდენობის

გამრავლებით შესაბამის შექენის ფასზე და მათი შეჯამებით.

ცხადია, აღნიშნული მეთოდი ყველაზე უტყუარია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ერთგვაროვანი, ურთიერთშემცვლელი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სშირი შესყიდვების ან წარმოების შემთხვევაში შეუძლებელია მათზე ინდივიდუალური დაკვირვების მოხდენა. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ჩამოსაწერი თვითღირებულების განსაზღვრის დანარჩენი ორი მეთოდიდან ერთ-ერთი (ეს მეთოდები ემყარება მარაგის გასვლის თანმიმდევრობის განსაზღვრას პირობითი დაშვების მეშვეობით, ანუ უგულებელყოფილია მათი გასვლის რეალური თანამიმდევრობა):

2) მეთოდი „ფიფო“ (Fifo: First In, First Out – პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში). ამ მეთოდის თანახმად, ხდება პირობითი დაშვება და იგულისხმება, რომ თავდაპირველად იყიდება (ჩამოიწერება) ის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, რომლებიც პირველად (უფრო ადრე) იქნა შექენილი (ეს დაშვება პირობითია და არ ნიშნავს იმას, რომ რეალურადაც ასე ხდება);

3) საშუალო შეწონილი ღირებულების ანუ საშუალო ფასთა მეთოდი. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ რეალიზებული (ჩამოწერილი) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვრა ხდება გასაშუალოებული ფასების მიხედვით რეალიზაციის ან ჩამოწერის ყოველი კონკრეტული მომენტიდან.

აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ძველი რედაქციით, არსებობდა კიდევ ერთი მეთოდი, რომელიც ითვლებოდა ალტერნატიულ მეთოდად: მეთოდი „ლიფო“ (Lifo: Last In, First Out – ბოლო შემოსავალში, პირველი გასავალში). ამ მეთოდის თანახმად, იგულისხმება, რომ პირველად იყიდება (ჩამოიწერება) ის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, რომლებიც ბოლოს იქნენ შექენილი. მსს ფასს-ის ახლანდელი რედაქციით, ეს მეთოდი გაუქმებულია ანუ მისი გამოყენება აღარ არის ნებადართული, მაგრამ ზოგადი ინფორმაციისათვის, ქვემოთ მოყვანილ მაგალითში ეს მეთოდიც განხილულია.

მაგალითი 14. საწარმომ შეიძინა 1 მარტს 100 კუბ. მეტრი ფიჭვის ხის მასალა 70 ლარად (1 კუბ. მეტრის ფასი), 1 აპრილს 150 კუბ. მეტრი იგივე მასალა 80 ლარად, ხოლო 1 მაისს – 50 კუბ. მეტრი 90 ლარად. სულ შექენილი იქნა 300 კუბ. მეტრი ფიჭვის ხის მასალა 23500 ლარად. შექენილ მასალებზე ინდივიდუალური დაკვირვება (ანუ ერთმანეთისაგან გამიჯვნა) არ ხდება. 15 ივნისს გაყიდული იქნა 120 კუბ. მეტრი ფიჭვის ხის მასალა.

ასეთ შემთხვევაში, იმისდა მიხედვით, თუ საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის რომელი მეთოდი არჩეული, გაყიდული ხის მასალის თვითღირებულება იქნება:

- 1) ფიფოს მეთოდით – $100 \times 70 + 20 \times 80 = 8600$ ლარი;
 - 2) საშუალო ფასთა მეთოდით – $23500: 300 \times 120 = 9400$ ლარი;
 - 3) ლიფოს მეთოდით – $50 \times 90 + 70 \times 80 = 10100$ ლარი.
- თუ ამავე საწარმომ 20 ივნისს გაყიდა კიდევ 90 კუბ. მეტრი ფიჭვის ხის მასალა, მაშინ მისი თვითღირებულება იქნება:
- 1) ფიფოს მეთოდით – $90 \times 80 = 7200$ ლარი;
 - 2) საშუალო ფასთა მეთოდით – $14100: 180 \times 90 = 7050$ ლარი, რადგან 20 ივნისისათვის საწარმოს დარჩენილი ჰქონდა $300 - 120 = 180$ კუბ. მეტრი ფიჭვის ხის მასალა, რომლის საერთო თვითღირებულება შეადგენდა $23500 - 9400 = 14100$ ლარს;
 - 3) ლიფოს მეთოდით – $80 \times 80 + 10 \times 70 = 7100$ ლარი.

როგორც ვხედავთ, თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდის არჩევა გავლენას ახდენს საწარმოს ფინანსურ შედეგებზე. თუმცა ამ გარემოების ხელოვნური გამოყენება (მანიპულაცია სასურველი ფინანსური შედეგის მისაღწევად) შეზღუდულია, რადგან იმის განსაზღვრა, თუ თვითღირებულების რომელი მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული, წესით უნდა ხდებოდეს ჯერ კიდევ წლის დასაწყისში საწარმოს ღირებულების ბრძანებით დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით. არჩეული სააღრიცხვო პოლიტიკა კი, როგორც წესი, უცვლელი უნდა რჩებოდეს მინიმუმ რამდენიმე წლის მანძილზე.

შეუძლია თუ არა საწარმოს თვითღირებულების სხვადასხვა ფორმულების გამოყენება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სხვადასხვა ტიპების შესაფასებლად? მსს ფასს 13.18 მუხლის თანახმად, განსხვავებული ბუნების ან გამოყენების მარაგისათვის, შეიძლება თვითღირებულების განსხვავებული ფორმულის გამოყენება. ამავე დროს, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განსხვავებული გეოგრაფიული ადგილმდებარეობა (ასევე შესაბამისი საადასახადო წესების განსხვავებულობა) არ არის საკმარისი ღირებულების შეფასების სხვადასხვა ფორმულის გასამართლებლად.

მაგალითი 15. 1) საწარმო ვაჭრობს ორი სახის საქონლით: საკვები პროდუქტებითა და სამშენებლო მასალებით. ამ შემთხვევაში საწარმოს არ აქვს უფლება, გამოიყენოს მათთვის თვითღირებულების განსაზღვრის სხვადასხვა მეთოდები;
2) საწარმო ვაჭრობს საკვები პროდუქტებით და ამავე დროს აშენებს საკუთარი ძალებით მალაზიის, ოფისისა და საწყობის შენობებს,

შპს „ცოდნისა“-ს შვილობილმა კომპანიამ – შპს „იბერ-ინფომ“ 11,5-წლიანი სასამართლო დავა (საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერთან“ დაკავშირებით) გამარჯვებით დაასრულა!



2024 წლის 16 მაისს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება (საქმე № 330210013162326) დავაზე, რომელიც წარმოებდა საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერთან“ დაკავშირებით შპს „იბერ-ინფოს“ სარჩელზე შპს „ეფემჯი სოფტის“ და შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ წინააღმდეგ.

ვინაიდან უზენაესმა სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში ეს სარჩელი, ამით მან ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც შპს „იბერ-ინფოს“ სარჩელი ცნობილი იქნა სამართლიანად (ვინაიდან ძალაში დარჩა მანამდე მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება) და მოწინააღმდეგე მხარეს, შპს „იბერ-ინფოსთვის“ გადასახდელად დაეკისრა დიდი ოდენობის ჯარიმა მის მიერ 2010-2012 წლებში განხორციელებული ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფისა და საავტორო უფლებების დარღვევის გამო (აღნიშნული გადაწყვეტილების დასკვნითი ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად).

ამით ეს დავა, რომელიც 2012 წლის დეკემბერში დაიწყო და შესაბამისად, უპრეცედენტოდ დიდხანს – 11,5 წლის განმავლობაში გაგრძელდა, დასრულდა შპს „იბერ-ინფოს“ გამარჯვებით!

შპს „იბერ-ინფო“ არის შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს ერთ-ერთი შვილობილი კომპანია, რომელიც 1997 წლის ნოემბერშია დაფუძნებული და მას შემდეგ საქართველოში ავრცელებს საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერს“. დღეისათვის, ეს საქართველოში ფართოდ გავრცელებული და პოპულარული პროგრამაა.

რისთვისაც იძენს და ხარჯავს სამშენებლო მასალებს. ამ შემთხვევაში პროდუქტებისა და სამშენებლო მასალებისათვის თვითღირებულების სწავდასწავა ფორმულების გამოყენება დასაშვებია.

ზემოთ მოყვანილი მეთოდების არითმეტიკულ არსში გარკვევა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. თუ რომელი მეთოდის გამოყენებაა უმჯობესი, ეს კონკრეტული საწარმოს გადასაწყვეტია. ჩვენი რეკომენდაციაა, საწარმოებმა მარაგის აღრიცხვისას გამოიყენოს ინდივიდუალური დანახარჯების სპეციფიკური იდენტიფიკაციის მიხედვით, ხოლო როდესაც ამ მეთოდის გამოყენება ვერ წერხდება (ან მიიჩნევა არამიზანშეწონილად), მაშინ გამოყენებული უნდა იქნეს საშუალო შეწონილი თვითღირებულების მეთოდი – ერთ-ერთი ნებადართული მეთოდი მის ფასს-ის თანახმად. სწორედ საშუალო ფასთა მეთოდი, თავისი არსიდან გამომდინარე, იძლევა ყველაზე ნაკლებ გადახრას რეალური ფინანსური შედეგისაგან. ეს მეთოდი ყველაზე უფრო ლოგიკურია (თუ მე ვიყიდე 1 კგ ვაშლი 2 ლარად და 1 კგ ვაშლი 3 ლარად, და ამ ვაშლებს ერთმანეთისაგან ვერ ვასხვავებ, ბუნებრივია ჩავთვალო, რომ ნაყიდი მაქვს 2 კგ ვაშლი

5 ლარად ანუ თითო კგ. ვაშლი – 2.50 ლარად). მეტიც, ზოგ შემთხვევაში, მაგალითად, ნედლეულის (ჩაის, ყურძნის) მასობრივად შესყიდვის დროს, ეს ფაქტობრივად ერთადერთი შესაძლებელი მეთოდია. გარდა ამისა, მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების დროს საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენება ყველაზე უფრო იოლი და მოხერხებულია, არაკომპიუტერული ბუღალტერია კი დღეს პრაქტიკულად აღარ არსებობს.

„მარაგის გაუფასურება

13.19. 27.2–27.4 პუნქტების თანახმად, საწარმომ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეაფასოს, გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაკლებით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგის ერთეული (ან ერთეულთა ჯგუფი) გაუფასურდა, ამ პუნქტების მიხედვით, საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიაროს გაუფასურების ზარალი. ზემოაღნიშნული პუნქტები, ზოგიერთ შემთხვევაში,

ასევე მოითხოვს წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენას“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო (გასაყიდ) ღირებულებას შორის უმცირესი თანხით, სადაც ნეტო (წმინდა) გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. ამ მოთხოვნის ლოგიკა მდგომარეობს იმაში, რომ არ შეიძლება აქტივი (მათ შორის – სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები) იმაზე მეტ ფასად იყოს აღრიცხული, ვიდრე მისი გაყიდვის ან გამოყენების შემთხვევაში მისაღები სარგებელია.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გამომგარიშებისას გამოიყენება ყველა ის საიმედო მონაცემი, რომლებიც ხელმისაწვდომია გაანგარიშების ჩატარების პერიოდში მოცემული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მოსალოდნელი სარეალიზაციო ფასის შესახებ. მათ შორის, მხედველობაში მიიღება ფასების მოსალოდნელი ცვლილებები, რომლებიც სავარაუდოდ მოხდება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. გაითვალისწინება აგრეთვე ის მიზანი, რისთვისაც განკუთვნილია მოცემული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. თუ მარაგი განკუთვნილია პროდუქციის გაყიდვის ან მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესასრულებლად, მაშინ ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება სახელშეკრულებო ფასის მიხედვით. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია უფრო მცირე მოცულობის გაყიდვა, ვიდრე საწარმოში არსებული მარაგია, ჭარბი მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება საერთო გასაყიდი ფასების მიხედვით.

თვითღირებულების კალკულაცია ხდება მისი შეძენის ან წარმოების პროცესის დამთავრებისას, ხოლო ნეტო სარეალიზაციო ღირებულების დადგენა – ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს, ვინაიდან ნებისმიერი მარაგისათვის გასაყიდი ფასი დამოკიდებულია გარეშე ფაქტორებზე, რომელთა ზეგავლენის გამო ის მუდმივად შეიძლება იცვლებოდეს. ზემოთქმული ნიშნავს იმას, რომ მსს ფასს-ის მიხედვით მომუშავე საწარმომ ყოველი წლის ბოლოს უნდა შეაფასოს ბალანსზე რიცხული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებები და თუ რომელიმე მათგანისათვის ნეტო სარეალიზაციო ღირებულება თვითღირებულებაზე ნაკლები აღმოჩნდება, ეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა უნდა ჩამოფასდეს.

მაგალითი 16. საწარმო ვაჭრობს თხილით –

ყიდულობს გარჩეულ ნედლ თხილს მოსახლეობისაგან და შემდგომ ჰყიდის მას გადამუშავების გარეშე თხილის ქარხნებზე. 1 კგ გარჩეული ნედლი თხილი შეძენილი იქნა 2 ლარად (არ მოიცავს დღგ-ს). წლის ბოლოს გარჩეული ნედლი თხილის სარეალიზაციო ფასი დაეცა და შეადგენს 1.80 ლარს. ამ შემთხვევაში თხილის სასაქონლო ნაშთი უნდა ჩამოფასდეს და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ბალანსში) აისახოს 1.80 ლარად 1 კგ-ზე. გაუფასურების ხარჯი 0.20 ლარი (1 კგ-ზე) აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში (ზარალში).

თუ საანგარიშო წლის ბოლოს ირკვევა, რომ წინა წელს ჩამოფასებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამ მოიმატა, მაშინ უნდა მოხდეს ამ ფასეულობის აფასება ახალ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და პირვანდელ თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოფასების თანხა მიეკუთვნება იმ საანგარიშო წლის ხარჯებს, როცა ეს ჩამოფასება განხორციელდა, ხოლო ადრე ჩამოფასებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აფასება – იმ საანგარიშო წლის მოგებას (მარაგის ჩამოფასების ხარჯის უკუგატარების ასახვით), როდესაც ეს აფასება მოხდა.

მაგალითი 17. საწარმოს გასული წლის ბოლოსთვის შეძენილი ჰქონდა 100 ტონა ცემენტი, 1 ტონა ცემენტის შესყიდვის ფასი იყო 32 ლარი (ფასები აქ და ქვემოთ მითითებულია დღგ-ის გარეშე). ცემენტის სარეალიზაციო ღირებულების დაცემის გამო (შეადგინა 27 ლარი 1 ტონაზე) საწარმომ გასული წლის ბოლოს ცემენტის მარაგის ნაშთი ჩამოაფასა 2700 ლარამდე, ხოლო ჩამოფასების თანხა 500 ლარი აღიარა ხარჯად ანუ მიაკუთვნა ზარალს. მიმდინარე წლის ბოლოსათვის საწარმოს ამ მარაგიდან დარჩენილი აქვს 40 ტონა ცემენტი, ამასთან 1 ტონა ცემენტის სარეალიზაციო ღირებულება გაიზარდა და შეადგენს: ა) 30 ლარს; ბ) 35 ლარს.

ამ შემთხვევაში საწარმომ უნდა მოახდინოს დარჩენილი 40 ტ. ცემენტის აფასება:

ა) 30 ლარამდე 1 ტონაზე; ბ) 32 ლარამდე 1 ტონაზე.

ხოლო აფასების თანხა, რომელიც იქნება:

ა) შემთხვევაში $40 \times (30 - 27) = 120$ ლარი; ბ)

შემთხვევაში კი $40 \times (32 - 27) = 200$ ლარი,

უნდა მიაკუთვნოს საანგარიშო წლის მოგებას.

ისმის კითხვა: როგორ უნდა მოხდეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთის გაუფასურება: ცალკეული სახეობების მიხედვით, ჯგუფების მიხედვით

თუ საერთო რაოდენობის მიხედვით? საკითხი აქტუალურია, რადგან სასაქონლო-მატერიალური მარაგის გაუფასურებისადმი ამა თუ იმ მიდგომის არჩევას განსხვავებულ შედეგებამდე მივყავართ. ამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ასეთი შემთხვევა:

მაგალითი 18. თევზეულით მოვაჭრე კომპანია გაჭრობს ორი სასაქონლო ჯგუფის თევზეულით: კონსერვებითა და შებოლილი თევზით. წლის ბოლოსათვის მისი სასაქონლო ნაშთი შეადგენდა 200 კონსერვს და 200 კგ შებოლილ თევზს, მათ შორის: ორაგულის კონსერვი - 100 ცალი, სტავრიდის კონსერვი - 100 ცალი, შებოლილი ქაშაყი - 100 კგ, შებოლილი სკუმბრია - 100 კგ. 1 კონსერვის (როგორც ორაგულის, ასევე სტავრიდის) თვითღირებულებაა 1.0 ლარი, ხოლო 1 კგ შებოლილი თევზის (როგორც ქაშაყის, ასევე სკუმბრიის) - 2.0 ლარი. ამგვარად, საქონლის ნაშთის საერთო თვითღირებულება შეადგენს 600 ლარს, მათ შორის 200 ლარი კონსერვების თვითღირებულებაა, ხოლო 400 ლარი - შებოლილი თევზის. წლის ბოლოსათვის, თითოეული დასახელების საქონლის სარეალიზაციო ღირებულებამ შეადგინა:

ორაგულის კონსერვი - 1.15 ლარი; სტავრიდის კონსერვი - 0.95 ლარი; შებოლილი ქაშაყი - 1.75 ლარი; შებოლილი სკუმბრია - 2.05 ლარი.

უმცირესი ღირებულების პრინციპის გამოყენება მუხლობრივად (სახეობების მიხედვით) გადაფასების შემთხვევაში გვაძლევს სასაქონლო-მატერიალური მარაგის ნაშთს $100 \times 1.0 + 100 \times 0.95 + 100 \times 1.75 + 100 \times 2 = 570$ ლარის ოდენობით.

უმცირესი ღირებულების პრინციპის გამოყენება ჯგუფურად (კონსერვებისა და შებოლილი თევზის) გადაფასების შემთხვევაში გვაძლევს სასაქონლო-მატერიალური მარაგის ნაშთს $100 \times (1.0 + 1.0) + 100 \times (1.75 + 2.05) = 580$ ლარის ოდენობით.

და ბოლოს, უმცირესი ღირებულების პრინციპის გამოყენება საერთო რაოდენობის მიხედვით გადაფასების შემთხვევაში გვაძლევს სასაქონლო-მატერიალური მარაგის ნაშთს $100 \times (1.15 + 0.95 + 1.75 + 2.05) = 590$ ლარის ოდენობით.

ამგვარად, ვიღებთ სხვადასხვა შედეგს გადაფასებისადმი სხვადასხვა მიდგომის არჩევასა. გავრცელებული მიდგომით, როგორც წესი, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერა ხდება მუხლობრივად ანუ ცალკეული სახეობების მიხედვით. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა უფრო მიზანშეწონილი იყოს მსგავსი ან ერთმანეთთან დაკავშირებული მუხლების დაჯგუფება. აქ იგულისხმება ის შემთხვევა, როცა მარაგი პროდუქციის ერთსა და იმავე ასორტიმენტს მიეკუთვნება და ერთნაირი დანიშნულება აქვთ, ან,

რომლებიც იწარმოება და იყიდება ერთი და იმავე გეოგრაფიულ სივრცეში და რომელთა შეფასება შეუძლებელია მოცემული ასორტიმენტის სხვა პროდუქციისაგან დამოუკიდებლად.

მიზანშეწონილად არ ითვლება მზა პროდუქციის ჯგუფურად ჩამოწერა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე, აგრეთვე მარაგის ერთიანი ჩამოწერა მრეწველობის რომელიმე დარგში ან გეოგრაფიულ სივრცეში.

„ხარჯად აღიარება

13.20. როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

13.21. ზოგიერთი სახის მარაგი შეიძლება მიეკუთვნოს სხვა აქტივების ანგარიშებს, მაგალითად მარაგი, რომელიც გამოყენებული იყო საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებების კომპონენტის სახით. სხვა აქტივზე ამგვარად მიკუთვნებული მარაგი შემდგომში უნდა აისახოს წინამდებარე სტანდარტის იმ განყოფილების მიხედვით, რომელიც ამ აქტივის ტიპის შესაფერისი იქნება.

განმარტებითი შენიშვნები

13.22. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

(ა) მარაგის შესაფასებლად გამოყენებული საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა, მათ შორის, გამოყენებული თვითღირებულების ფორმულა;

(ბ) მარაგების საბალანსო ღირებულება აგრეგირებულად და მათი საბალანსო ღირებულებები მოცემული საწარმოს შესაფერისი საკლასიფიკაციო ჯგუფების მიხედვით;

(გ) ისეთი მარაგის თვითღირებულება, რომელიც აღიარებულია მიმდინარე პერიოდის ხარჯად;

(დ) აღიარებული გაუფასურების ზარალი, ან აღდგენილი გაუფასურების ზარალი, რომელიც ასახულია მოგებაში ან ზარალში, 27-ე განყოფილების - „აქტივების გაუფასურება“ - შესაბამისად;

(ე) ისეთი მარაგების საბალანსო ღირებულება აგრეგირებულად, რომლებიც ჩადებულია გირაოში, როგორც ვალდებულებების უზრუნველყოფა“.

13.22 მუხლის „ბ“ პუნქტიდან გამომდინარე, როგორც წესი, განმარტებით შენიშვნებში უთითებენ ხოლმე მთლიანი მარაგის შემადგენელი ჯგუფების საბალანსო თანხებს, კერძოდ: საქონელი; ნედლეული და მასალები; დაუმთავრებელი წარმოება; მზა პროდუქცია; სხვა საწარმოო მარაგი.

აღვნიშნავთ ასევე, რომ „გ“ პუნქტში მითითებული მარაგი მოიცავს იმ მარაგსაც, რომლის გახარჯვა მოხდა საერთო-აღმინისტრაციული დანიშნულებით.

გიორგი ცერცვაძე

სტუმარი

სტუმარი – ამ რუბრიკის მეშვეობით ჩვენი ჟურნალი გაგაცნობთ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში (როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში) მონაწილე პიროვნებებს.

ინტერვიუ „თავისუფალი უნივერსიტეტის“ ლექტორ ლია ნადიბაიძესთან

ლია ნადიბაიძე — დაიბადა 1961 წლის 21 თებერვალს, ქ. გორში.

ბანათლება

1978-1983 წელი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დიპლომი წარჩინებით, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, სპეციალობა: გამოთვლების მეთოდები და პროგრამირება;

1975-1978 წელი — ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა, წარჩინებით.

სამუშაო გამოცდილება

1999 წლიდან დღემდე – თავისუფალი უნივერსიტეტი, **ESM** ბიზნესის სკოლა, სამაგისტრო პროგრამები, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (MBA), ფინანსების მაგისტრი (MF), ოპერაციების მაგისტრი (MBA OM). ლექციების კურსი: ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ფასს (IFRS)-ის მიხედვით, ფინანსური აღრიცხვა, საგადასახადო აღრიცხვა, მენეჯერული აღრიცხვა, საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამა – „Peachtree Accounting“.

2019 წლიდან დღემდე – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ტრენერი, სატრენინგო კურსები: საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS); ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS).

2021 წელი – მსოფლიო ბანკის ჯგუფის (World Bank Group) და ევროკავშირი საქართველოსთვის (EU4Business) მიერ ორგანიზებული ონლაინ დისკუსიის მონაწილე, თემაზე: ეროვნული საგანმანათლებლო ინიციატივები ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში/უმალლესი და პროფესიული განათლების ინტეგრაცია.

2019-2020 წლები – GGI (Good governance initiative) პროექტის კონსულტანტი ტრენერი, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური ხელშეწყობის მიზნით, საჯარო აუდიტის ინსტიტუტისათვის სსბასს (IPSAS) სტანდარტებში ტრენინგის სილაბუსის მომზადება და ტრენინგების ჩატარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლებისათვის.

2020 წელი – GGI (Good governance initiative) და PMCG პროექტის ფარგლებში სახელმძღვანელოს ავტორი, საჯარო აუდიტის სერტიფიკატის მაძიებელთათვის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) მიხედვით სახელმძღვანელოს შექმნა.

2019 წელი – შპს „AZRI“, მცირე და საშუალო სანარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის პირველად შემოღება და დანერგვა.

2019 წელი – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ინიციატივით ორგანიზებული სემინარი, ფასს სტანდარტებისა (IFRS) და მსს ფასს სტანდარტის (IFRS for SMEs) აქტუალური საკითხების შესახებ.

2013 წლიდან დღემდე – საერთაშორისო საფინანსო კომპანიის (IFC), აზიის განვითარების ბანკის (ADB) და თიბისი ბანკის ერთობლივი პროექტი, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისათვის, კონსულტანტი და ტრენერი, ფინანსური მენეჯმენტის ნაწილში.



2013-2017 წლები – საინვესტიციო-დეველოპერული კომპანია ათორი, სამშენებლო საქმიანობის ფინანსური მენეჯერი, მთავარი ბუღალტერი.

2002-2011 წლები – თბილისის მენეჯერთა უმაღლესი სკოლა (TBS). მენეჯერთა საბაზო-სასერტიფიკატო პროგრამა. ლექციების კურსი ფინანსურ და მენეჯერულ აღრიცხვაში.

2006-2012 წლები – პროფესიული სწავლების ცენტრი-AG – პარტნიორი. ფინანსების მართვის მიმართულების ხელმძღვანელი. ლექციების კურსი საგადასახადო აღრიცხვა, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS), მენეჯერული აღრიცხვა, ფინანსების მართვა.

2006-2008 წლები – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), ლექციების კურსი ფინანსების მენეჯმენტში.

1999-2005 წლები – GCG-აუდიტი, „არტურ ანდერსენის“ წარმომადგენლობა საქართველოში, ფინანსური და მენეჯერული აღრიცხვის პროგრამის ტრენერი.

- ქალბატონო ლია, დიდ მადლობას გინდით ინტერვიუსთვის. თქვენი სახელი და გვარი როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ეკონომისტებისთვის საკმაოდ ნაცნობია. საინტერესო პერიოდებში მოგიწიათ საქმიანობა ჯერ პროგრამირების, შემდეგ ფინანსების მიმართულებით. მოგვიყვით უფრო მეტი თქვენ შესახებ.

– პროფესიით მათემატიკოსი ვარ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა დავამთავრე და სწავლა ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათემატიკის მიმართულებით გავაგრძელე. ვიწრო სპეციალობად გამოთვლების მეთოდები და პროგრამირება ავირჩიე. სწორედ პროგრამირებიდან მოვედი ეკონომიკაში, შემდეგ კი – ფინანსებში.

სტუდენტობის მერე დავიწყე მუშაობა მათემატიკოს-ეკონომისტად, სამინისტროებს რესურსების ოპტიმალურად გადანაწილების და სწორად დაგეგმვის პროცესში ვეხმარებოდით. მათემატიკურ მიდგომებს ვენერავდით ეკონომიკაში. თავიდან ბალტიისპირეთში დაწერილ პროგრამას ვახორციელებდით საქართველოში, შემდეგ პროგრამირების განყოფილებაში გადავედი და თვითონაც ვწერდი პროგრამებს მსუბუქი მრეწველობის დარგისთვის – იმისათვის, რომ სამინისტროში ფურცლების გამოყენება შეგვეზღუდა და მონაცემები მონიტორზე ჰქონოდათ როგორც მინისტრს, ისე განყოფილებების უფროსებს და ა.შ. ასე მოვედი ეკონომიკაში.

შემდეგ იყო შემოთავაზება მოსკოვის ეკონომიკის ინსტიტუტიდან ასპირანტურაში, იქ გამეგრძელებინა განათლების მიღება. კიდევ უფრო დავინტერესდი ეკონომიკით. მოგეხსენებათ, როგორი რთული 90-იანი წლები გვქონდა, საბჭოთა გეგმური ეკონომიკა საბაზრო ეკონომიკაზე გადადიოდა. ამ პერიოდში დავინტერესდი თავისუფალი ბიზნესის ფინანსური აღრიცხვითა და ანგარიშგებით. მოვიძიე ინფორმაცია – ინგლისურენოვანი წიგნები და მასალები, რაც მაშინ საკმაოდ დიდ სირთულეს წარმოადგენდა – მათი წაკითხვა და გააზრება, თარგმნა. რაც მეტს ვკითხულობდი, მით მეტი ინტერესი მიჩნდებოდა ფინანსების სხვადასხვა სფეროში. კერძოდ ამერიკაში მოქმედი აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული სტანდარტების (US GAAP) შესწავლა დავიწყე. პარალელურად ვეწეოდი პრაქტიკულ საქმიანობას ერთ-ერთ კომპანიაში.

ამასობაში ისე წავიდა საქმე, რომ საქართველოს ეკონომიკა გლობალური ეკონომიკის ნაწილი უნდა გამხდარიყო, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები და აღრიცხვიანობის სისტემა უკვე აქაც უნდა დანერგულიყო. ისე მოხდა რომ 1999 წლიდან ნებაყოფლობით, ხოლო 2000 წლიდან ეს სტანდარტი (ბასს-ები, IAS) სავალდებულო გახდა ზოგიერთი საჯარო დაინტერესების კომპანიებისთვის (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, სავალუტო ბირჟაზე დარეგისტრირებულები და ა.შ.). აღრიცხვის და ანგარიშგების მიმართულებით პრაქტიკული საქმიანობის პარალელურად სწავლება დავიწყე ESM-ში – კომპიუტერულ ბუღალტერიას ვასწავლიდი, ამერიკული ბუღალტრული პროგრამის Peachtree Accounting-ის ბაზაზე. შემდეგ ვასწავლიდი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს, IAS) მიხედვით ფინანსურ აღრიცხვას, ასევე ბიზნესის მართვისათვის აუცილებელ მენეჯერულ აღრიცხვას, ემონაწილეობდი სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოს შედგენაში ფინანსურ აღრიცხვაში და მმართველობით აღრიცხვაში.

პარალელურად პრაქტიკაშიც ვაგრძელებდი საქმიანობას, ვიყავი GCG აუდიტის, რომელიც მაშინდელი „დიდი ხუთეულიდან“ ერთ-ერთის წარმომადგენლობა იყო საქართველოში, ტრენერი. ასევე სხვადასხვა კომპანიაში ვატარებდი ტრენინგებს ბასს სტანდარტების დანერგვის მიზნით. წლების განმავლობაში აზიის განვითარების ბანკის (ADB) კონტრაქტორი ტრენერი ვიყავი და ბიზნესმენებს და დაინტერესებულ პირებს ტრენინგებს ვუტარებდი მთელი საქართველოს მასშტაბით. ეს ხდებოდა აზიის განვითარების ბანკსა და „თიბისი ბანკის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში – „თიბისი ბიზნესისთვის“. 2013 წელს „თიბისი ბანკმა“ ჩემთან ერთად დაიწყო ეს პროექტი, რომელიც საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა და ახლაც გრძელდება. დამწყებ ბიზნესმენებს და ბიზნესით დაინტერესებულ ადამიანებს მნიშვნელოვნად დავეხმარეთ, მივაწოდეთ ფინანსური მართვისა და

შედგების შეფასებისთვის აუცილებელი ინფორმაცია.

მოგეხსენებათ, საჯარო სექტორი 2020 წლიდან სრულად არის გადასული საჯარო სექტორის აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე (IPSAS). ვარ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ტრენერი, ვარ სახელმძღვანელოს თანაავტორი, რომელიც შედგენილია საჯარო სექტორში აუდიტის განხორციელების სერტიფიკატის მომპოვებელთა დასახმარებლად.

- საკმაოდ საინტერესო და ხანგრძლივი გამოცდილება გაქვთ ამ მიმართულებით. რადიკალური ცვლილებების პროცესში დაიწყეთ საქმიანობა - ქვეყანა საბაზრო ეკონომიკაზე გადადიოდა. თქვენნი შეფასებით, ეს პროცესი რამდენად სწორად წარიმართა და ახლა განვითარების რა ეტაპზე ვართ?

- პირველ ეტაპზე ყველაფერი ნელა იწყება და ვითარდება. როგორც აღვნიშნე, 2000 წლიდან ზოგიერთ კომპანიას და 2005 წლიდან უკვე უფრო მეტ ეკონომიკურ სუბიექტს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ფინანსური აღრიცხვის და ანგარიშგების წარმოება ევალებოდათ, თუმცა ეს მოთხოვნა ყოველთვის არ სრულდებოდა. მოგვიანებით, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნით, 2016 წელს ახალი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონი“ შემოვიდა ძალაში, რომელმაც უკვე მკაფიოდ განსაზღვრა IFRS-ის გამოყენების ვალდებულება კომპანიების კატეგორიების მიხედვით.

ეს პროცესი თანდათან წინ წავიდა, თუმცა, ჩემი აზრით, დაგვიანებულიც იყო - 2000 წლიდან 2016 წლამდე საკმაოდ დიდი დრო გავიდა. ყოველთვის, სადაც შესაძლებლობა მქონდა, ვცდილობდი ამეხსნა, რომ მხოლოდ საგადასახადო აღრიცხვა არ არის საკმარისი. ფინანსური ინფორმაციის ერთადერთი მომხმარებელი სახელმწიფო ხომ არ არის? თვითონ კომპანიის მენეჯერს ან მფლობელს არ აინტერესებს, როგორ იმართება ბიზნესი? პოტენციურ კრედიტორს და ინვესტორს არ აინტერესებს ფინანსური კომპანიის მდგომარეობა და საქმიანობის შედეგები? მას თავისი ეკონომიკური გადაწყვეტილება აქვს მისაღები - ღირს თუ არა კომპანიაში ფულის ჩადება, ან კრედიტორს უღირს თუ არა ამ კომპანიას სესხი მისცეს. შესაბამისად, ყველა დაინტერესებულ მხარეს უნდა ჰქონდეს კომპანიის შესახებ ინფორმაცია, რათა სწორი გადაწყვეტილება მიიღოს.


სწორედ ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა არ იყო საკმარისი, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვისაც უარყოფითი ფაქტორი იყო. თუ გვინდა ევროპული ოჯახის წევრი გავხდეთ, ეს სფერო ისეთივე გამჭვირვალე უნდა იყოს, როგორც ევროპაშია. ანუ იგივე გზა უნდა გავიაროთ, რაც ევროპამ უკვე გაიარა.

მინდა აღვნიშნო, რომ რაც მიღწეულია, არ არის საკმარისი. მენეჯერმა რომ მართვითი ფუნქცია ჯეროვნად განახორციელოს, სჭირდება ინფორმაცია, რაც არ არის ასახული არც საგადასახადო დეკლარაციებში და არც გამოქვეყნებულ ფინანსურ უწყისებში. საჭიროა მმართველობითი აღრიცხვის დანერგვა კომპანიებში. ამის გარეშე კომპანიის მართვა სრულყოფილი ვერ იქნება. დიდ კომპანიებში ეს სფერო მოწესრიგებულია, მცირე და საშუალო ბიზნესში ამ მხრივ ბევრია გასაკეთებელი. იმედი მაქვს, ნელ-ნელა ეს მიმართულებაც განვითარდება, დაინერგება და დაინეგეწება.

- 2016 წელს ბევრი კომპანიის წარმომადგენელი ამ კანონის მიმართ ნეგატიურად იყო განწყობილი. მათი აზრით, კონკურენტ კომპანიებს ფინანსურ მონაცემებზე წვდომა არ უნდა ჰქონოდათ. ახლაც არსებობენ კომპანიები, რომლებიც ფიქრობენ, რომ აუდიტი და საგადასახადო აღრიცხვა მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს ინტერესებშია. თქვენ კომპანიებისთვის ტრენინგებს ატარებთ. ეს მიდგომა იცვლება?

- მენეჯერების პოზიციიდან არ ვიცი, შეიცვალა თუ არა ეს დამოკიდებულება, თუმცა შემიძლია ვთქვა, რომ ბუღალტრები დღეს ბევრად უკეთეს ფორმაში არიან. მათ მიერ წარმოდგენილი ანგარიშგებები მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია. ამას ვაკვირდები reportal.ge-ზე, სადაც ანგარიშგებები ქვეყნდება. ზოგიერთ კომპანიას ურჩევნია ინფორმაცია არ გამოაქვეყნოს და დაჯარიმდეს, მე კი მათ გამჭვირვალე საქმიანობას ვურჩევ. წარმოიდგინეთ, მე ვარ სუბიექტი და უნდა მივიღო გადაწყვეტილება ამა თუ იმ ბიზნესთან დაკავშირებით - გავხდე თუ არა მათი მიმწოდებელი, მომხმარებელი ან სესხი მივცე და თუ ვხედავ, რომ ისინი ანგარიშგებას არ აქვეყნებენ, უკვე ვიცი, რომ აღრიცხვიანობა მოწესრიგებული არ აქვთ, სწორედ ამიტომ არ აქვეყნებენ. ასეთ შემთხვევაში, ამ კომპანიასთან რაიმე სახის საქმიანი ურთიერთობის დაწყებისაგან თავს შევიკავებ.

ისინი ინფორმაციის გამოუქვეყნებლობით უფრო მეტს კარგავენ, ვიდრე იძენენ. გამჭვირვალობა შეიძლება ვინმეს არ მოსწონს, მაგრამ მას ძალიან კარგი მხარეც აქვს - ჩვენთან ერთად ინფორმაცია ჩვენმა კონკურენტებმაც გამოაქვეყნეს. შესაბამისად, შეგვიძლია ჩვენი კომპანია კონკურენტს შევადაროთ. ხშირად საკუთარი თავი ძალიან მოგვწონს, მაგრამ შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ ჩვენი კონკურენტი ჩვენზე უკეთესად მუშაობს. თუ დავინახავთ, რომ დარგს ან კონკურენტს ჩამოვრჩებით, მეტი მოტივაცია გვექნება, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ კიდევ. ზოგჯერ პირიქითაც ხდება - ზედმეტად თვითკრიტიკულები ვართ, მაგრამ აღმოჩნდება, რომ არც ისე ცუდად გვაქვს საქმე.



მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“ სააგენტოს „ანარმოე საქართველოში“ მიერ შერჩეულ იქნა ზრდის ჰაბების პროექტის ფარგლებში საკონსულტაციო სერვისების მიმწოდებლად.

აუდიტორული კომპანია „ცოდნისა“, სააგენტოსთან „ანარმოე საქართველოში“ პარტნიორობით მცირე და საშუალო მენარმეებს სთავაზობს კარგ შესაძლებლობას ბიზნესის განსავითარებლად.

სააგენტო „ანარმოე საქართველოში“-ს საკონსულტაციო ცენტრების (ზრდის ჰაბების) პროექტის ფარგლებში გთავაზობთ 10,000 ლარამდე დაფინანსებას ბიზნესის საკონსულტაციო სერვისებზე შემდეგი მიმართულებით:

**ფინანსები და ბუღალტერია;
გადასახადები.**

თანადაფინანსების მიღება შეუძლია ნებისმიერ ბიზნესს, რომელსაც:

- აქვს მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება;
- უფიქსირდება წლიური ბრუნვა მინიმუმ 30,000 ლარი და მაქსიმუმ 10,000,000 ლარი;
- არ აქვს საგადასახადო დავალიანება.

რაც მოიცავს აღნიშნული საკონსულტაციო სერვისები?

- ფინანსები და ბუღალტერია;
- სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება;
- ფინანსური ანალიზი;
- ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების შემუშავება;
- ბიზნესისთვის დაფინანსების შესაძლო წყაროების იდენტიფიცირება.

გადასახადები:

- საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისობისა და დაბეგვრის ოპტიმიზაციის უზრუნველყოფა.

დეტალური ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით – ტელ.: 595 59 02 75; 579 30 71 71.

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №41, მე-4 სართული.

ბიზნესის გამჭვირვალე საქმიანობას ბევრად მეტი პლუსი აქვს, ვიდრე მინუსი – არა მხოლოდ კონკრეტული კომპანიისთვის, არამედ მთლიანად ბიზნესის გარემოსათვის. ამიტომაც ვურჩევ, რომ თამამად გამოაქვეყნონ საკუთარი ინფორმაცია, რაც კანონითაც ევალებათ.

- ბიზნესის გამოკითხვისას ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად პროფესიონალი კადრების ნაკლებობა სახელდება. სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი – განათლების სისტემაში, შრომის ბაზარზე, სახელმწიფო პოლიტიკაში თუ სხვაგან?

- ბუნებრივია, ამ პრობლემას ობიექტური მიზეზები აქვს. მათ შორის, თუ რომელიმე დამსაქმებელი მოელის, რომ უნივერსიტეტადმთავრებული ახალგაზრდა მივა და პრაქტიკული უნარებით შეიარაღებული სამუშაო პროცესში უცხად ჩაერთვება, ეს ძალიან არასწორი მოლოდინია. უნივერსიტეტებში ვასწავლით თეორიას, რაც ფუნდამენტია ნებისმიერი პრაქტიკისათვის. რასაკვირველია, სწავლების პროცესში კონკრეტულ ქეისებსაც განვიხილავთ, მაგრამ ყველა ბიზნესსა და ორგანიზაციას, საქმიანობიდან გამომდინარე, განსხვავებული ქეისები აქვთ, ამიტომ ყველას ვერ განვიხილავთ, დროშიც ვართ შეზღუდულები. სტუდენტს ყოველთვის მოუწევს, რომ თეორიული ცოდნა კონკრეტული კომპანიის საჭიროებებზე მოარგოს. კომპანიებმა ეს უნდა გაითვალისწინონ და კონკრეტული დარგით დაინტერესებულ ახალგაზრდებს ხელი შეუწყონ. პრაქტიკაში სწავლა გრძელდება, დასაქმებულს ადგილზე კეთილგანწყობილი გარემო და ნაყოფიერი თანამშრომლობა უნდა დახვდეს.

ჩვენ თეორიას ვასწავლით საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, იმ სახელმძღვანელოებიდან, რომლებიც საუკეთესო უნივერსიტეტებში გამოიყენება. მე სტუდენტებს მხოლოდ ქართული სახელმძღვანელოებით არ

ვასწავლი, ბევრი ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოც მაქვს, სწორედ იქ არის აღწერილი საუკეთესო პრაქტიკა თეორიულად. ჩვენმა სტუდენტებმა ინგლისური კარგად იციან და ამ კუთხით პრობლემები არ გვაქვს.

პრაქტიკა ცვლილებებს ნელა მიჰყვება, ხოლო თეორიაში სიანხლებს უფრო სწრაფად ვნერგავთ. ჩვენი სასწავლო პროგრამები საერთაშორისო პრაქტიკიდან წამოსული ახალი მაგალითებით ივსება. ამ ყველაფერს სტუდენტი დასაქმების ადგილზე მიიტანს. სტუდენტი მუშაობისთვის მზად არის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მაგრამ პრაქტიკაში ლაღად ყოფნა თანდათანობით პროცესია და ამაში თვითონ კომპანიებმა უნდა შეიტანონ წვლილი.

რაც ეხება კადრების დეფიციტის სხვა მიზეზებს – პრაქტიკაში რომ მიდის ადამიანი, ზოგჯერ მის მიმართ მოთხოვნა დაკნინებულია. თუ შრომის ბაზარი კონკრეტულ ცოდნას მოითხოვს, მაგალითად საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის მიმართულებით, შესაბამისი კადრებიც მზად იქნებიან. მთავარია, პრაქტიკამ მოითხოვოს ასეთი სპეციალისტი – „თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღიდან მოვაო“. თუ იქნება მოთხოვნა და რეალური ანაზღაურება, ადამიანი შეეცდება, რომ დამატებითი კურსები გაიაროს და კვალიფიკაცია აიმაღლოს. ტრენინგის კურსები ყოველთვის იქნება, თუკი პრაქტიკაში ამის საჭიროება იარსებებს.

- ქართული უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამები რამდენად არის თანხვედრაში ევროპულთან? ევროპის ქვეყნებში ბევრი უნივერსიტეტი თეორიულ სწავლასთან ერთად დიდ დროს უთმობს პრაქტიკულ მეცადინეობას, რაც სტუდენტს შრომის ბაზარზე უფრო კონკურენტუნარიანს ხდის. როგორ უყურებთ თქვენ ამ სისტემას და ფიქრობთ თუ არა, რომ მსგავსი მიდგომის შემოტანა ქართულ უმაღლეს სასწავლებლებშიც კარგი იქნება?

– ჩვენი უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამები ითვალისწინებს ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტების საუკეთესო გამოცდილებას. ჩვენ სტუდენტებს მეოთხე კურსზე აქვთ შესაძლებლობა გაიარონ პრაქტიკა. ისინი თავად ირჩევენ სასურველ კომპანიას. ეს იდეა ძალიან კარგია: „ვისწავლეთ თეორია და ახლა ვნახოთ, როგორ გამოიყენება პრაქტიკაში“.

თუმცა მე მეჩვენება, რომ პრაქტიკა ჯერ კიდევ ჩამორჩება თეორიას – მასაც სჭირდება გარკვეული გარდაქმნა. როგორც უკვე აღვნიშნე, პრაქტიკა საკმაოდ ნელა რეაგირებს იმ ცვლილებებზე, რაც ბიზნესის განვითარებისთვის არის საჭირო. ლექტორები ვცდილობთ სტუდენტებთან სიანხლები და საკუთარი სამუშაო გამოცდილება მივიტანოთ. ზოგადად, ძალიან კარგია მიდგომა, როდესაც თეორია პრაქტიკასთანაა ადაპტირებული.

- რა პრობლემების წინაშე დგანან უმაღლესი სასწავლებლები, მათ შორის პედაგოგები, სწავლების პროცესში?

– ჩვენს უნივერსიტეტში წიგნებსა და მასალებზე ხელმისაწვდომობა ძალიან კარგად არის უზრუნველყოფილი. ნებისმიერი ახალგაზრდა მოსწავლე წიგნს, რომელიც მჭირდება, უნივერსიტეტი ყიდულობს უპრობლემოდ. პედაგოგებს უზარმაზარ ინფორმაციაზე გვაქვს წვდომა. თუ მინდა, სილაბუსი შევცვალო, ყოველწლიურად წახალისებული ვარ ამისთვის – არ მახსენდება, რაიმე სირთულე მქონოდა.

ძალიან მომზადებული და მოტივირებული ახალგაზრდები გვყავს, ახსნისას დიდი ძალისხმევა არ მჭირდება და დრომაც კარგად ვეტევი. ცოტა ხნის წინ თავისუფალი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან შეხვედრა გაიმართა, სადაც ბევრმა აღნიშნა, რომ აქ მიღებული ცოდნა ძალიან გამოადგა, კონკრეტულად იმ საგანში, რომელსაც მე ვასწავლი. ჩემთვის ეს იმის მაჩვენებელია, რომ რასაც ვაკეთებთ კარგია. თუმცა ბოლომდე კმაყოფილი არასდროს ვარ, სულ მინდა, რომ სალექციო პროცესი კიდევ უფრო გაუმჯობესდეს. ახლა ჩვენს ცხოვრებაში ხელოვნური ინტელექტი და თანამედროვე ტექნოლოგიები შემოიჭრა. მსურს, ჩემი პროგრამა ადაპტირდეს ახალ ტექნოლოგიებთან – ალბათ ყველა ლექტორი ასე ფიქრობს.

- ბიზნესადმინისტრირების პროგრამა 240 კრედიტიდან 180 კრედიტამდე შემცირდა, ანუ სწავლება „სამი პლუს ერთი“ გახდა – სამი წელი ბაკალავრიატი და ერთი წელი მაგისტრატურა. ახლა სხვა პროგრამების გადაყვანასაც ამ სისტემაზე განიხილავენ. თავისუფალმა უნივერსიტეტმა კი ძველი მოდელი – „ოთხი პლუს ორი“ – შეინარჩუნა. პედაგოგების ნაწილი ამ ცვლილებებს ხსნის იმით, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში 240-კრედიტიანი პროგრამები საჭირო აღარ არის და უმჯობესია სტუდენტმა პრაქტიკულ საქმიანობას უფრო მეტი დრო დაუთმოს. თქვენ როგორ უყურებთ ამ სიანხლეს?

– არ მგონია, რომ შემცირება კარგი აზრია. თეორია, რომელსაც ჩვენ სტუდენტს ვასწავლით, არის საფუძველი, რომელზეც უნდა აიგოს ნებისმიერი პრაქტიკა. თუ ამ საძირკველს შევამცირებთ, გამოდის, რომ სტუდენტი

გარეთ საჭირო უნარ-ჩვევებს ვეღარ გაიტანს. ჯობია საძირკველი უფრო მყარი იყოს. წარმოვიდგინე, რომ კიდევ შემიმცირდეს საათები ან რომელიმე საგანი პროგრამიდან ამოიღეს – ეს სტუდენტს ნამდვილად დააზარალებს. პირიქით, სურვილი მაქვს, კიდევ უფრო მეტი ვასწავლო. ჩვენ, სასწავლო პროცესი თავიდანვე ოპტიმალურად დავგეგმეთ, ზედმეტს არაფერს ვასწავლით, პროგრამა დინამიკური და კარგად დაბალანსებულია.

- ახალგაზრდები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში იღებენ განათლებას საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის მიმართულებით, ხშირად დამატებითი კურსების გაფლის გარეშე ვერ ახერხებენ მუშაობას. კომპანიების წარმომადგენლები ამბობენ, რომ იძულებულები არიან სტაჟიორები თავიდან გადაამზადონ. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?

- ეს, ალბათ, ზოგადად არის ნათქვამი და არ ეხება ყველა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს. ჩვენი სტუდენტები უკვე მესამე კურსიდან მოთხოვნადი არიან შრომის ბაზარზე და შესანიშნავად არიან დასაქმებულები. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა ბევრად ფართოა. ზოგიერთ უნივერსიტეტს არ აქვს აღრიცხვასა და აუდიტის სპეციალიზებული ფაკულტეტი ან მიმართულება. ამიტომ აუდიტორულ კომპანიას ვერ მიაწვდის ისეთ კადრს, რომელიც შევა და მაშინვე „გამლის ფრთებს“, ჩაატარებს აუდიტის მომსახურებას. თუმცა, მაგალითად, ჩვენი სტუდენტები შესანიშნავი პოტენციალით მიდიან ასეთ სფეროში – ბევრი მათგანი დასაქმებულია საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების „დიდ ოთხეულში“, როგორც საქართველოში წარმოდგენილ ოფისებში, ასევე საზღვარგარეთ.

- როგორ აფასებთ ACCA-ს სასერტიფიკაციო პროგრამას, რომელიც ძვირადღირებული და ხანგრძლივია? რას აძლევს ამ პროფესიის წარმომადგენლებს, რომლებსაც უკვე აქვთ უმაღლესი განათლება?

- სტუდენტმა თუ უნივერსიტეტი დაამთავრა და უნდა ფინანსების მიმართულებით გააღრმავოს ცოდნა, მირჩევნია, რომ წავიდეს აკრედიტებულ კურსებზე, ვიდრე ისეთ ტრენინგებზე, სადაც არც ვიცით, რას და როგორ ასწავლიან. ACCA ზუსტად ვიცით, რას ასწავლის. მე, როგორც დამსაქმებელს, თუ სამსახურის მაძიებელმა ACCA-ს სერტიფიკატი წარმომიდგინა, ეს ჩემთვის ფასეულია. საერთაშორისო სერტიფიკატი დამსაქმებლისთვის დამაჯერებელია.

კურსის ხანგრძლივობაც გასაგებია – ის ბევრ თემას მოიცავს. ვფიქრობ, მის ჩაბარება ცალკე წიგნებად უფრო მოსახერხებელია. ზოგი ამბობს, რომ 2 ჩაბარა, ზოგი – 3, ზოგიც უფრო მეტს აბარებს. ACCA გამოცდებს ვინც ჩაბარებს, ის პრაქტიკასაც ადვილად მოერგება. ეს სასერტიფიკაციო პროგრამა და სერტიფიკატი პროფესიონალიზმის დამადასტურებელია და შესაბამისად ღირებულია.

- წინა წლებისგან განსხვავებით, შეიცვალა თუ არა სტუდენტების დამოკიდებულება სწავლისადმი?

- ESM-ში და თავისუფალ უნივერსიტეტში სტუდენტები სწავლას ყოველთვის პასუხისმგებლობით უდგებოდნენ. ვერ ვიტყვი, რომ რაღაც შეიცვალა. ჩვენთან, ძირითადად, მაღალქულიანი, შრომისმოყვარე და მოტივირებული ახალგაზრდები მოდიან. პირიქითაც ხდება – მათგან მეც დიდ მოტივაციას ვიღებ. ისეთი ინტერესით უსმენენ ლექციებს, ლექციის დამთავრების შემდეგ მაღლობას მიხდიან და მეუბნებიან, რომ საინტერესო იყო. მგონია, რომ ჩვენთან საუკეთესო ახალგაზრდები სწავლობენ. კიდევ ერთი მინდა აღვნიშნო, მე, როგორც ლექტორმა, თუ სტუდენტი ჩემი ლექციით ვერ დავაინტერესე, მაშინ პრობლემა ჩემშია. ლექტორი უნდა ცდილობდეს სტუდენტის დაინტერესებას, სწავლის პროცესში ხელშეწყობას. უცოდინრობაში მხოლოდ სტუდენტს ვერ დავადასტურებთ.

- თუ გქონიათ სურვილი, პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, სხვა კერძო კომპანიებშიც გემუშავათ, თუნდაც აუდიტის მიმართულებით?

- როგორც უკვე აღვნიშნე, სასწავლო საქმიანობის გარდა პრაქტიკულ საქმიანობასაც ვეწევი. შეუძლებელია პრაქტიკიდან მოწყვეტილი ასწავლო თეორია, მით უმეტეს ფინანსები და ბიზნესი. კომპანიაში ბუღალტრის პოზიციაზე მიმუშავია, ფინანსური მენეჯერის პოზიციაზეც, ფინანსური კონსულტანტისაც და ა.შ.. ვატარებ ტრენინგებს IFRS სტანდარტებში, IPSAS (საჯარო სექტორის საერთაშორისო სტანდარტებში), მათ შორის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სასწავლო ცენტრის ტრენინგ ვარ. ვფიქრობ ჩემი ძლიერი მხარე სტუდენტებთან ის არის, რომ ლექციებზე უამრავი პრაქტიკული მაგალითი მახსენდება და განვიხილავ – თორემ მარტო თეორია მოსაწყენი და უსარგებლოც იქნებოდა.

- ინტერვიუს ბოლოს გკითხავთ, როგორ ატარებთ თავისუფალ დროს? გაქვთ პროფესიისგან განსხვავებული ინტერესები?

- ინტერვიუს დასაწყისში ვითხარით, რომ პროგრამისტის განათლება მაქვს - ეკონომიკასა და ფინანსებში პროგრამირებიდან მოვედი. ახლა ეს სფერო იმდენად განვითარდა, რომ გულმა ისევ ჩემი ადრინდელი პროფესიისკენ გამიწია. თავისუფალ დროს პროგრამულ ენებს და მონაცემთა ანალიზს ვსწავლობ - მაინტერესებს მანქანური სწავლება, ხელოვნური ინტელექტი და ამ მიმართულების განვითარება. ასაკის მიუხედავად ჩემს მომავალს ამ სფეროშიც ვხედავ. კარგი სინერჯიაა - მათემატიკა, პროგრამირება და ფინანსების ცოდნა. ფასიანი ქაღალდების ანალიტიკის სფეროს განვიხილავ. არ გამოვირიცხავ, რომ კიდევ ერთხელ შევიცვალო პროფესია, ანუ დავუბრუნდე ძველ პროფესიას სხვა სფეროებიდან ცოდნა-გამოცდილება შევსებული ბაზით. ჩემთვის სწავლა სასიამოვნო პროცესია. ასევე მიყვარს აგარაკზე ყოფნა, მცენარეების მოვლა, ბუნებასთან ურთიერთობა ჩემთვის საუკეთესო დასვენებაა.

- ხელოვნური ინტელექტი ახსენეთ, მისმა სწრაფმა განვითარებამ ბევრ ადამიანს შიში გაუჩინა, რომ ის უამრავ პროფესიას ჩაანაცვლებს და ადამიანები სამსახურის გარეშე დარჩებიან. თქვენ როგორ უყურებთ ამ საკითხს?

- ყველა სიახლე უნდა მივიღოთ მშვიდად და არ უნდა გვეშინოდეს. თუ ხელოვნური ინტელექტი ჩვენს ადგილს დაიკავებს, ჩვენ სხვა გზას ვიპოვით. ის გვეხმარება, არ გვებრძვის. როცა პროგრამირებაში დაბრუნების სურვილი გამიჩნდა, თავად ხელოვნურ ინტელექტს ვკითხე - სად ვერ ჩამანაცვლებ-მეთქი. მიპასუხა, რომ გარკვეულ სფეროებში ადვილად ჩამანაცვლებდა, ზოგში კი ვერა. სწორედ იმ მიმართულებით გადავწყვიტე განვითარება, სადაც ვერ ჩამანაცვლებს. მიმაჩნია, რომ ხელოვნური ინტელექტი მეგობარია და არა მტერი. ადრე იყო ინდუსტრიული და ტექნიკური რევოლუციებიც, რომლებმაც კაცობრიობა წინ წაიყვანა. მე ვფიქრობ, რომ ეს ტექნოლოგიური პროგრესიც წაადგება საზოგადოებას და უფრო მეტ სარგებელს მოუტანს, ვიდრე ზიანს. ზოგიერთი სამუშაო ადგილი დაიკარგება, მაგრამ რაც დარჩება უფრო საინტერესო და ნაკლებ რუტინული იქნება. მომავალს იმედით უყურებ. ადამიანებმა აქამდე იცოდნენ როგორ გადაირჩინონ თავი და მომავალშიც შეძლებენ ამას.

ესაუბრა მაკა ხარაზიშვილი

„ბაზისბანკი“ „ლიბერთი ბანკს“ აღარ ყიდულობს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნათია თურნავას შემდეგ, BMG-ს „ლიბერთი ბანკის“ თანამფლობელმა ირაკლი რუხაძემაც დაუდასტურა, რომ ამ ეტაპზე „ბაზისბანკის“ მიერ „ლიბერთის“ შექენა აღარ განიხილება. ბიზნესმენი ორი ბანკის გაერთიანებას არ გამოირიცხავს.

„მხარეებს შორის კონსულტაციები გრძელდება პარტნიორობის სხვადასხვა ფორმებზე, რაც პოტენციურად ორი ბანკის გაერთიანებასაც მოიაზრებს. ახლა თუ რამეზე ვლაპარაკობთ, უფრო გაერთიანებაზე ვსაუბრობთ, რომელშიც ორივე მხარე დავრჩებით“, - უთხრა BMG-ს ირაკლი რუხაძემ.

BMG-ის ინფორმაციით, მხარეებს შორის ერთ-ერთი შეუთანხმებელი საკითხი გარიგების ღირებულება იყო, რაც რამდენიმე კვირის წინ თავად ირაკლი რუხაძემაც ირიბად დაადასტურა. სავარაუდოდ, გარიგების მონაწილეებს შორის შეთანხმება ამიტომ ვერ შედგა.

„ეს უფრო შედეგია, ვიდრე მიზეზი. მიზეზი კი ის არის, რომ ეროვნულმა ბანკმა „ბაზისბანკს“ დაუნესა რაღაც შეზღუდვები და წინაპირობები, რის გამოც გარიგება გაინელა... მაგალითად, დოკუმენტაცია, განსაკუთრებით ჩინეთიდან, არ იყო მარტივი შესაგროვებელი. ამას მოჰყვა სხვადასხვა გართულება. ერთ-ერთი ისიცაა, რომ „ლიბერთი“ გაიზარდა ამ დროის განმავლობაში და ის გარიგება, რომელიც წლის დასაწყისში გავაკეთეთ, დღეს სხვანაირად გამოიყურება, თუმცა გარიგებაზე მუშაობას ვაგრძელებთ“, - აცხადებდა ირაკლი რუხაძე.

„ბაზისბანკის“ მიერ „ლიბერთი ბანკის“ შექენაზე მხარეებს შორის მოლაპარაკებები აქტიურად წლის დასაწყისიდან მიმდინარეობდა.

„ლიბერთი ბანკი“ საქართველოს რიგით მესამე უმსხვილესი ბანკია. 2025 წლის სექტემბრის მდგომარეობით, ბანკის აქტივები 5.77 მილიარდი ლარია, ხოლო საკრედიტო პორტფელი 4.12 მილიარდი ლარი. ბანკს 2025 წლის 9 თვეში 94.5 მილიონი ლარის მოგება ჰქონდა. ბანკის მფლობელია ბიზნესმენ ირაკლი რუხაძის საინვესტიციო ჰოლდინგი Hunnewell Partners-ი.

„ბაზისბანკი“ ჩინური „ჰუალინგ ჯგუფის“ საკუთრებაშია. ის აქტივების ზომით, ანუ 4.47 მილიარდი ლარით საქართველოს რიგით მეოთხე ბანკია, ხოლო მისი საკრედიტო პორტფელი 3.13 მილიარდი ლარია. ბანკს 2025 წლის 9 თვეში 79.3 მილიონი ლარის მოგება ჰქონდა.

გაერთიანების შემთხვევაში, ამ ორი ბანკის აქტივების ზომა 10.24 მილიარდი ლარი, საკრედიტო პორტფელი კი 7.25 მილიარდი ლარი იქნება.

საქართველოს საბანკო სისტემა

საქართველოს საბანკო სისტემა – ამ რუბრიკით ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე შექდება საქართველოში მოქმედი ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობა, ის სიახლეები, მიღწევები და პრობლემები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საბანკო-საფინანსო სფეროში ხდება.

რუბრიკას უძღვება „ააფის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი მაკა ხარაზიშვილი.

**რა ღირს ანაბარი საქართველოს
კომერციულ ბანკებში და რამდენად
დაცულია ჩვენი ფული**

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტომ დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა მესამედ გაზარდა. 2026 წლის აპრილიდან კომერციულ ბანკებში მოქალაქეების 50 ათას ლარამდე ანაბარი იქნება დაზღვეული. ამჯერად ეს მოცულობა 30 ათასი ლარია. სპეციალისტები ამბობენ, რომ ბანკში თანხის დეპოზიტებზე განთავსება ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხოა. ერთი მხრივ კომერციული ბანკები ეროვნული ბანკის მუდმივი მონიტორინგის ქვეშაა, ხოლო მეორე მხრივ საქართველოს კომერციულ ბანკში გახსნილი ყველა დეპოზიტი ავტომატურად დაზღვეულია გახსნისთანავე. დღეს ალბათ, იშვიათად არის ადამიანი, რომელიც ფულს ბანკში არ ინახავს. თუმცა, ბანკი მხოლოდ ფულის შესანახად არ არის, მომხმარებელმა სარგებელიც უნდა მიიღოს, ვინაიდან თავის მხრივ ბანკები მომხმარებლის თანხებს საკუთარი მოგებისთვის იყენებენ. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სარგებლის მიღების თვალსაზრისით მოქალაქეებს დიდი არჩევანი არ აქვთ, ვინაიდან საქართველოში თითქმის ყველა ბანკს, დეპოზიტზე მსგავსი საპროცენტო განაკვეთები აქვთ.

**როგორ არის დაცული მოქალაქეების
ფული კომერციულ ბანკებში**

კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების დამატებითი უსაფრთხოებისთვის 2018 წლის 1-ლი იანვრიდან საქართველოში მოქმედი ყველა ბანკი დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში ჩაერთო. თავდაპირველად დაზღვევის ლიმიტი 5 ათას ლარს შეადგენდა. 2020 წლის 1-ლი ივლისიდან სადაზღვეო ლიმიტი 15 000 ლარამდე გაიზარდა, ხოლო 2024 წლის 1-ლი იანვრიდან თითოეული დეპოზიტარისთვის თითოეულ კომერციულ ბანკსა და მიკრობანკში სადაზღვეო ზღვარი 30 000 ლარის ოდენობით განისაზღვრა. მომავალი წლის გაზაფხულიდან კი, ეს სისტემა კიდევ უფრო ფართოვდება და 50 000 ლარამდე იზრდება. დაზღვევის სააგენტოს ხელმძღვანელის, ლევან თოდუას ინფორმაციით, 2025 წელს ბანკებს სავალდებულო შენატანების სახით სააგენტოში წლიურად 75 მილიონი ლარის გადახდა მოუწევთ. შემდეგი წლისთვის, ლიმიტის ზრდის ფონზე კი გადასახდელი 80 მილიონი ლარი ექნებათ.

დაზღვევა ეხება საქართველოში მოქმედ ნებისმიერ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში არსებულ დეპოზიტებს. დაზღვევას არ ექვემდებარება მხოლოდ ის დეპოზიტები, რომელზე წვდომის უფლებაც დეპოზიტარს შეზღუდული აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, მაგალითად ყადაღა, სესხის უზრუნველყოფის საგარანტიო თანხები და სხვა. არ იზღვევა კომერციული ბანკების ან მიკრობანკების ადმინისტრატორების, 5%-ზე მეტი წილის მფლობელი აქციონერების და მათი ოჯახის წევრების დეპოზიტები. ასევე, არ იზღვევა ფინანსური ინსტიტუტების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს დეპოზიტები.

იმ შემთხვევაში, თუკი დეპოზიტორს ერთ კომერციულ ბანკში რამდენიმე ანგარიში აქვს, მისი ანგარიშები აღნიშნული კომერციული ბანკისთვის ჯამდება და ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ზღვარი, ამ დროისთვის, 30 000 ლარი იქნება. თუ დეპოზიტორს აქვს რამდენიმე ანგარიში სხვადასხვა კომერციულ ბანკში და მიკრობანკში, მისი ყველა ანგარიში ყველა კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია ცალ-ცალკე, დადგენილი ზღვრის ფარგლებში.

კანონმდებლობის მიხედვით, დეპოზიტარს თანხა აუნაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციული ბანკისა და მიკრობანკის ლიკვიდაციას ოფიციალურად გამოაცხადებს. ლიკვიდაციის გამოცხადებიდან 5 დღეში სააგენტო აქვეყნებს ანაზღაურების პროცესის დეტალურ ინსტრუქციას. ანაზღაურება ხდება შერჩეული კომერციული ბანკის ან მიკრობანკის საშუალებით. ანაზღაურების პროცესი იწყება სადაზღვეო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 20 კალენდარულ დღეში. დეპოზიტარს საშუალება ექნება კუთვნილი თანხა მიიღოს როგორც ნაღდი, ისე უნაღლო ანგარიშსწორებით. ამასთანავე, დეპოზიტარს კუთვნილი თანხის მიღება 3 წლის განმავლობაში შეუძლია. თუ დეპოზიტის თანხა 30 000 ლარს აღემატება, არც ეს თანხა დაიკარგება, მისი ანაზღაურება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოხდება. კერძოდ, კომერციული ბანკი საქმიანობას მხოლოდ ეროვნული

ბანკის მხრიდან საქმიანობის ლიცენზიის მიღების შემდეგ იწყებს. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად სხვა პირობების დაკმაყოფილების გარდა, იურიდიულმა პირებმა უნდა წარადგინოს საზელამხედველო კაპიტალი 50 მილიონი ლარის ოდენობით. ეს ნიშნავს, რომ ბანკს შექმნის მომენტში განსაზღვრული აქვს თანხა, რომელსაც გამოიყენებს საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი სხვადასხვა რისკის დასაბალანსებლად. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული ბანკი დეპოზიტარების თანხების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კომერციულ ბანკს უდგენს მთელი რიგ მოთხოვნებს, მათ შორის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და პერმანენტულ ზედამხედველობას უწევს მას ამ მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად, რაც განაპირობებს საბანკო სექტორის სტაბილურობასა და სანდოობას.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოში დეპოზიტების ავტომატური დაზღვევის სისტემა და კანონმდებლობით გაწერილი რეგულაციები მოქმედებს მხოლოდ მოქმედ კომერციულ ბანკებში განხილულ ანაბრებზე. სხვა არასაბანკო დაწესებულებაში ინვესტირებული თანხები ამ სქემით დაზღვეული არ არის. წინა პერიოდებში იყო შემთხვევები, როდესაც მოქალაქეებს სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციაში ჰქონდათ ჩადებული, რომელიც ეროვნული ბანკის რეგულირების ქვეშ არ იყვნენ და ამ ორგანიზაციების გაკოტრების შემდეგ ეს თანხები დაიკარგა.

2025 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, კომერციულ ბანკებში არსებული დეპოზიტების საერთო მოცულობა 67,259 მილიარდ ლარს შეადგენს. მათ შორის, ფიზიკური პირების დეპოზიტები 34,067 მილიარდი ლარია (ეროვნულ ვალუტაში – 12,295 მილიარდი ლარი, უცხოურ ვალუტაში – 21,771 მილიარდი ლარის ეკვივალენტი), ხოლო იურიდიული პირების – 33,191 მილიარდი ლარი (ეროვნულ ვალუტაში – 21,417 მილიარდი ლარი, უცხოურ ვალუტაში – 11,774 მილიარდი ლარის ეკვივალენტი).

დეპოზიტების დაზღვევის სისტემით დაზღვეული დეპოზიტების საერთო მოცულობა 11,489 მილიარდ ლარს შეადგენს. ფიზიკური პირების დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა სულ 10,514 მილიარდი ლარია, მათ შორის ეროვნულ ვალუტაში დაზღვეულია 5,670 მილიარდი ლარის მოცულობის დეპოზიტები, უცხოურ ვალუტაში – 4,843 მილიარდი ლარის ეკვივალენტი, ხოლო იურიდიული პირების დაზღვეული დეპოზიტები 975,679 მილიონი ლარია (ეროვნულ ვალუტაში – 749,318 მილიონი ლარი, უცხოურ ვალუტაში – 226,361 მილიონი ლარის ეკვივალენტი).

როგორ შევარჩიოთ კომერციული ბანკი ანაბრის გასახსნელად

ზოგადად, მოქალაქე სანამ კონკრეტულ ბანკში დეპოზიტის გახსნის გადაწყვეტილებას მიიღებს, გონივრულია მოიძიოს ყველა შესაძლო ალტერნატივა,

შეადაროს პირობები, თუ რა სარგებელს მიიღებს ბანკისთვის საკუთარი თანხის მინდობით. ზოგადად, რაც მეტია დეპოზიტის ვადა (24 თვე და მეტი), მით უფრო მეტია მისაღები სარგებელი. ზოგადად მომხმარებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს არა ნომინალურ საპროცენტო განაკვეთს, არამედ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს, სხვადასხვა ალტერნატივის შედარებისას უფრო ხელსაყრელი ის დეპოზიტი იქნება, რომლის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უფრო მაღალია. ხშირია შემთხვევა, როდესაც ბანკები მომხმარებელს დეპოზიტის, ან კრედიტის გახსნისას ნომინალურ საპროცენტო განაკვეთზე აძლევენ ინფორმაციით, რეალურად ისინი სარგებელს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით იღებენ და შესწასაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთით იხდიან, რომელიც ნომინალური საპროცენტო განაკვეთისგან განსხვავებულია.

საქართველოში 17 კომერციული ბანკია და 2 მიკრობანკი. დავინტერესდით, მომხმარებლისთვის ყველაზე პოპულარულ ბანკებში რამდენია საპროცენტო განაკვეთი ანაბრზე.

„თიბისი ბანკში“ 24 თვიან და მეტ ვადიან ანაბრზე ლარში ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 9,47 პროცენტიდან იწყება, დოლარში 1,44 პროცენტიდან, ხოლო ევროში – 0,55 პროცენტიდან.

დაახლოებით იგივე განაკვეთებია „საქართველოს ბანკში“, ლარის ანაბრზე – 9,83 პროცენტი, დოლარში ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 1,98 პროცენტი, ხოლო ევროში – 0,6 პროცენტი.

„ლიბერთი ბანკში“ – ვადიანი ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი – 10,67 პროცენტი, დოლარში 2,97 პროცენტი, ხოლო ევროში 1,99 პროცენტი.

„ბაზისბანკში“ ვადიანი ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი – 10,44 პროცენტი, დოლარში – 3,88 პროცენტი, ხოლო ევროში – 2,47 პროცენტი.

რაც შეეხება მიკრობანკებს, შედარებით უკეთესი საპროცენტო განაკვეთი აქვს „კრისტალს“, იგი მომხმარებელს გრძელვადიან ანაბარს ლარში 13,58 ეფექტური საპროცენტო განაკვეთით სთავაზობს, დოლარი – 5,64 პროცენტი, ევრო – 4,07 პროცენტი.

ეკონომისტი გიორგი ხიშტოვანი აღნიშნავს, რომ კომერციულ ბანკებს უცხოური ვალუტისგან განსხვავებით, ლარზე გაზრდილი მოთხოვნა აქვთ. ამიტომაც ყველა ბანკი ცდილობს ლარის ანაბარს ის მაქსიმალური პროცენტი დაადოს, რისი გადახდაც შესაძლებელია. ამასთანავე, მისი განმარტებით, ბანკები მომხმარებელთან ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზეც განსაზღვრავენ საპროცენტო განაკვეთს, ანუ როგორც კრედიტის, ისე დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთებზე ბანკებთან „ვაჭრობა“ შესაძლებელია.

„ჩვეულებრივი პრაქტიკა გახდა, რომ ბანკში კონკრეტული პროდუქტის პირობებზე მომხმარებელთან ინდივიდუალურად მიდის მოლაპარაკებები. ამიტომ ვებ-გვერდზე მითითებული საპროცენტო მაჩვენებელი, შეიძლება განვიხილოთ, როგორც საორიენტაციო.

ზოგადად, ლარის ანაბრებზე საპროცენტო განაკვეთი ბევრად მაღალია, ვიდრე უცხოურ ვალუტაზე, ვინაიდან კომერციულ ბანკებს ეროვნული ვალუტა უფრო მეტად ჭირდება“, – ამბობს გიორგი ხიშტოვანი.

დეპოზიტის კიდევ ერთი სახეობაა სადეპოზიტო სერტიფიკატი (ამას მოქალაქეები იშვიათად იყებენ), რომელსაც ბანკები სთავაზობენ თავის მომხმარებლებს. სადეპოზიტო სერტიფიკატი – ეს არის ერთგვარი ფასიანი ქაღალდი, რომლითაც ბანკი იღებს ვალდებულებას, სერტიფიკატით განსაზღვრულ დღეს გადაუხადოს სერტიფიკატის მფლობელს წინასწარ განსაზღვრული თანხა. ანუ მოქალაქე სადეპოზიტო სერტიფიკატს ყიდულობს უფრო იაფად, ვიდრე მასში ბანკი თანხას გადაუხდის სერტიფიკატზე მითითებული ვადის ბოლოს. საბოლოო ჯამში, დეპოზიტების მსგავსად, სადეპოზიტო სერტიფიკატი საშუალებას გაძლევთ თქვენი თანხა მიანდოთ ბანკს და წინასწარ შეთანხმებული ვადის გასვლის შემდეგ ამ თანხასთან ერთად მიიღოთ დამატებითი სარგებელიც.

სერტიფიკატი მისი სახელშეკრულებო პირობების მიხედვით შეიძლება იყოს სტანდარტული და არასტანდარტული. მთავარი განსხვავება მათ შორის არის ის, რომ სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატის პირობები საკანონმდებლო დონეზეა რეგულირებული. მაგალითად, ბანკს შეუძლია არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატის სახელშეკრულებო პირობები წინასწარი შეტყობინების 30-დღიანი ვადის დაცვით ცალმხრივად შეცვალოს, სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატის პირობების ცვლილება კი ვადის ბოლომდე დაუშვებელია. ამასთანავე, სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატი შეიძლება იყოს დისკონტური ან საპროცენტო.

დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატი გულისხმობს, რომ მას დისკონტური ფასით ყიდულობთ და ვადის ბოლოს ნომინალურ ფასს იღებთ. მაგალითად, თუ ყიდულობთ 1,000 ლარიან სადეპოზიტო სერტიფიკატს, ყიდვის მომენტში მასში შესაძლოა პირობითად 900 ლარი გადაიხადოთ, მაგრამ ვადის ბოლოს ბანკი მის ნომინალურ ფასს ანუ 1,000 ლარს გადაგიხდით. საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის ფლობისას კი განსაზღვრულია საპროცენტო სარგებელი, რომელსაც დამატებით მიიღებთ იმ თანხასთან ერთად, რაც სადეპოზიტო სერტიფიკატში გადაიხადეთ. მაგალითად, თუ საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატი 1,000 ლარად შეიძინეთ, ბანკი აღნიშნულ თანხასთან ერთად ვადის მიხედვით შემოგთავაზებთ გარკვეულ საპროცენტო სარგებელსაც, რომელსაც პერიოდულად ან ვადის ბოლოს მიიღებთ.

ჯერჯერობით, მოქალაქეებისთვის ყველაზე სასურველი პროდუქტი ტრადიციული ანაბარია. კომერციულ ბანკებს, ანაბრის სახეობები თავის საპროცენტო განაკვეთებით საკუთარ ვებ-გვერდებზე აქვთ მითითებული, მათ ამის ვალდებულება ეროვნული ბანკისგან აქვთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მომხმარებელმა აუცილებლად ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს უნდა მიაქციოს ყურადღება. ლარის ანაბარზე განაკვეთები, ყველა ბანკში გაცილებით მაღალია, ვიდრე უცხოური ვალუტის ანაბარზე. უცხოურ ვალუტაში დაბალ საპროცენტო განაკვეთებს განაპირობებს ისიც, რომ ლარიზაციის პოლიტიკის ფარგლებში ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მიმართ უცხოურ ვალუტაზე მკაცრი სარეზერვო მოთხოვნები აქვთ.

მაკა ხარაზიშვილი

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის ანგარიშს აქვეყნებს

5 ნოემბერს, სებ-მა გაზრდილი ინფლაციის მიუხედავად, რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად, 8%-ზე შენარჩუნების გადაწყვეტილება მიიღო. ამასთან მიუთითა, რომ 2025 წელს საშუალო ინფლაცია აქამდე პროგნოზირებული 3.8%-ის ნაცვლად, 4% იქნება, ასევე გაიზარდა 2026 წლის ინფლაციის პროგნოზი 3.1%-დან 3.5%-მდე. ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის თანახმად, ინფლაციის მატების მიუხედავად ამ ეტაპზე რეფინანსირების განაკვეთი არ გაზარდა იმიტომ, რომ ინფლაცია მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია სურსათის ფასების მატებასთან, რასაც ფასების საერთო დონეზე ერთჯერადი ეფექტი ექნება და ის ეტაპობრივად ამოიწურება.

ცენტრალური სცენარი

- 2025 წელს ინფლაცია საშუალოდ 4%-ის ფარგლებში იქნება, ხოლო 2026 წელს 3.5%-მდე შემცირდება;
- ეკონომიკური ზრდა 2025 და 2026 წლებში შესაბამისად 7.4%-სა და 5%-ს შეადგენს.

„გლობალურად მიმდინარე ტენდენციების ფონზე, ეკონომიკური გაურკვევლობა მაღალია. აქედან გამომდინარე, სები ცენტრალურ სცენართან ერთად სხვადასხვა რისკ-სცენარსაც განიხილავს“, – აღნიშნავენ სებ-ში.

სებ-ი განიხილავს როგორც მაღალი ინფლაციური, ასევე დაბალი ინფლაციური რისკის სცენარებს.

„იმ შემთხვევაში, თუ ინფლაციაზე მოქმედი ერთჯერადი ფაქტორების გავლენა გახანგრძლივდა, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი მზად არის არსებული მკაცრი პოზიციის მოსალოდნელზე ხანგრძლივად შესანარჩუნებლად და, საჭიროების შემთხვევაში, უფრო მეტად გასამკაცრებლადაც.

საქართველოს ეროვნული ბანკი აღნიშნავს, რომ სებ-ი ყველა ინსტრუმენტს გამოიყენებს ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად, რაც იმას ნიშნავს, რომ ფასების საერთო დონის ზრდა საშუალოვადიან პერიოდში 3 პროცენტთან ახლოს იქნება“, – აღნიშნულია სების მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

ეკონომიკა და პოლიტიკა

ეკონომიკა და პოლიტიკა – ამ რუბრიკით გამოქვეყნებულ სტატიებში განხილულია საქართველოში მიმდინარე ის მოვლენები და პროცესები, რომლებიც კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებასთან; აგრეთვე შევსებით სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას მსგავს სიტუაციებში.

უერთბუნება უტატებმა რუსულ ენერგობიზანტებს სანქციები დაუწესა

რა გავლენა ექნება საქართველოზე „ლუკოილის“ დასანქცირებას

22 ოქტომბერს ცნობილი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა რუსეთის ორ უმსხვილეს ენერგეტიკულ კომპანიას სანქციები დაუწესა. „როსნეფტი“ და „ლუკოილი“ მას შემდეგ გახდნენ სანქციების სამიზნე, რაც რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მრავალი მოწოდების მიუხედავად, უკრაინასთან ომის შეჩერების გადაწყვეტილება არ მიიღო.

საქართველოში რუსეთის სახელმწიფო კომპანია „როსნეფტს“ აქტივები აღარ აქვს. სამაგიეროდ, ფართო ქსელი აქვს კერძო კომპანია „ლუკოილს“, რომლის დასანქცირებაც გარკვეულ გავლენას მოახდენს საქართველოს ნავთობის ბაზარზეც და შესაძლოა საბანკო სექტორზეც კი, თუკი რომელიმე ბანკი დასანქცირებული კომპანიის საბანკო მომსახურებას გაბედავს.

რას ითვალისწინებს სანქციები

„როსნეფტისა“ და „ლუკოილის“ წინააღმდეგ დაწესებული სანქციები აშშ-ის პრეზიდენტის №14024 განკარგულებას ეყრდნობა, რომლის მთავარი მიზანიც რუსეთის მიერ უკრაინაში წარმოებული ომის შეჩერებაა. მარტივად რომ ვთქვათ, მიზანია რუსეთმა ნავთობპროდუქტების გაყიდვით ვერ მიიღოს ის შემოსავალი, რასაც ომის დასაფინანსებლად და აგრესიის გასაგრძელებლად იყენებს.

სანქციები ითვალისწინებს ქონების დაყვანებასა და აქტივების გაყინვას როგორც უშუალოდ განკარგულებაში მითითებული კომპანიებისთვის, ასევე იმ კომპანიებისთვისაც, რომელთა აქტივებსაც სანქცირებული იურიდიული პირები ფლობენ. სანქციები შესაძლებელია დაუწესდეთ ფიზიკურ პირებსაც.

ახალი ამერიკული სანქციები ითვალისწინებს სანქცირებული კომპანიების ქონებისა და აქტივების სრულ გაყინვას, რომელიც მდებარეობს აშშ-ში, არის აშშ-ის მოქალაქეების საკუთრებაში ან მართავენ მას;

იკრძალება ყველანაირი ტრანზაქცია (გარკვეული გამონაკლისების გარდა), რომელსაც ახდენს აშშ-ის მოქალაქე ან აშშ-ში მყოფი პირი, თუკი ისინი რაიმე სახით არიან დაკავშირებული დაბლოკილ ქონებასთან ან მის მიმართ აქვთ ინტერესი;

სანქციები შეეხება ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელშიც სანქცირებულ კომპანიას პირდაპირ თუ ირიბად მინიმუმ 50%-იანი წილი მაინც აქვს.

ასევე, ცნობილი გახდა მოსალოდნელი სასჯელი, თუკი ვინმე სანქციებს უგულვებელყოფს – მნიშვნელობა არ აქვს, აშშ-ის მოქალაქე იქნება თუ სხვა ქვეყნის. ისინი შესაძლოა სისხლის სამართლის წესითაც გაასამართლონ.

როგორც „რადიო თავისუფლება“ აღნიშნავს, სასანქციო სიაში „როსნეფტისა“ და „ლუკოილის“ გარდა მათი შვილობილი 40-მდე კომპანიაა მითითებული.

ოფიციალურ განცხადებაში მითითებულია, რომ სანქცირებულ მხარესთან განხორციელებულმა ტრანზაქციებმა „შესაძლოა გამოიწვიოს მეორადი სანქციები მონაწილე უცხოური საფინანსო ინსტიტუციებისთვის“, ეს კი ნიშნავს, რომ რისკის წინაშე დგება ყველა ბანკი, რომელიც სანქცირებულ კომპანიებს მოემსახურებიან.

ცნობილია, რომ „როსნეფტმა“ 2022 წელს გაასხვისა საქართველოში არსებული აქტივები. კერძოდ, 2022 წლის მაისში „როსნეფტმა“ გაყიდა თავისი 49%-იანი წილი Petrocas Energy Group-ში, რომელიც ფლობს „გალფის“ ავტოგასამართ სადგურების ქსელს და ფოთის ნავთობტერმინალს. შესაბამისად, „როსნეფტს“ ამჟამად საქართველოში პირდაპირი ბიზნესაქტივები აღარ აქვს.

სამაგიეროდ, საქართველოში არსებობს „ლუკოილის“ აქტივები და სწორედ მათ შეეხებათ შეერთებული შტატების პრეზიდენტის განკარგულება, რომლის მიხედვითაც, კომპანიები ვერ მიიღებენ საერთაშორისო საბანკო გადარიცხვებს, მათ შორის დოლარში; „ლუკოილს“ მიეცა ვადა 2025 წლის 21 ნოემბრამდე, რათა მოახდინოს საერთაშორისო აქტივების გაყიდვა; სანქციები ვრცელდება ყველა იმ შვილობილ კომპანიაზე, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ეკუთვნის „ლუკოილს“.

დონალდ ტრამპმა, უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, მეორე საპრეზიდენტო ვადაში პირველად დაუწესა სანქციები რუსეთის ენერგეტიკულ სექტორს. აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულია, რომ უწყება მზადაა, დამატებითი ზომების მისაღებადაც, თუ მოსკოვი უკრაინაში მიმდინარე ომში ცეცხლის შეწყვეტას დაუყოვნებლივ არ დათანხმდება.

„ომის გათვალისწინებით, რომ პრეზიდენტი პუტინი უარს ამბობს ამ უაზრო ომის დასრულებაზე, ფინანსთა სამინისტრო სანქციებს უწესებს რუსეთის ორ უდიდეს ნავთობკომპანიას, რომლებიც კრემლის საომარ მანქანას აფინანსებენ“, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა,

სკოტ ბესენტმა – „ჩვენ მოუწოდებთ მოკავშირეებს, შემოგვიერთდნენ და ეს სანქციები დაიცვან“.

ექსპერტების თქმით, ეს ნაბიჯი ტრამპის პოლიტიკაში მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს, რადგან მას აქამდე რუსეთისთვის უკრაინაში ომის გამო სანქციები არ დაუწესებია და ძირითადად სავაჭრო ბერკეტებს ეყრდნობოდა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, რუსეთის შესაჩერებლად სავაჭრო შეზღუდვები საკმარისი არ არის.

მოკლედ, შეერთებულმა შტატებმა „ლუკოილს“ ფინანსური სანქციები 2025 წლის 22 ოქტომბერს დააკისრა და თან მიუთითა, რომ კომპანიას აძლევს ერთვიან გარდამავალ პერიოდს, 2025 წლის 21 ნოემბრამდე, რათა მისი საერთაშორისო აქტივები გაყიდოს. აღნიშნული თარიღის შემდეგ „ლუკოილის“ შვილობილები, რომლებიც რუსეთს გარეთ იმყოფებიან, საბანკო გადახდებს ვეღარ მიიღებენ. მათ შორის ოპერაციები შეუჩერდება „ლუკოილ საქართველოსაც“.

ცნობილია, რომ „ლუკოილის“ ავტოგასამართი სადგურების ქსელი რუსეთის მიღმა, საქართველოს გარდა შემდეგ ქვეყნებში ოპერირებს: ბულგარეთში, ხორვატიაში, მაკედონიაში, მონტენეგროში, რუმინეთში და სერბეთში – ჯამში 750-ზე მეტი გასამართი სადგური ფუნქციონირებს. „ლუკოილი“ ასევე ფლობს ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებს ევროპაში.

ამერიკული სანქციები და „ლუკოილ საქართველო“

ის ფაქტი, რომ შეერთებულმა შტატებმა დაასანქცირა რუსული ენერგოგიგანტი „ლუკოილი“ და ყველა მისი შვილობილი კომპანია, რომელშიც „ლუკოილი“ 50%-ზე მეტს ფლობს, თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს ნავთობბაზარისთვისაც. მართალია, „ლუკოილ საქართველოს“ მფლობელი ავსტრიაში რეგისტრირებული LUKOIL International GmbH-ია, მაგრამ, ეს კომპანია რუსული „ლუკოილის“ შვილობილია და შესაბამისად, დაწესებული სანქციები მასზეც ვრცელდება.

BM.GE აქვეყნებს ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც „ლუკოილ საქართველოს“ გენერალური დირექტორის პოსტს რუსეთის მოქალაქე, რომან პეტრამოვი იკავებს. კომპანიას 2024 წლის ფინანსური შედეგები უკვე გამოქვეყნებული აქვს. დოკუმენტის თანახმად, გასულ წელს „ლუკოილის“ შემოსავალმა 762.5 მილიონ ლარს მიაღწია, რაც 2023 წელთან შედარებით დაახლოებით 279 მილიონი ლარით მეტია.

ფინანსური ანგარიშის მიხედვით, გასულ წელს „ლუკოილი“ წმინდა მოგება თითქმის ორჯერ გაიზარდა და 35.5 მილიონ ლარს მიაღწია.

„ლუკოილის“ ხარჯების უდიდესი ნაწილი – 703.8 მილიონი ლარი – ნავთობპროდუქტების შესყიდვაზე მოდიოდა. სახელფასო ხარჯები 13 მილიონი ლარი იყო, ხოლო ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები 3.5 მილიონ ლარს შეადგენდა.

მიღებული შემოსავლიდან 566.8 მილიონი ლარი საბითუმო ბაზარზე ნავთობპროდუქტების რეალიზაციიდან, 195.7 მილიონი ლარი კი საცალო გაყიდვებიდან მოვიდა. ასევე, ავტოგასამართ სადგურებთან არსებული მაღაზიების მიერ მიღებულმა შემოსავალმა 3.8 მილიონი ლარი შეადგინა.

კომპანია საქართველოში ოპერირებს 24 საკუთრებაში არსებული, 26 იჯარით აღებული და 10 ფრანჩაიზული ავტოგასამართ სადგურის მეშვეობით, რომლებიც ქვეყნის ყველა რეგიონშია განთავსებული. მისი ძირითადი მომწოდებელი ბულგარეთში მდებარე LUKOIL NEFTOHIM BURGAS AD-ია, რომელიც „ლუკოილის“ ჯგუფში შედის.

2024 წელს დასრულდა კომპანიის საკუთრების გადაცემის პროცესი – „ლუკოილ ჯორჯია“ LITASCO SA-სგან გადავიდა LUKOIL International GmbH-ის საკუთრებაში, რომელიც საბოლოოდ „ლუკოილის“ საჯარო სააქციო საზოგადოების კონტროლის ქვეშაა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამერიკული სანქციები გამონაკლისებსაც ითვალისწინებს. კერძოდ, სანქციების დოკუმენტს აშშ-ის ხაზინამ დაურთო განმარტება, რომლის მიხედვითაც 2025 წლის 21 ნოემბრამდე, სანქციები რუსეთის ფედერაციის გარეთ არსებულ „ლუკოილის“ ბენზინგასამართ სადგურებს არ შეეხება. ამ თარიღის შემდეგ თუკი აღნიშნული სადგურები კვლავ კომპანიის საკუთრებაში იქნება, მათზეც ფინანსური სანქციები გავრცელდება. ეს სანქციები გულისხმობს იმას, რომ ბანკები სავადახლო ოპერაციების წარმოებას შეწყვეტენ.

ოქტომბრის ბოლოს ცნობილი გახდა რომ „ლუკოილის“ საერთაშორისო აქტივებს მყიდველი გამოუჩნდა. წესით, საქართველოში არსებული აქტივები ახალი მფლობელის ხელში უნდა გადასულიყო. კერძოდ, ლაპარაკია კვიპროსში რეგისტრირებულ კომპანია Gunvor Group-ზე. „ლუკოილმა“ განცხადება გაავრცელა, რომ მათ მიიღეს შემოთავაზება კვიპროსში რეგისტრირებული Gunvor Group-ისგან მათი საერთაშორისო აქტივების მფლობელი კომპანიის – ავსტრიაში რეგისტრირებული LUKOIL International GmbH-ის გაყიდვის თაობაზე. დასახელდა გარიგების სავარაუდო ფასიც – მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, Gunvor Group-ი მზად იყო „ლუკოილის“ აქტივებში 22 მილიარდი აშშ დოლარი გადაეხადა.

ნავთობით მოვაჭრე Gunvor Group-ი შეედი ბიზნესმენის, ტორბიონ ტორნგქვისტის და რუსი მილიარდერის, გენადი ტიმჩენკოს მიერ არის დაფუძნებული. კომპანიის თანახმად, ტიმჩენკო ამჟამად მათი აქციონერი აღარაა და მისი ძირითადი მფლობელი თავად ტორნგქვისტია. კომპანიის ფინანსური ანგარიშის მიხედვით, 2024 წელს Gunvor-ის შემოსავალი 136.5 მილიარდი დოლარი იყო, მოგება კი 750 მილიონი დოლარი. Forbes-ის თანახმად, ტორბიონ ტორნგქვისტის ქონება 5.4 მილიარდ დოლარს შეადგენს.

განცხადების თანახმად, „ლუკოილი“ მისი აქტივების

Gunvor Group-ზე გასხვისებას დათანხმდა, თუმცა გარიგებას ესაჭიროება იმ ქვეყნების თანხმობა, რომლებმაც მათ სანქციები დაადეს. 7 ნოემბერს კი ცნობილი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია. აშშ-მა დაბლოკა კომპანია Gunvor-ის წინადადება Lukoil-ის საერთაშორისო აქტივების შესყიდვასთან დაკავშირებით. აშშ-ის ხაზინის მიერ გამოქვეყნებული პრესრელიზის თანახმად, Gunvor-ი კრემლის მარიონეტს წარმოადგენს და კომპანია დღემდე რუსული გავლენის ქვეშ ოპერირებს, შესაბამისად მასზე ლიცენზიას ვერ გასცემენ.

სანქციების შესაძლო გავლენა საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთს მიღმა არსებული ნავთობგასამართი სადგურების შეუფერხებლად ფუნქციონირების ვადა 21 ნოემბერს იწურება. შესაბამისად, თუკი საქართველოში არსებული „ლუკოილის“ საწვავის გასამართი სადგურები ახალი მფლობელის საკუთრება არ გახდება, მათ უკვე საბანკო მომსახურება შეეზღუდებათ. სანქციების მიმართ კომპანიის დაუმორჩილებლობა მხოლოდ ერთი კომპანიის პრობლემა რომ არ არის, ეგეც ცხადია. ყურადღების ქვეშ უკვე ქვეყანა ექცევა და საქართველოს ხელისუფლება საეჭვოა საერთაშორისო სანქციების წინააღმდეგ წავიდეს. ამიტომ, ყველაზე უკეთესი გამოსავალი კომპანიის აქტივების იმ მყიდველზე გასხვისება იქნება, რომელზეც ამერიკის მთავრობა არ იქნება წინააღმდეგი.

რაც შეეხება საქართველოს ბაზარზე წილების გადანაწილებას, დაახლოებით ასეთი სურათია. ყველაზე დიდ წილს ფლობს აზერბაიჯანული კომპანია „სოკარი“, რომლის წილად ბაზრის დაახლოებით 35% მოდის. შემდეგია კომპანია „ვისოლი“ რომელიც ბაზრის დაახლოებით 25%-ს ფლობს. მესამე ადგილს იკავებს კომპანია „გალფი“, ბაზრის დაახლოებით 20%-იანი წილით და მეოთხეა „ლუკოილი“, საშუალოდ 15%-იანი წილით. უფრო თვალსაჩინოდ, მდგომარეობა მოცემულია ცხრილში, სადაც ასევე აღნიშნული, თუ ძირითადად რომელი ქვეყნიდან შემოაქვთ საწვავი თითოეულ კომპანიას.

კომპანია	ბაზრის წილი	ძირითადი წყარო
სოკარი	~35%	აზერბაიჯანი
ვისოლი	~25%	რუსეთი, რუმინეთი
გალფი	~25%	რუსეთი, თურქეთი
ლუკოილი	~15%	რუსეთი

რა კონკრეტული გავლენა შეიძლება ჰქონდეს „ლუკოილის“ დასანქცირებას საქართველოში არსებული მომხმარებლებისთვის? ექსპერტების თქმით, თუკი „ლუკოილის“ მიერ საქართველოში ექსპორტი შეფერხდება, ბაზარზე შეიძლება მცირე დეფიციტი

შეიქმნას, რაც თავის მხრივ შესაძლებელია საწვავის ფასების გაზრდის მიზეზი გახდეს. გავლენა შედარებით საგრძნობი შეიძლება აღმოჩნდეს იმ რეგიონებში, სადაც „ლუკოილს“ სხვებზე მეტად აქვს ქსელი განვითარებული.

კომენტარები ლუკოილის სანქცირებაზე

როდესაც ცნობილი გახდა რუსული ენერჯოკომპანიების სანქცირების შესახებ, მედია-საშუალებებმა სხვადასხვა უწყების წარმომადგენლების თუ პოლიტიკოსების და ექსპერტების კომენტარები გაავრცელეს. სანამ გაირკვეოდა, რომ რუსეთის მიღმა არსებული აქტივებისთვის გამონაკლისის სახით ერთთვის ვადა იყო გამოცხადებული, ბევრმა ჩათვალა, რომ საქართველოში ბანკებს მომენტალურად უნდა გაეყინათ კომპანიის ანგარიშები. თუმცა, მოგვიანებით როგორც გახდა ცნობილი, ამ მომენტისთვის ბანკებს საერთაშორისო სანქციების მიმართ ქართულ საბანკო სექტორს მოთხოვნები არ დაურღვევიათ.

23 ოქტომბერსვე გავრცელდა საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის, ნათია თურნავას კომენტარი:

„საერთაშორისო სანქციების რეჟიმების შემოღების დღიდან, ჩვენი საფინანსო სექტორი განუხრელად ასრულებს საერთაშორისო სანქციებს უკვე სამი წელია, პრაქტიკულად, ჩვენ არცერთი დარღვევის შემთხვევა არ გვქონია“, – უთხრა მან მედიას; ხოლო აშშ-ის სანქციებთან დაკავშირებით დაამატა, რომ „ეს შედარებით ახალი გადაწყვეტილებაა“ და საკითხს შეისწავლიან „საფინანსო სექტორი და რეგულატორი“ და იმოქმედებენ შესაბამისად.

„საზოგადოება და ბანკების“ დამფუძნებელმა გიორგი კეპულაძემ განაცხადა, რომ სანქციების გვერდის ავლას ვერცერთი ბანკი ვერ გარისკავს, რადგან ეს იოლად გამოვლინდება და სანქციები არც მათ არ ასცდებათ.

„ასეთ დროს, ყველა სანქცირებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირს, მინიმუმ ეზღუდება წვდომა საბანკო ანგარიშებზე და ბარათებზე. რა თქმა უნდა, ყველას დაუზურავენ ანგარიშებს, ვისაც სანქციები შეეხება. სულ რომ სახელმწიფომ ნება დართოს, ბანკები ამას არ გააკეთებენ“, – დარწმუნებულია კეპულაძე.

რა გავლენას მოახდენს აგრესორ პუტინზე და გამოიწვევს თუ არა ომის დაფინანსების მნიშვნელოვან შემცირებას ამერიკული სანქციები, ეგ ძნელი საპროგნოზოა. ამ ორი კომპანიის გარდა, რუსეთი სხვა გზებითაც ახერხებს რესურსების გაყიდვას და შემოსავლის მიღებას. ამიტომ, რუსეთის შემოსავლის შესამცირებლად კომპლექსური ზეწოლა აუცილებელი იქნება. თუმცა, იმის მოლოდინი, რომ საქართველოში არსებული „ლუკოილის“ აქტივები ძველებურად ვეღარ გააგრძელებს ფუნქციონირებას, ამკარაა. საქართველოს ხელისუფლება სავარაუდოდ ვერ გაბედავს საერთაშორისო სანქციების უგულვებლყოფას და სურს თუ არა, მისი გათვალისწინება მოუწვევს. ეროვნული ბანკიც იძულებულია დაემორჩილოს ამერიკულ სანქციებს

შპს „ლევერიჯ კონსალტინგი“ გთავაზობთ ფინანსურ სერვისებს თქვენი ბიზნესისთვის!

ჩვენი სერვისებია:

ფინანსური მენეჯერის/დირექტორის (CFO) აუტოსორსინგი

- თვის დახურვის კონტროლი და ფინანსური რეპორტების მომზადება (ბალანსი, მოგება-ზარალი, Cash-Flow);
- ფინანსური ანგარიშგების ანალიზი (კოეფიციენტების ანალიზი; ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი);
- ფინანსური მოდელირება და სცენარების ანალიზი;
- წლიური, კვარტალური და ყოველთვიური ბიუჯეტირება და გადახრების ანალიზი;
- საბრუნავი კაპიტალის მართვა;
- ფულადი სახსრების და ფულის საოპერაციო ციკლის მართვა, ფულადი სახსრების პროგნოზირება და გადახრების ანალიზი;
- მხარდაჭერა ინვესტორებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან კომუნიკაციაში და რესურსების მოზიდვაში;
- საინვესტიციო პროექტების შეფასებები და რეკომენდაციები.



ფინანსური ანალიზი და დიაგნოსტიკა

- კომპანიის ბიზნეს-პროცესების შესწავლა და ფინანსური მართვის სისტემების გამოვლენა;
- ფინანსური რეპორტების მომზადება (ბალანსი, მოგება-ზარალი, Cash-Flow);
- ფინანსური ანგარიშგების ანალიზი (კოეფიციენტების ანალიზი; ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი);
- კომპანიის საინვესტიციო და საოპერაციო ხარჯების ანალიზი;
- ბიზნესის ფინანსური შეფასება მომგებიანობის, ლიკვიდურობის, ეფექტიანობის, გადახდისუნარიანობის მიმართულებით;
- კომპანიის ზუსტი ფინანსური დიაგნოსტიკა და სტრატეგიის დაგეგმა მენეჯმენტთან ერთად.

ფინანსური მართვის პროცესების სრული მონერსიგება

- სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, ბუღალტრული აღრიცხვის პროცესების მონერსიგება და რეპორტირების სისტემის გამართვა/ჩამოყალიბება;
- ფინანსური მოდელირება და სტრატეგიული დაგეგმვა;
- ბიუჯეტირების პროცესის დანერგვა და კონტროლი;
- საოპერაციო ხარჯების მართვა და ოპტიმიზაცია;
- ფინანსური დეპარტამენტის მართვის პროცესების და KPI სისტემების დანერგვა;
- თვის დახურვის კონტროლი და ფინანსური რეპორტების მომზადება (ბალანსი, მოგება-ზარალი, Cash-Flow);
- ფინანსური ანგარიშგების ანალიზი (კოეფიციენტების ანალიზი; ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი);
- საბრუნავი კაპიტალის მართვა;
- ფულადი სახსრების და ფულის საოპერაციო ციკლის მართვა, ფულადი სახსრების პროგნოზირება და გადახრების ანალიზი;
- მხარდაჭერა ინვესტორებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან კომუნიკაციაში;
- საინვესტიციო პროექტების შეფასებები და რეკომენდაციები;
- კომპანიის ლიკვიდურობისა და მომგებიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესება.

დაგვიკავშირდით: მობ.: 579 30 71 71 // 598 55 53 15
info@levco.ge

და საქართველოში არსებულ ბანკებს გაუწიოს მკაცრი კონტროლი, რომ საერთაშორისო სანქციების გვერდის ავლით არ მოხდეს საბანკო ოპერაციების განხორციელება. რაც შეეხება საწვავის ბაზარს, წესით, რადიკალური ცვლილება არც მანდ უნდა მოხდეს. მართალია, რუსული საწვავის წილი 2025 წლის დასაწყისში დაახლოებით 55-60%-მდე გაიზარდა და იმპორტმა იანვარში 202 მილიონ დოლარს გადააჭარბა, მაგრამ შეგვიძლია გავიხსენოთ რა ხდებოდა საქართველოს ნავთობის ბაზარზე, ვიდრე ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდოდა. 2010-2012 წლებში საქართველოს ბაზარზე რუსული საწვავის წილი 3-7%-ს არ აღემატებოდა.

შესაბამისად, რაც არ უნდა შეფერხება მოჰყვეს საქართველოს საწვავით მომარაგებაში „ლუკოილის“ სანქცირებას, ალტერნატიული მომწოდებლები არსებობს და თუკი საქართველოს ხელისუფლების სურვილი იქნება, ნამდვილად არის შესაძლებელი რუსული ენერგორესურსების ალტერნატივის მოძებნა. ამ ეტაპზე კი, ცივილიზებული ქვეყნების მთავარი საზრუნავი უკრაინაში ომის შეჩერებაა და არა რუსეთისთვის სანქციების გვერდის ავლაში და ენერგორესურსების გაყიდვაში ხელის შეწყობა.

თემურ იობაშვილი

„ყვითელი ცხელება“ – მსოფლიოს და საქართველოს ოქროს ღირებულებამ თავბზა აუბნია

რატომ ირჩევს კაცობრიობა მაინცდამაინც ოქროს?

გლობალურ ბაზრებზე ოქროს მიმართ მოთხოვნა იზრდება. ზედიზედ რამდენიმე თვეა, ცენტრალური ბანკები ოქროს რეზერვებს გამოუდმებით ზრდიან და ეს ტენდენცია გაგრძელდება. ფაქტობრივად, ოქრო ხდება წამყვანი აქტივი და მისი საინვესტიციო ღირებულება მუდმივ ინტერესს იწვევს. ძირითადი ვალუტების არასტაბილურობის ფონზე, ინვესტორების მხრიდან, ყველაზე მყარ და უსაფრთხო თავშესაფრად სწორედ ოქრო მიიჩნევა. გაძვირებისკენ აღებული კურსი ძვირფასი ლითონების ბაზარზე დიდად არ შეიცვლება, თუმცა მორიგი საფასო რეკორდები ალბათ მოსალოდნელი აღარ არის. ახლა ბაზარი სტაბილურ რეჟიმში გადავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ოქრო მცირედით გაიაფდა, ანალიტიკოსები ცვლილებას დროებით ტენდენციად თვლიან და ფიქრობენ, რომ დაახლოებით ნოემბრის ბოლომდე 1 უნცია ოქროს ღირებულება 4300-დოლარიან ნიშნულს დაუბრუნდება. 13 ნოემბრის მდგომარეობით, ეს მაჩვენებელი 4190 დოლარის ფარგლებშია, მაშინ როდესაც 20 ოქტომბერს 4350 დოლარს აჭარბებდა.

აღსანიშნავია, რომ ოქროზე ცენტრალური ბანკების მხრიდან კვლავ ძლიერი მოთხოვნა ნარჩუნდება, რაც ძვირფასი მეტალის ფასს ზრდის. ანალიტიკოსების შეფასებით, 2025 წელი, სავარაუდოდ, ზედიზედ მე-4 წელი იქნება, როდესაც ბანკები, ჯამურად, 1000 ტონაზე მეტ ოქროს შეიძენენ.

როგორც ქართველი სპეციალისტები ამბობენ, მსოფლიო მონეტარულ პოლიტიკაში დიდი ძვრები ხდება და ამ პროცესში ერთვება საქართველოც, რაც ჩანს კიდევ ეროვნული ბანკის ქმედებებში, რომელიც ოქროს რეზერვებს ზრდის. საუბარია იმაზეც, რომ შესაძლოა, მსოფლიო ოქროს სტანდარტს დაუბრუნდეს.

13 ნოემბრის მდგომარეობით, მსოფლიო ბირჟებზე ერთი უნცია ოქრო 4194 აშშ დოლარის, ვერცხლის ფასი კი 53,25 დოლარის ფარგლებშია. რაც შეეხება საქართველოს, ამ დროისთვის თბილისის ოქროს ბირჟაზე 999-სინჯიანი 1 გრამი ოქრო 358 ლარი ღირს, 750-სინჯიანი – 268 ლარი, ხოლო 585-სინჯიანი 1 გრამი ოქროს ფასი 210 ლარია. 800 სინჯის 1 გრამი ვერცხლი 3.56 ლარი ღირს, ხოლო 999 სინჯის – 4.45 ლარი.

რაც შეეხება სხვა ძვირფასი ლითონების ფასს, მაგალითად, პლატინის ღირებულება 13 ნოემბრის მდგომარეობით, ლონდონის ბირჟაზე დაახლოებით 1600 დოლარია, როცა 16 ოქტომბერს 1720 დოლარს

აჭარბებდა. პალადიუმის ღირებულება კი – 1680 დოლარიდან 1476 დოლარამდე დაიწია.

გლობალური ფასების ზრდა ქართული ბაზრისთვის დიდი გამოწვევაა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ნოდარ ფოფორაძის შეფასებით, საფასო ცვლილების ერთ-ერთი მიზეზი გეოპოლიტიკური ვითარებაა. ახლა ოქროს ფასს დიდწილად პოლიტიკური ვითარება განსაზღვრავს, თუმცა არის სხვა ფაქტორის გავლენაც. კერძოდ, ის გარემოება, რომ სახელმწიფოები მონეტარულ პოლიტიკას ცვლიან და ოქროში დაბანდებას პრიორიტეტს ანიჭებენ, რაც განსაკუთრებით ბოლო თვეების განმავლობაში იგრძნობა.

„ოქროს ქართული ბაზარი ყოველთვის მიჰყვება საერთაშორისო ტენდენციას და ახლაც ანალოგიურადაა. მსოფლიოში ძვირდება ოქრო და აქაც მატულობს ფასი. სამწუხაროდ, ჯერჯერობით კიდევ გრძელდება ტენდენცია და ასე იქნება, ვიდრე ეს სიტუაციაა მსოფლიოში. ვგულისხმობ, სანამ არ დასრულდება გადანაწილების პროცესი და აშშ თავის ეკონომიკურ სიმყარეს არ მიაღწევს, ასევე სანამ ჩინეთი თავისი გავლენების მონახაზს არ გააკეთებს. დღესდღეობით ძვირფასი ლითონების ბედს, ძირითადად, ეს ფაქტორი განსაზღვრავს“, – აღნიშნა ფოფორაძემ და დასძინა ასევე, რომ საფასო ტრენდი ტექნოლოგიურ მიღწევებზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული.

„ტექნოლოგიები ვითარდება და შესაბამისად, ძვირფას ლითონებზე მოთხოვნა მატულობს. ძვირდება ფაქტობრივად ყველა მეტალი, რაც ტექნოლოგიებში არის გამოყენებული, მაგალითად, ოქრო, პალადიუმი, კობალტი, ნიკელი და სხვა. თანამედროვე ტექნოლოგიები მოითხოვენ ე.წ. კრიტიკული მინერალების გამოყენებას და ერთ-ერთი ასეთი ოქროა. თუმცა იგი, ძირითადად, მაინც გამოიყენება, როგორც საინვესტიციო ნედლეული და ეს განაპირობებს ყველაზე მეტად ფასის ფორმირებას. როგორც საინვესტიციო ეკონომიკური სიძლიერის გარანტი, ოქრო, ყოველთვის იყო ბანკებში, ბოლო წლებში ჩვენს საბანკო სექტორშიც მთავარი აქტივი გახდა. ინვესტორებისთვისაც იგი ერთგვარი თავდაცვის საშუალებაა, ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის მაჩვენებელი. დოლარი თუ ნებისმიერი სხვა ვალუტა უფრო არამდგრადია, ვიდრე ოქრო და ნდობაც ამით არის გამყარებული.

პოლიტიკური სიტუაცია თუ ჩაწყნარდება, ოქროს ფასიც დასტაბილურდება. ვერ ვიტყვით, რომ ქართული

ბაზარი ოქროს მიმართ დიდი მოთხოვნით გამოირჩევა, მაგრამ ნელ-ნელა აქაც მატულობს შესყიდვები, ოქროს ბირჟაზე ეს თვალნათლივ იგრძნობა, ეროვნული ბანკის მიერ რეზერვების ზრდაც ამ საერთაშორისო ტენდენციის გამოძახილია“, – განაცხადა ნოდარ ფოფორაძემ ჩვენთან საუბრისას.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ ოქროს ბაზარზე არსებული მდგომარეობა არაპროგნოზირებადია. ახლა მსოფლიოში იმდენად რეკორდული ფასებია, რომ მოლოდინიც არ არის დიდად ოპტიმისტური, თუმცა საქმე კრიზისამდე ნამდვილად არ მისულა და არც მია.

„დღეს რაც ოქროს გლობალურ ბაზრებზე ხდება, ნამდვილად რთული სიტუაციაა. ოქროსთან დაკავშირებით ვცდილობთ, გავიგოთ, როდემდე გაგრძელდება გაძვირების პროცესი, რა იქნება მომავალში, მაგრამ ეს ყველაფერი არაპროგნოზირებადია. არც რაიმე ახალი მინიშნებაა, რატომ ხდება ასე და რა გველის მომავალში.“

ფაქტია, რომ ძვირფასეულობის ფასი ხშირად იცვლება, ზოგჯერ ისე, რომ არანაირ კანონზომიერებას აღარ ექვემდებარება. როგორც წესი, ოქროს ღირებულება განსაკუთრებით იმატებს არასტაბილურ პერიოდებში. ამ დროს ინვესტორებს ფულის დაბანდება სწორედ ძვირფას ლითონში სურთ, რადგან ის სავალუტო რყევებისა და კონფლიქტების მიმართ მდგრადობით გამოირჩევა. ოქროს ფასი განსაკუთრებით გაიზარდა 2008 წლის ფინანსური კრიზისის, კოვიდპანდემიისა და ბოლო ორი წლის გლობალური ინფლაციის პერიოდში. ალბათ, მომავალშიც გაგრძელდება გაძვირების პროცესი, მაგრამ შესაძლოა, გეოპოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაციამ საპირისპირო შედეგს მოიტანოს“, – განაცხადა ნოდარ ფოფორაძემ.

როგორც აღმოჩნდა, მაღალი ფასი ქართული ბაზრისთვის დიდი გამოწვევაა. აღნიშნულთან დაკავშირებით საუბრობს „ზარაფხანას“ აღმასრულებელი დირექტორი თორნიკე სამხარაძე, რომლის ვარაუდითაც, გლობალურად ოქროს ფასის ზრდა გაგრძელდება. ოქროს გაძვირებამ წელს ნაკეთობების ფასის 12-13%-იანი მატება უკვე გამოიწვია, თუმცა, კომპანია წლის ბოლომდე ფასების გადახედვას აღარ გეგმავს.

„არანაირი წინაპირობა არ არსებობს ვიფიქროთ, რომ ოქროს ფასი მოკლევადიან პერიოდში შემცირდება. მით უმეტეს, როდესაც წლის ყველაზე დატვირთულ პერიოდში შევდივართ, მეოთხე კვარტალში, როდესაც ოქრო ყველაზე მოთხოვნადი ხდება მსოფლიოს მასშტაბით. ამას ემატება გეოპოლიტიკური გამოწვევები. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო, ოქროს ფასი ისევე გაიზარდება წლის ბოლომდე.“

რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვის, როგორც მწარმოებლებისთვის მძიმედ გადასატანი ცვლილებებია. მოგვიწია, რომ წელს 2-ჯერ გაგვეზარდა ფასი. ჯამურად, წლის ჭრილში 12-13%-ით გაიზარდა. ეს აისახა კიდევაც შედეგებზე, დაეტყო ჩვენს გაყიდვებს. 2025 წელს მოლოდინი გვაქვს, რომ მატებით დავზურავთ, რადგან სხვა თვეებში გვეკონდა კარგი რეალიზაცია.

ავვისტო 11%-იანი ზრდით დავზურავთ წინა წელთან შედარებით. მოლოდინია, რომ დაახლოებით 13%-ის ფარგლებში იქნება წლიური მატება“, – განაცხადა „ზარაფხანას“ აღმასრულებელმა დირექტორმა.

რაც შეეხება გაყიდვის დინამიკას, საქართველოში ოქროს ნაკეთობები ისევე რჩება მნიშვნელოვან სასაჩუქრე და საინვესტიციო აქტივად. თორნიკე სამხარაძის ინფორმაციით, ზაფხულის სამი თვის ჯამური მაჩვენებლებით კმაყოფილები არიან და წლის ბოლომდე მოლოდინიც პოზიტიური აქვთ. შემოდგომა და დეკემბრის თვე, დღესასწაულებისა და საახალწლო მონაკვეთი, ამ ინდუსტრიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია.

თბილისის ოქროს ბირჟაზე კი ამბობენ, რომ ფასის კლება აისახა საქართველოშიც და ოქტომბერში, გრამი ოქროს ფასი, დაახლოებით, 25-30 ლარით შემცირდა.

„ჩვენთან ძალიან ბევრ მოვაჭრეს შერჩა მაღალ ფასში ნაყიდი ოქრო, ახლა გაიაფების პარალელურად ფასიც დაუწიეს. მაგალითად, თუ 1 გრამი ე.წ. ბაჟალო ოქრო ღირდა 400 ლარამდე, ახლა ფასი 360 ლარია. დაახლოებით, ერთ კვირაზე მეტია, რაც ფასის კლება დაიწყო.“

რაც შეეხება პროგნოზს, ახლა იმდენად გაურკვეველ მდგომარეობაში ვართ, რომ ვერაფერს გეტყვით. სხვა დროს იყო მოლოდინი, რომ ფასი აიწვედა, მაგრამ დღეს გაურკვეველი სიტუაციაა. ათამაშებენ ფასს, კვლავ ვიგებთ, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, რომ უფრო გაიზარდება ოქროს ღირებულება. ბოლო დღეებში ოდნავ გაიზარდა ფასი, რაც იმას ნიშნავს, რომ კლება არ გაგრძელდება. მოვაჭრეები ცდილობენ საშუალო ფასი დაიჭირონ, რომ ძალიან არ იზარალონ“, – განაცხადა ოქროს ბირჟის ექსპერტ-შემფასებელმა და იქვე დასძინა, რომ ფასის კლების პარალელურად, ოქროს ბირჟაზე მოთხოვნაც შემცირებულია. – „საოცრებაა, მაგრამ რაც ფასებმა დაიკლო, ხალხი აღარ მოდის. ოქრო რომ ძვირდება, ხალხს ეშინია, კიდევ არ გაიზარდოს ფასი. რომ იაფდება, აღარავენ შემოდის. ნაკლებია ამ ეტაპზე მოთხოვნა, რადგან ელოდებიან დარეგულირებას“.

ეკონომიკური გაურკვეველობა და კატაკლიზმები აიძულებს როგორც სახელმწიფოებს, ისე რიგით მოქალაქეებს, უსაფრთხო ფინანსური ნავსაყუდელი ეძებონ, ოქრო კი ათასწლეულების განმავლობაში რჩება სწორედ ასეთ აქტივად, რადგან ის არის ფულის უნივერსალური ფორმა, რომელიც, ქაღალდის კუპონებისგან განსხვავებით, ვინმეს ხელის ერთი მოსმით ვერასდროს „გაუფასურდება“.

პროფესორ სოსო არჩვაძის ინფორმაციით, საქართველოში ოქრო არც ისე ბევრი მოიპოვება – სხვადასხვა შეფასებით, წელიწადში 4,5-დან 5 ტონამდე. ოქროს მოპოვების არეალება ბოლნისის, დმანისის და მარნეულის მუნიციპალიტეტების ტერიტორიები.

„მოსახლეობა ოქროს აგროვებდა და აგროვებს. ეს არის დანაზოვის დაზღვევის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება. პერსპექტივაში, როგორცადაც არ უნდა

შეიცვალოს ოქროს ფასი, მთლიანობაში მას დაღმავალი ტრენდი არ ექნება. პერსპექტივაში კი ფასი, ალბათ, კიდევ უფრო გაიზრდება. გაიზრდება იმის გამოც, რომ მოპოვების რესურსი საკმაოდ შემცირებულია. რაც უფრო გაურკვეველი, რთული, წინააღმდეგობრივი პროცესები მიდის მსოფლიოში, ადამიანები ცდილობენ დაიცვან თავიანთი რესურსები და ქონება, თანაც ყველაზე საიმედო საშუალებით.

ზოგადად მოსახლეობას აქვს ოქროსადმი მიდრეკილება და ამას ტრადიცია და კულტურაც უწყობს ხელს. მაგალითად, მუსლიმანურ ქვეყნებში, სადაც მეუღლის (ქალს ვგულისხმობ) გაშვება საკმაოდ იოლია, ის შეიძლება ყველაფრის გარეშე წავიდეს, გარდა იმ ნივთებისა, რაც მას, ქმართან გაყრის შესახებ განცხადების შემდეგ, ხელზე უკეთია. ამიტომაც არის, რომ ბევრ მუსლიმანურ ქვეყანაში, მათ შორის ჩვენთანაც და ჩრდილო კავკასიაშიც, ქალებს ძალიან ბევრი ოქროულობა უკეთიათ. ყოველ შემთხვევაში, ისინი თავის დაზღვევას საკუთარ სხეულზე ასხმული ოქროთი ახერხებენ.

არაფერი გლობალური ჩვენთვის უცხო არ არის, ცნობილი გამოთქმის პერიფრაზი რომ მოვახდინოთ, ჩვენც იმავე „მეინსტრუმში“ ვართ, რაშიც დანარჩენი მსოფლიო. ამას ემატება ისიც, რომ ქართული ეროვნული ვალუტის სტაბილურობის მიუხედავად, გლობალურ ეკონომიკაში მაინც პატარა ნაფოტივით ვართ. შესაბამისად, თავდაცვის, საკუთარი რესურსებისა და თვითგადარჩენის, როგორც ბიზნესის, ისე ინდივიდუალურად, ერთ-ერთ ფორმას ოქრო წარმოადგენს“, – განაცხადა „კვირის პალიტრასთან“ სოსო არჩვაძემ.

მანვე ყურადღება გაამახვილა ოქროს ფასსა და სამომხმარებლო ფასებს შორის გარკვეულ თანაფარდობაზე და აღნიშნა, რომ აქ რაღაც ხისტი დამოკიდებულება არ არსებობს.

„ოქრო არ არის პირველადი მოხმარების საგანი, როგორც პური, კვების პროდუქტები ან საცხორისი. ეს უფრო საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში სტაბილურობის დაზღვევისა და პრესტიჟულობის მაჩვენებელი, სოციალური კუთვნილების ხაზგასმის საშუალებაა. ფსიქოლოგიაში არსებობს ასეთი ტერმინი – დემონსტრაციული ანუ სტატუსური მოხმარება, რომელიც აჩვენებს, რა სოციალური წრის წარმომადგენელია ესა თუ ის პირი. სტატუსური მოხმარება არ მიეკუთვნება გარდაუვალ, აუცილებელ მოთხოვნილებათა რიგს, ეს უფრო სუბიექტური დამოკიდებულებებისა და აღქმის კატეგორიაა. ამიტომ პირდაპირი კორელაცია ოქროს ფასის ზრდასა და დანარჩენი სასაქონლო მასის ფასების ზრდას შორის არ არის. თუმცა რაღაც კორელაცია მაინც არსებობს. ის შესაძლოა ერთზე ნაკლებია, მაგრამ მაინც დადებითი რიცხვია და, ყოველ შემთხვევაში, მაინც იწვევს დანარჩენი სასაქონლო მასის ფასების რამდენადმე ზრდას.

მოკლედ, ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც კაცობრიობამ განვითარების რაღაც ეტაპზე ხელში ჩაიგდო და არაფრის დიდებით ხელიდან არ გაუშვებს. საერთოდ, ოქრო და ფული, თუ ამ შემთხვევაში სინონიმებად გამოვიყენებთ, ძალიან კარგი მსახურია, თუ გონივრულად გამოიყენებ, და ძალიან ცუდი ბატონია, თუ მას დაემორჩილები“, – აღნიშნა სოსო არჩვაძემ.

რაც შეეხება სამომავლო პერსპექტივას, ანალიტიკოს ნიკა შენგელიას პროგნოზით, ოქროს ფასი გარკვეული გაიაფების შემდეგ ისევ მატებისკენ აიღებს გეზს და დაახლოებით თვის ბოლოსკენ კვლავ დაუბრუნდება 4300-დოლარიან ნიშნულს.

„მოგეხსენებათ, ოქროს ფასი ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში საგრძნობლად დაეცა. კერძოდ მისი ფასი 4393 დოლარიდან 3890 დოლარამდე იყო ჩამოსული. ჩვენ ამას ვაფასებთ, როგორც აღმავალი ტრენდის კორექციას. უახლოესი 2 კვირის განმავლობაში ოქროს ფასი კვლად დაიწყებს მატებას, ამას განაპირობებს მსოფლიოში არამდგრადი პოლიტიკური სიტუაცია. თუ მოხდა ისე, რომ აშშ-მა ვენესუელაში დაიწყო სამხედრო ოპერაცია, მაშინ როგორც ოქროს, ასევე ნავთობის ფასი აგრესიულად მოიმატებს.

ყოველთვის, როდესაც ბირჟებზე გაურკვეველობაა, შიშის ინდექსი მაღალია და ინვესტორები ოქროს აქტივებს აფარებს თავს. მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე ბანკებს 900 ტონამდე ოქრო აქვთ შექმნილი, ეს გლობალური მონეტარული პოლიტიკის გამოძახილია“, – განაცხადა ნიკა შენგელიამ ჩვენთან საუბრისას.

ოქროს გაძვირების ფონზე დიდ ინტერესს იწვევს ძვირფასი ლითონის ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებული სტატისტიკა, რომელიც საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება. კერძოდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, საქართველოდან ექსპორტირებული ოქროს მოცულობა და შემოსავალი გაიზარდა. 2025 წლის იანვარ-აგვისტოში ქვეყნიდან 1.2 ტონა ოქრო გავიდა, რითაც საქართველომ 63.9 მილიონი დოლარის შემოსავალი მიიღო. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტირებული იყო 1.5 ტონა ოქრო, რაც 58.3 მილიონი დოლარის შემოსავალს შეადგენდა. მიმდინარე წელს, საქართველოს მთავარი საექსპორტო ბაზარი შვეიცარია იყო – სწორედ იქ გაიყიდა თითქმის მთელი ოქროს მარაგი – 59.4 მილიონ დოლარად.

ამდენად, ბოლო პერიოდის განმავლობაში ოქროს გაძვირება კავშირშია გეოპოლიტიკური რისკების ზრდასთან და მიმდინარე კონფლიქტების ესკალაციასთან. მართალია, ასეთი მოცემულობა ინვესტორებისთვის არახელსაყრელია, თუმცა ოქროს ღირებულება სწორედ ასეთი რისკების დაგროვების ფონზე იზრდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აშშ-ის მხრიდან ტარიფების დაწესება და „სავაჭრო ომების“ გაჩაღება, რაც ეკონომიკურ რისკებს აძლიერებს.

ქეთო გოგონია

გრანტების მოზიდვაზე ევროკავშირის სხვადასხვა უწყებებთან მუშაობა არ მიმდინარეობს – კაკაურიძე

ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძემ თქვა, რომ გრანტების მოზიდვაზე ევროკავშირის სხვადასხვა უწყებებთან მუშაობა არ მიმდინარეობს და მხოლოდ კრედიტების ნაწილში მიმდინარეობს მუშაობა, რომელსაც თან სდევს მერე გრანტები. ამ მიმართულებით 2026 წლის ბიუჯეტში, დაახლოებით, 50 მილიონ ლარამდეა გათვალისწინებული.

„2025 წლის ბიუჯეტში ვერ ნახავთ ბიუჯეტის მხარდამჭერ გრანტებს. ამაზე ჩვენ არ ვმუშაობთ.

დღეის მდგომარეობით, გრანტების მოზიდვაზე ევროკავშირის სხვადასხვა უწყებებთან მუშაობა არ მიმდინარეობს, ვინაიდან გაცხადებული პოლიტიკაა, რომ ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტების ნაწილში არ გვექნება. თუმცა, კრედიტების ნაწილში, რომელსაც თან სდევს მერე გრანტები, წელსაც არის დაახლოებით 50 მილიონ ლარამდე გათვალისწინებული და ეს ყოველთვის იქნება, რომელიც კონკრეტულ პროექტებზეა მიბმული.

გველისხმობ ინფრასტრუქტურას, სადაც გრანტების კომპონენტიც არის ჩართული“, – განაცხადა კაკაურიძემ პარლამენტში, „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონი განხილვისას.

IMF-ის პროგრამა არ არის თვითმიზანი – ნათია თურნავა

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნათია თურნავა აღნიშნავს, რომ როგორც ცენტრალური ბანკისთვის, ასევე მთავრობისთვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის ქონა თვითმიზანს არ წარმოადგენს. ამასთან, თურნავას თქმით, ეროვნული ბანკისთვის IMF არის მნიშვნელოვანი პარტნიორი ფინანსური და მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნების პროცესში.

როგორც თურნავა აღნიშნავს, სებ-ში ფონდის მისიის ვიზიტი არის დაგეგმილი და მათთან დაკავშირებით პოზიციის ჩამოყალიბება სწორედ ამ მისიის შემდეგ მოხდება.

„ჩვენი შეფასება და პოზიცია ჩამოყალიბდება ამ მისიების შემდეგ, მათ შორის დიაგნოსტიკური მისიის შემდეგ. ისევე ვამბობ, რომ პროგრამა არ არის თვითმიზანი. მიზანი არის ჩვენი მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება, ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება და IMF-თან, როგორც ძალიან მნიშვნელოვან სტრატეგიულ ინსტიტუციასთან, კარგი სამუშაო ურთიერთობების შენარჩუნება“, – განაცხადა ნათია თურნავამ.

ნოემბერს საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივმა წარმომადგენელმა ენდრიუ ჯუელმა განაცხადა, რომ გასულ კვირაში სებ-ში IMF-ის ტექნიკური მისია იგეგმებოდა, თუმცა ის ჩინეთში ნათია თურნავას ოფიციალური ვიზიტის გამო გადაიდო.

ფულად გზავნილებში აშშ-ისა და EU-ს წილი 60%-ს აჭარბებს – TBC კაპიტალი

წელს, 9 თვის მონაცემებით ფულად გზავნილებში ევროკავშირის და აშშ-ის წილი 63%-მდე გაიზარდა. TBC Capital-ის ყოველთვიურ მაკროეკონომიკურ მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ ფულადი გზავნილების წლიური ზრდის ტემპი სექტემბერში 13.7%-მდე აჩქარდა. გზავნილების ძირითადი წყარო კვლავ ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატებია.

საგარეო შემოდინებების კიდევ ერთ წყაროს ტურიზმს რაც შეეხება, ტურიზმიდან შემოსავლების ზრდამ მესამე კვარტალში წლიურად 6.6% შეადგინა, ხოლო ცხრა თვეში – 5%.

TBC Capital-ი წერს, რომ ტურიზმის მხრივ გააქტიურდა ნაკლებად ტრადიციული ბაზრები, რაც სავარაუდოდ, ტურისტების მზარდ რაოდენობას უკავშირდება ისეთი ქვეყნებიდან როგორებიცაა ჩინეთი, ინდოეთი და უზბეკეთი. საპირისპიროდ, ტრადიციული ბაზრების ტენდენციები ერთმანეთისგან განსხვავებულია. კერძოდ, ტურიზმიდან შემოსავლები გაზრდილია ევროკავშირიდან, აზერბაიჯანიდან და განსაკუთრებით, ისრაელიდან, ხოლო დანარჩენი ქვეყნების შემთხვევაში დიდწილად უცვლელია, გარდა რუსეთისა, საიდანაც კლება ფიქსირდება ვიზიტორების გაზრდილი რიცხვის მიუხედავად.

„ერთობლივად, წმინდა სავალუტო შემოდინებების ჩვენი ყოველთვიური საზომი, რომელიც საქონლით ვაჭრობას, ტურიზმიდან შემოსავლებსა და ფულად გზავნილებს მოიცავს, სექტემბერში, აგვისტოს მნიშვნელოვანი ზრდის შემდგომ, მცირედით შენედა, თუმცა კვლავ ძლიერია. ამდენად, თიბისი კაპიტალის შეფასებით, რეინვესტიციის გარეშე მიმდინარე ანგარიშის მეორე კვარტალის პროფიციტი, სავარაუდოდ, მესამე კვარტალშიც შენარჩუნდება“, – აღნიშნულია მიმოხილვაში.

ინფლაცია იზრდება, სებ-ი რეფინანსირების განაკვეთს ჯერ არ ზრდის

საქართველოში 5.2%-მდე გაზრდილი ინფლაციის მიუხედავად, 5 ნოემბრის სხდომაზე ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად შენარჩუნების გადაწყვეტილება მიიღო. ამასთან, სებ-მა გამოაქვეყნა მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, სადაც განხილულია თუ რა იქნება სებ-ის პასუხი ინფლაციის შემდგომი ზრდის პირობებში.

ანგარიშში ცენტრალური სცენარის პირობებში 2025 წლის მეოთხე კვარტალის საშუალო ინფლაციად 5% არის მითითებული, რაც 2026 წლის პირველ კვარტალში 4.3%-მდე მცირდება, ხოლო 2026 წლის მეორე კვარტალში კი დამატებით 3.6%-მდე. აღნიშნული სცენარის რეალიზების პირობებში სები რეფინანსირების განაკვეთს 2025 წლის მეოთხე კვარტალში 8%-ზე ინარჩუნებს, 2026 წლის პირველ კვარტალშიც 8%-ზე, ხოლო 2026 წლის მეორე კვარტალიდან მას 7.8%-მდე ამცირებს.

რაც შეეხება მაკროინფლაციურ სცენარს, ამ სცენარში 2025 წლის მეოთხე კვარტალში საშუალო ინფლაცია არის 5.2%, რის პირობებშიც სები რეფინანსირების განაკვეთს 8.4%-მდე ზრდის, ამ სცენარით, 2026 წლის პირველ კვარტალში ინფლაცია 5.1% იქნება, თუმცა სები რეფინანსირების განაკვეთს დამატებით 8.7%-მდე ზრდის, მეორე კვარტალში კი 8.8%-მდე, ხოლო აღნიშნულ პერიოდში ინფლაცია 4.7%-მდე მცირდება.

შესაბამისად, თუკი 2025 წლის ბოლომდე თუკი ინფლაცია 5.2%-ზე მაღლა შენარჩუნდა, არსებობს ალბათობა, სებ-მა რეფინანსირების განაკვეთი გაზარდოს.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მოგება €109 მილიონამდე გაიზარდა

2025 წლის 9 თვეში ქვეყანაში მოქმედმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა 109 მილიონი ლარის წმინდა მოგება მიიღეს, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 10%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.

ქვეყანაში მოქმედი მისოების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის თანახმად, სექტორის მოგებიანობის გაუმჯობესება დაკავშირებულია სექტორის გაზრდილ დამოკიდებულებაზე სალომბარდე დაკრედიტების მიმართულებით. თუკი გასული წლის ანალოგიურ პერიოდში სალომბარდე სესხებიდან მისოებმა 126 მილიონი ლარის საპროცენტო შემოსავალი მიიღეს, წელს 9 თვეში ამ სეგმენტის საპროცენტო შემოსავალი 202 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

ასევე წინა წელთან შედარებით შეცვლილია მისოების ბაზრის შემადგენლობა. ორი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია – „კრისტალი“ და „ემბისი“, რომლებიც მცირე მენარმეების დაფინანსებაზე იყვნენ ფოკუსირებული, 2025 წლიდან მიკრობანკის სტატუსით საქმიანობენ, ხოლო მისოების ბაზარზე უმეტესწილად სალომბარდე საქმიანობით დაკავებული ოპერატორები დარჩნენ. ამ სექტორის მთლიანი საკრედიტო პორტფელი გასულ წელს არსებული 2 მილიარდი ლარიდან 1.77 მილიარდ ლარამდე შემცირდა, რაც სწორედ ორი მისოს მიკრობანკად გარდაქმნას უკავშირდება. თუმცა ამის მიუხედავად სექტორის მოგებიანობა გაიზარდა, რაც სექტორის ადმინისტრაციული ხარჯების კლებით და სალომბარდე შემოსავლების ზრდით არის განპირობებული.

მიკროსაფინანსო სექტორის საკრედიტო პორტფელი ასე ნაწილდება:

კრედიტების კატეგორია	სულ თანხა – ლარებში	კრედიტების რაოდენობა	სესხის საშუალო ზომა ლარებში
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	1,751,845,670	822,333	2,130
ვაჭრობის და მომსახურების სექტორი	70,647,022	12,663	5,579
სამომხმარებლო სესხები	259,109,273	45,100	5,745
სოფლის მეურნეობის სესხები	49,213,080	6,194	7,945
ონლაინ სესხები	21,697	53	409
სალომბარდე სესხები	1,369,747,499	757,829	1,807
განვადება	219,154	285	769
სხვა	2,887,945	209	13,818
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	19,143,541	538	35,583
მთლიანი სესხები	1,770,989,212 ლარი	822,871 სესხი	2,152

2025 წლის მესამე კვარტალის მდგომარეობით ქვეყანაში სულ 29 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მოქმედებს, რომელიც საერთო ჯამში 3,600 ადამიანს ასაქმებს.

რეფინანსირების განაკვეთის გაზრდის წინაპირობა არ არსებობს – ძნელად

ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების განაკვეთის მორიგ ჯერზე უცვლელად დატოვება მოსალოდნელი იყო, – განაცხადეს საბანკო ასოციაციაში.

როგორც ასოციაციის პრეზიდენტმა ალექსანდრე ძნელაძემ BMG-ს განუცხადა, არსებული 8%-იანი განაკვეთი ისედაც საკმაოდ მაღალი ნიშნულია. შესაბამისად, მისი შეფასებით, ამ ეტაპზე დაჩქარებული ინფლაციის მიუხედავად, მონეტარული პოლიტიკის დამატებითი გამკაცრების წინაპირობა არ არსებობდა.

„ინფლაციის მაჩვენებელი გაზრდილია და ბოლო მონაცემებით 5.2% შეადგინა. ფასების ფასების ზრდის ძირითადი ნაწილი პირველადი მოხმარების საგნების გაძვირებამ განაპირობა. რაც შეეხება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს, ის რჩება მკაცრ დონეზე. 8% საკმაოდ მკაცრი განაკვეთია. აქედან გამომდინარე, ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ დღეს უკვე არსებობს იმისი ცალსახა წინაპირობა, რომ გაზრდილიყო“, – განაცხადა ძნელაძემ. მისი თქმით, ინფლაციის მაჩვენებელი წლის დასაწყისში გაკეთებული პროგნოზის ფარგლებშია და 4.5-5.5% შუალედში მერყეობს.

5 ნოემბრის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად მეცამეტედ დატოვა. 2024 წლის 22 მაისის შემდეგ განაკვეთი 8%-ზეა შენარჩუნებული.

რა შემოსავალი აქვთ თბილისის და ბათუმის კაზინოებს

საქართველოში ფიზიკური სამორინეები ძირითადად თბილისსა და ბათუმში არის განთავსებული. სამორინე სექტორის უმსხვილეს მოთამაშეებს 2024 წლის ფინანსური შედეგები უკვე გამოქვეყნებული აქვთ, რომელთა მიხედვითაც საქართველოში სამორინეების ბრუნვის უდიდესი ნაწილი ბათუმში არის კონცენტრირებული.

2024 წელს სამორინეების ოპერატორი რვა მსხვილი კომპანიის ჯამური შემოსავალი 532 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც წლიურად 21%-ით გაზრდილი მაჩვენებელი იყო. ანგარიშების თანახმად, საქართველოს სამორინეებს შორის შემოსავლებით პირველ ადგილზეა „ივერია“, რომელიც თბილისის და ბათუმის სასტუმრო Radisson-ის კომპლექსშია განთავსებული. აღნიშნული ბრენდით სამორინეს ოპერირებას კომპანია „ლიმონი 2009“ უწევს, რომელიც სილქ როუდ ჯგუფის ჰოლდინგის შემადგენელი კომპანიაა. 2024 წელს სამორინე „ივერიას“ შემოსავალმა 162.5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წლიურად 5%-ით გაზრდილი მაჩვენებელი იყო.

მეორე პოზიციას იკავებს კომპანია „მშვიდობა“, რომელიც ბათუმი Sheraton-შია განთავსებული. სამორინეს შემოსავალი 2024 წელს 74 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც წლიურად 10%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. მისი მფლობელები თურქი ბიზნესმენები ერჩიმ ტოსიალი, მუჯდება ალგუნი და აბდულა მეთინ თორამანი არიან.

მესამე პოზიციას კი ასევე ბათუმში, სასტუმრო ვიფორიას კომპლექსში განთავსებული კაზინო Eclipse იკავებს, რომლის შემოსავალიც 2024 წელს 68.6 მილიონ ლარს შეადგენდა. აღნიშნული სამორინეს ოპერატორია კომპანია „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“. ფინანსური ანგარიშის თანახმად, მისი მფლობელები არიან კვიპროსელი ბიზნესმენები ქრისტოს დრაკაუ და ილია ბულიჩვი.

№	ქალაქი	კომპანია და ბრენდული სახელწოდება	2024 შემოსავალი	შემოსავლის ზრდა/კლება 2024 წელს
1	თბილისი/ბათუმი	ლიმონი 2009 – სამორინე ივერია	162,523,000 ლარი	5%
2	ბათუმი	მშვიდობა – სამორინე ბათუმი შერატონში	74,175,992 ლარი	10%
3	ბათუმი	შპს ალიუდ იუნიტას ჯორჯია – სამორინე Eclipse	68,644,970 ლარი	32%
4	თბილისი	შპს სანშაინ – სამორინე აჭარა	63,302,108 ლარი	54%
5	ბათუმი	პრინცეს ბათუმი – სამორინე სასტუმრო Wyndham-ში	63,130,252 ლარი	22%
6	ბათუმი	შპს ოქროს ლომი – სამორინე სასტუმრო ველმონდში	54,302,000 ლარი	40%
7	თბილისი	მარლო – სამორინე შავი ოპალი	24,066,000 ლარი	31%
8	ბათუმი	შპს გრანდ კაზინო ბათუმი – სამორინე Hilton ბათუმში	22,229,824 ლარი	38%

კაზინოების შემოსავალი წარმოადგენს მიღებულ ფსონებსა და გაცემულ მოგებას შორის სხვაობას, რასაც GGR ეწოდება. ეს მაჩვენებელი საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე მიღებული ფსონების 7.5%-10%-მდეა. თუკი 10%-ის GGR-ით დავითვლით, ეს ნიშნავს, რომ „ივერიის“ მაგალითზე, 162 მილიონი ლარის შემოსავლის მისაღებად მოთამაშებებმა კაზინოში განათავსეს 1.6 მილიარდი ლარის ფსონები, საიდანაც კაზინომ 1.46 მილიარდი ლარი მოგების სახით გასცა, ხოლო მას კი თამაშებთან დაკავშირებული საოპერაციო შემოსავლის (GGR) სახით 162 მილიონი ლარი დარჩა.

შესაბამისად, 10%-ის GGR-ის გათვალისწინებით, თუკი რვა მსხვილი კომპანიის ჯამური შემოსავალი თამაშებიდან 532 მილიონ ლარს აღწევდა, ეს ნიშნავს რომ მოთამაშებებმა მათში 5.3 მილიარდი ლარის ფსონები დადეს, ხოლო გაცემული მოგება 4.8 მილიარდი ლარი იყო. შესაბამისად, სამორინებებმა 532 მილიონი ლარის საოპერაციო შემოსავალი მიიღეს.

ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა წლიურად 13.7%-ით გაიზარდა

2025 წლის სექტემბერში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა წლიურად 13.7%-ით გაიზარდა, – აღნიშნულია „გალთ ენდ თაგარტის“ კვლევაში.

გამოქვეყნებული პუბლიკაციის მიხედვით, დროის აღნიშნულ მონაკვეთში, საკრედიტო პორტფელმა 67.5 მლრდ ლარი (24.9 მლრდ აშშ დოლარი) შეადგინა.

„გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სექტემბერში სესხების პორტფელის წლიურმა ზრდამ 13.3% შეადგინა. სექტორების მიხედვით, იურიდიული პირების დაკრედიტება კურსის ეფექტის გამორიცხვით წლიურად 11.6%-ით გაიზარდა, ხოლო საცალო დაკრედიტების წლიური ზრდა 14.9% იყო“, – ნათქვამია კვლევაში.

ამასთან, კვლევაში აღნიშნულია, რომ სესხების დოლარიზაციამ 42.2% შეადგინა.

რაც შეეხება დეპოზიტებს, საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების წლიური ზრდა 13.6%-მდე დაჩქარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით) და 65.6 მლრდ ლარი (24.1 მლრდ აშშ დოლარი) შეადგინა.

„ვალუტების მიხედვით, სექტემბერში ლარის დეპოზიტების წლიური ზრდა 12.7%-მდე დაჩქარდა, როცა წინა თვეში აღნიშნული მონაცემი 8.1%-ს უტოლდებოდა. უცხოური ვალუტის დეპოზიტების წლიური ზრდა 14.6% იყო, გასულ თვეში კი 15.3%-ს შეადგენდა. 2025 წლის სექტემბერში დეპოზიტების დოლარიზაციამ 49.7% შეადგინა“, – წერია კვლევაში.

ტელევიზიების სარეკლამო შემოსავლები 85%-ით გაიზარდა

კომუნიკაციების კომისიის (ComCom) მონაცემებით, 2025 წლის III კვარტალში ტელე და რადიო მაუწყებლების ჯამური კომერციული სარეკლამო შემოსავალი, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 73.6%-ით გაიზარდა და 31.4 მილიონი ლარი შეადგინა. მხოლოდ ტელევიზიების შემთხვევაში კი, კომერციული სარეკლამო შემოსავლებიდან მიღებული თანხა 85%-ით გაიზარდა და 29.5 მილიონი ლარი იყო.

ტელემაუწყებლებისთვის 2025 წლის III კვარტალში მიღებული სარეკლამო შემოსავლების ძირითადი, 88.6%-იანი წილი პირდაპირმა რეკლამამ, 6.7% – სპონსორობამ, ხოლო 4.6% – პროდუქტის განთავსებამ შეადგინა.

უფრო დეტალურად, სატელევიზიო კომერციული სარეკლამო შემოსავლების ყველაზე დიდი წილი 2025 წლის III კვარტალში კვლავ „ტელეიმედს“ ჰქონდა, რომლის შემოსავალიც, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 8.8 მილიონი ლარით გაიზარდა და 14.4 მილიონი ლარი შეადგინა.

4.6 მილიონი ლარით გაიზარდა „რუსთავი 2“-ის (მედია ჰოლდინგი) კომერციული შემოსავალი და ჯამურად 6.7 მილიონი ლარი შეადგინა.

გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 1.5 მილიონი ლარით გაიზარდა „ჯი-დი-ეს თი-ვი“-ს შემოსავალიც და 2.1 მილიონ ლარს გაუტოლდა. რაც შეეხება „პოსტვ“-ის, მისი შემოსავალი ნახევარი მილიონი ლარით გაიზარდა და 1.9 მილიონი ლარი შეადგინა. 0.1 მილიონი ლარით გაიზარდა „ტელეკომპანია პირველის“ კომერციული სარეკლამო შემოსავალი, რომელიც 2025 წლის III კვარტალში 1.3 მილიონი ლარი იყო. 1 მილიონ ლარს გაუტოლდა „ბი ემ ჯი“-ს შემოსავალი, რაც წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 0.2 მილიონი ლარით მეტია. უცვლელი დარჩა ტელეკომპანია „ფორმულას“ კომერციული შემოსავალი, რომელმაც 0.8 მილიონი ლარი შეადგინა. რაც შეეხება „პალიტრანიუსს“, მისი შემოსავალი ორჯერ გაიზარდა და 0.2 მილიონი ლარი შეადგინა. 0.3 მილიონი ლარით შემცირდა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შემოსავალი, რომელიც მიმდინარე წლის III კვარტალში 0.2 მილიონ ლარს გაუტოლდა. „სილქნეტის“ შემთხვევაში კი კომერციული შემოსავალი არ შეცვლილა და კვლავ 0.2 მილიონი ლარი იყო.


რაც შეეხება რადიომაუწყებლებს, რადიოების მიერ მიღებული სარეკლამო შემოსავალი 12%-ით შემცირდა და 2025 წლის III კვარტალში 1.9 მილიონი ლარი შეადგინა, საიდანაც 88.5% პირდაპირ რეკლამას, ხოლო 11.2% სპონსორობას ეკავა.

კომერციული სარეკლამო შემოსავალი კომერციულ რეკლამას, სპონსორობას, პროდუქტის განთავსებას, ტელეშოპინგსა და კომერციულ განცხადებებს მოიცავს.

რუბრიკის სპონსორი –

ა უ დ ი ტ უ რ ი კ ო მ პ ა ნ ი ა

შპს „მოორ ეიბისი“ / „Moore ABC“ LLC



MOORE

პითხვა-პასუხი

პითხვა-პასუხი – ამ რუბრიკით ჟურნალში ქვეყნდება პასუხები ჩვენი მკითხველების იმ შეკითხვებზე, რომლებიც ბუღალტრულ აღრიცხვას, საგადასახადო კანონმდებლობასა და სამოქალაქო სამართალს შეეხება. დასმულ შეკითხვებზე პასუხს გაცემენ შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს და შპს „ააფ ინტეგრითი“-ს აუდიტორები, შპს „ააფ-მენეჯმენტის“ მენეჯერები, შპს „ადვოკატთა და აუდიტორთა კორპორაციის“ იურისტები. მომზადებული პასუხების განხილვა მათ გამოქვეყნებამდე ხდება „კითხვა-პასუხის“ საბჭოს მიერ.

შეკითხვები მოგვაწოდეთ წერილობითი სახით, ფოსტით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა საშუალებით. სასურველია (თუმცა აუცილებელი არ არის) დასმული შეკითხვის ქვემოთმოყვანილი ფორმატით წარმოდგენა.

შეკითხვები მიიღება ელექტრონული ფოსტით: info@aaf.ge ან ტელ.: 239-33-50.

შპს „ააფ-მენეჯმენტის“ გენერალურ დირექტორს ფრიდონ ალშიბაიას
„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ მთავარ რედაქტორს გიორგი ცერცვაძეს

ჟურნალის ხელმომწერის -----

შ მ კ ი თ ხ ვ ა

„კითხვა-პასუხის“ რუბრიკის ფორმატში, გთხოვთ განმარტებას შემდეგ საკითხზე: -----

თარიღი, ხელმოწერა, საკონტაქტო ტელეფონი ან ელ. ფოსტის მისამართი.

(კითხვის ავტორის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია ჟურნალში არ ქვეყნდება!)

წინამდებარე ნომერში მკითხველთა შეკითხვებს პასუხობდა შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს მმართველი პარტნიორი, შპს „ააფ-მენეჯმენტის“ გენერალური დირექტორი ფრიდონ ალშიბაია.

პითხვა: ფიტპასის საფასურს კომპანია უქვითავს თანამშრომლებს ხელფასიდან.

ზოგიერთი ინდის სამ-ოთხ ფიტპასს ოჯახის წევრებისთვის და მეგობრებისთვის. ეს რამდენად მისაღებია?

ფინანსურად რამდენად გამართლებულია არათანამშრომლის, ან თანამშრომლის ოჯახის წევრის დაფინანსება, საგადასახადო დაბეგვრის თვალსაზრისით?

პასუხი: როგორც გვწერთ, ფიტპასის საფასური თანამშრომლებს ექვეითებათ ხელფასებიდან, ამიტომ თითოეულ მათგანს ერთი-ორი ადამიანისთვის განკუთვნილი ფიტპასის საფასური დაექვეითებათ თუ სამი-ოთხი ადამიანისთვის, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

ზოგადად, თანამშრომლის ოჯახის წევრის ან სხვა არათანამშრომლის დაფინანსება კომპანიისათვის წარმოშობს საგადასახადო ხარჯს/ვალდებულებას, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, ეს საკითხი დღის წესრიგში საერთოდ არ ღვას, რადგან თქვენი კომპანია არ აფინანსებთ მათ. ფიტპასის საფასურის დაფარვა ხდება თქვენი თანამშრომლების მიერ, ხელფასებიდან შესაბამისი თანხების დაკავების გზით.

კითხვა: ღვინის მწარმოებელმა კომპანიამ ბანკისგან აიღო სესხი და ააშენა სასტუმრო. დასაწყისში (რამდენიმე თვე) ღვინის წარმოება და სასტუმრო ფუნქციონირებდა ერთი შპს-ის სახელით.

სასტუმროს შენობის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ დაფუძნდა ახალი შპს, რომლის კაპიტალშიც შევიდა სასტუმროს შენობა.

გვინდა სასტუმროს ასაშენებლად აღებული ბანკის სესხი გადავიტანოთ ახალ შპს-ზე (სასტუმროს მმართველ შპს-ზე). როგორი ფორმით შეიძლება ამ ტრანზაქციის განხორციელება, რას გვირჩევთ?

პასუხი: ღვინის მწარმოებელი კომპანიის მიერ აშენებული, საბანკო სესხით დაფინანსებული სასტუმროს შეტანა ახალდაფუძნებული შპს-ის კაპიტალში სრულიად გასაგები ტრანზაქციაა, მაგრამ ეს, ცხადია, ავტომატურად არ ცვლის საბანკო სესხის ხელშეკრულების პირობებს. იმისათვის, რომ საბანკო სესხი გადაფორმდეს ახალდაფუძნებულ შპს-ზე, ამისათვის აუცილებელია ბანკის თანხმობა და სესხის ხელშეკრულებაში თანხის მსესხებლის (ღვინის კომპანიის) ჩანაცვლება ახალი შპს-ით. თუმცა, არ ვართ დარწმუნებული, რომ ბანკი ამ თანხმობას გასცემს, რადგან შეიძლება მან მიიჩნიოს, რომ ამ შემთხვევაში გაუარესდება სესხის სრულად და დროულად დაფარვის ალბათობა.

ბანკის უარის შემთხვევაში, ჩვენთვის ძნელი სათქმელია, თუ რა შეიძლება იყოს ოპტიმალური ქმედება ღვინის კომპანიისთვის, რათა საბანკო სესხის ხარჯები ახალ (სასტუმროს მმართველ) შპს-ს დააკისროს. მაგალითად, ერთ-ერთი შესაძლო ქმედება შეიძლება იყოს ახალი შპს-დან მოგების რეგულარული გატანა დივიდენდების სახით, მაგრამ საამისოდ, ამ ახალ შპს-ს სათანადო ოდენობით მოგება უნდა ჰქონდეს.

კითხვა: ღვინის კომპანიის მიერ გამოფენებზე, დეგუსტაციებზე, ლაბორატორიულ ანალიზებზე განარჯული პროდუქცია როგორ იბეგრება?

მსმენია, რომ ეს ხარჯი არ იბეგრება, მაგრამ მინდა ზუსტი განმარტება.

პასუხი: ღვინის გამოფენებში მონაწილეობა, დეგუსტაცია, შიდა და გარე ლაბორატორიული ანალიზი — ეს ყველაფერი ღვინის კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული ჩვეულებრივი ხარჯებია, რომლებიც მიმართულია ღვინის ხარისხის გაუმჯობესებისთვის, კომპანიის/პროდუქციის ცნობადობის ამაღლებისთვის, პოტენციური მყიდველების მოზიდვისთვის. შესაბამისად, ყველა ამ ხარჯის გაწევის საბოლოო მიზანი კომპანიისთვის არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება. ამის გამო, სათანადო პირველადი დოკუმენტაციის არსებობის პირობებში (ზენდადებები, აქტები...) ეს არ დაიბეგრება მოგების გადასახადით, რადგან ასეთი ხარჯები არ წარმოადგენენ არც სსკ 98² მუხლის 1-„ბ“ პუნქტით და არც 98³ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ხარჯებს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია არ არსებობს, მაშინ ეს ხარჯები დაიბეგრება მოგების გადასახადით (სსკ 98² მუხლის 1-„ა“ პუნქტის შესაბამისად), ან, შესაძლოა, საშემოსავლო გადასახადით, კონკრეტული გარემოებების მიხედვით.

დღგ-ის თვალსაზრისით, ზოგიერთი შემთხვევაში ჩამოთვლილი ხარჯის გაწევის დროს (მაგალითად, გამოფენები, გარე ლაბორატორიული ანალიზი) ხდება ღვინის პროდუქციის უსასყიდლო გადაცემა სხვა პირებზე. ამ შემთხვევაში, ამ პროდუქციის მიწოდება დაიბეგრება დღგ-ით იმ შემთხვევაში, თუ ამ პროდუქციის წარმოებაზე ან შესყიდვაზე კომპანიას დღგ სრულად ან ნაწილობრივ აქვს ჩათვლილი და გადაცემული პროდუქცია არ წარმოადგენს ნიმუშს. ეს გამომდინარეობს სსკ შემდეგი დებულებებიდან:

სსკ 159-ე მუხლი, „დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციები“:

„1. დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციებია:

ა) დასაბეგრი პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ანაზღაურების სანაცვლოდ საქონლის მიწოდება“.

სსკ 160-ე მუხლი „საქონლის მიწოდება“:

„1. საქონლის მიწოდება არის მატერიალური ქონების განკარგვაზე მესაკუთრის უფლების გადაცემა...“

3. ანაზღაურების სანაცვლოდ, საქონლის მიწოდებად ასევე განიხილება:

ა) დასაბეგრი პირის მიერ საქონლის უსასყიდლოდ მიწოდება, თუ მას ამ საქონელზე ან მასზე გაწეულ ხარჯზე დღგ სრულად ან ნაწილობრივ აქვს ჩათვლილი. ამასთანავე, საქონლის გადაცემა/გამოყენება ნიმუშის ან მცირე ღირებულების საჩუქრის სახით, არ განიხილება ანაზღაურების სანაცვლოდ საქონლის მიწოდებად“.

გარე ლაბორატორიული ანალიზისთვის გადაცემული პროდუქცია სწორედაც რომ წარმოადგენს ნიმუშს, ასე რომ ის არ უნდა დაიბეგროს დღგ-ით.

შიდა ლაბორატორიული ანალიზისთვის ან დეგუსტაციისთვის ღვინის გადაცემა იმ გონივრული ოდენობით, რაც საჭიროა ამ ანალიზისთვის ან დეგუსტაციისთვის, ასევე არის ღვინის ნიმუშის გადაცემა და არ დაიბეგრება დღგ-ით. ამასთან, ეს პროდუქცია არ უნდა დაიბეგროს არც საშემოსავლო გადასახადით, რადგან ეს საწარმოო ხარჯია და არ წარმოშობს კომპანიის დაქირავებული თანამშრომლისთვის ხელფასთან გათანაბრებულ სარგებელს.

სხვა შემთხვევებში, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება სსკ 164-ე მუხლის მე-2 ნაწილის

თანახმად:

„2. ამ კოდექსის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის:

ა) „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში,დღგ-ით დასაბეგრი თანხა არის საქონლის შესყიდვის ფასი ამ ან ანალოგიურ საქონელზე, ან თუ ასეთი არ არსებობს – მისი წარმოების ფასი, რომელიც შესაბამის შემთხვევებში დგინდება საქონლის გამოყენების, გასხვისების, დასაკუთრების (მფლობელობაში დარჩენის) ან დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების მომენტში“.

პიიხპა: სააქციო საზოგადოებაში დირექტორის მოადგილემ 2025 წლის ივლისის თვეში ავანსად აიღო 5 თვის ხელფასი, პირობითად 25000 ლარი. თანხა დაიბეგრა გადახდის წყაროსთან. სექტემბრის თვეში აღნიშნულმა თანამშრომელმა უკან დააბრუნა 3 თვის ხელფასი 15000 ლარი.

თქვენ მიერ ადრე ერთ-ერთ ნაპასუხებ კითხვაში აღნიშნულია, რომ შრომის კოდექსი არ ზღუდავს სამი თვის ხელფასის გაცემას, თუ ის არადაბრუნებადია. მაგრამ, გარდა ზემოხსენებულისა, გთხოვთ, გეთხროთ:

1) უკან დაბრუნებული თანხით უნდა მოხდეს ივლისის თვის საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის დაზუსტება (შემცირება)? თუ არა, მაშინ ხელახლა რომ გაცემთ ხელფასს, აღარ უნდა დაგბეგროთ შესაბამის თვეში? არასწორ დეკლარირებაზე ნომ არ დაგჯარიმდებით?

2) უკან დაბრუნებული თანხა სესხად ნომ არ უნდა განვიხილოთ და ჩავსვათ ივლისის თვის მოგების გადასახადის დეკლარაციაში? თუ გაცემის მომენტში არ ვიცოდით, რომ დააბრუნებდა, მაინც სესხად უნდა მივიჩნიოთ?

3) იმ შემთხვევაში, თუ სესხად ვაღიარეთ დაბრუნებული თანხის ნაწილი, აღნიშნული სესხი ნომ არ ჩაითვლება უსასყიდლოდ გაწეულ მომსახურებად და მასზე დარიცხული საბაზრო პროცენტი დაიბეგრება მოგების გადასახადით? თუ, დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით სსკ 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ პუნქტის მიზნებისთვის 20%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთის ოდენობით?

პასუხი: 1)-2) 5 თვის ხელფასის ავანსად გაცემა თავისთავად არაორდინალური ხდომილებაა. თუ მოგვიანებით 3 თვის ხელფასის ავანსი მან დააბრუნა, ეს ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ მას ამ 3 თვის ხელფასის ავანსი კი არ აუღია, არამედ სწორედაც რომ სესხი მიუციათ მისთვის. „გაცემის მომენტში არ ვიცოდით, რომ დააბრუნებდა“ – ძალიან არადამაჯერებლად შეიძლება უღერდეს საგადასახადო შემოწმების შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში სწორი ქმედებაა, მომხდარი ფაქტის – თანხის დაბრუნების გათვალისწინებით, მოხდეს ივლისის თვის საშემოსავლო და მოგების გადასახადების დეკლარაციის დაზუსტება. 2 თვის ხელფასის ავანსი – 10000 ლარი დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით როგორც ხელფასი, ხოლო დანარჩენი 15000 ლარი დაიბეგრება მოგების გადასახადით როგორც სესხი. შემდგომ, სესხის დაბრუნების (ან გაქვითვის) დროს, გადამხდელი შეიმცირებს დარიცხულ მოგების გადასახადს.

3) დიას, 15000 ლარი უნდა ჩაითვალოს უპროცენტო სესხის გაცემად, ანუ თანამშრომლისთვის უსასყიდლოდ გაწეულ მომსახურებად. ამ შემთხვევაში, სესხის ძირი იბეგრება მოგების გადასახადით დროებით, მის დაბრუნებამდე (სსკ 98² მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ პუნქტისა და მე-8 ნაწილის თანახმად), ხოლო ყოველთვიური საბაზრო პროცენტის თანხა, რომელსაც სესხის მიძღვნილი თანამშრომელი არ გადაიხდის, დაიბეგრება არა მოგების გადასახადით, არამედ საშემოსავლო გადასახადით, სსკ 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, რომლის მიხედვით ხელფასთან გათანაბრებული განაცემია:

„ბ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის გაცემისას – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთით გადასახდელი პროცენტის შესაბამისი თანხა“.

ამასთან, თანამშრომლის შემთხვევაში ეს საპროცენტო განაკვეთი დაბეგვრის მიზნით მუდამ უნდა იქნეს განხილული წლიურ 20%-ად (გარდა რეზიდენტი კომერციული ბანკის მიერ საკუთარი დაქირავებულისათვის საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის გაცემისას), რადგან ეს სწორედ ასეა დადგენილი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 28 იანვრის №34 ბრძანების „საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის საპროცენტო განაკვეთების დამტკიცების თაობაზე“ 1-ლი პუნქტის თანახმად.

პიიხპა: როგორც ინდემწარმეზე, ისე არა ინდემწარმეზე, საკუთარი ყურძნიდან მიღებული შემოსავალი ქონების გადასახადის განსაზღვრისათვის უნდა გავითვალისწინოთ?

პასუხი: როგორც აღნიშნულია სსკ 202-ე მუხლის მე-6 ნაწილში:

„6. ამ კარის მიზნებისათვის, ამ მუხლის მე-7 ნაწილის გათვალისწინებით, ფიზიკური პირის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავლებში შეიტანება ყველა შემოსავალი, მათ შორის, სარგებელი

საგადასახადო შეღავათების გაუთვალისწინებლად, კერძოდ:

ა) ეკონომიკური საქმიანობით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, გარდა ამ ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ბ) ნებისმიერი შემოსავალი, მათ შორის, სარგებელი, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან...

დ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირისათვის:

დ.ა) სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული დასაბეგრი შემოსავლის 25 პროცენტი;

დ.ბ) დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება მცირე ბიზნესის სპეციალური რეჟიმით დასაბეგრ შემოსავალს“.

ზემოაღნიშნული „ა“ პუნქტიდან გამომდინარე, თუ ფიზიკური პირი ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას და დარეგისტრებულია ინდემწარმედ ან მეწარმე ფიზიკურ პირად, მაგრამ არ აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი, მაშინ ქონების გადასახადით დაბეგვრის მიზნით მის მიერ წლიურ შემოსავლებში გასათვალისწინებელია ის დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც მას გამოუვა საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის შედეგად.

თუ მცირე ბიზნესის სტატუსი აქვს, ამასთან ეს რეჟიმი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ნაწილში აქვს მიღებული, მაშინ ქონების გადასახადით დაბეგვრის მიზნით მის მიერ წლიურ შემოსავლებში გასათვალისწინებელი იქნება იმ დასაბეგრი შემოსავლის მხოლოდ მეოთხედი, რომელიც მან მიიღო ამ საქმიანობიდან.

თუ სოფლის მეურნეობის მიმდევარი ფიზიკური პირი არ არის დარეგისტრებული ინდემწარმედ ან მეწარმე ფიზიკურ პირად, მაშინ მან, თუ მთლიანი შემოსავლის გათვალისწინება არ სურს, უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის აღრიცხვა, დასაბეგრი შემოსავლის დადგენის მიზნით (ქონების გადასახადით დაბეგვრაში გათვალისწინების გამო. ამ შემთხვევაში, შეიძლება დღის წესრიგში დადგეს მისი ინდემწარმედ ან მეწარმე ფიზიკურ პირად რეგისტრაციის საკითხი, თუმცა ეს არ იმოქმედებს ქონების გადასახადზე). თუ ის ამას ვერ ახერხებს ან არ აკეთებს, მაშინ მან ყურძნის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი მთლიანად უნდა ჩართოს თავის წლიურ შემოსავლებში, ქონების გადასახადით დაბეგვრის მიზნით. ეს გამომდინარეობს ზემოაღნიშნული ნ-„ბ“ პუნქტიდან.

კიოსკა: რეზიდენტი ფიზიკურ პირს გახსნილი აქვს ანაბრები საქართველოში ქართულ ბანკში და უცხოეთში უცხოურ ბანკში. ამ ანაბრებიდან მიღებული სარგებლის თანხები წარმოქმნის თუ არა რაიმე საგადასახადო ვალდებულებებს რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის?

პასუხი: 1) საქართველოში, ქართულ ბანკებში გახსნილი ანაბრებიდან მიღებული სარგებელი არ წარმოშობს რაიმე საგადასახადო ვალდებულებებს რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის, რადგან სსკ 131-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით დადგენილია:

„5. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული პროცენტები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება. ამასთანავე, აღნიშნული პროცენტები მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება, თუ ამ პროცენტების მიმღები არ არის ასევე ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი“.

2) უცხოეთში, უცხოურ ბანკებში გახსნილი ანაბრებიდან მიღებული სარგებლის თანხები რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის არ წარმოადგენს საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს! ეს გამომდინარეობს სსკ 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ პუნქტიდან. შესაბამისად, მათზე გავრცელდება სსკ 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ფ“ პუნქტით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათი:

„1. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:

ფ) რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი (მათ შორის, სარგებელი), რომელიც არ განეკუთვნება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს“.

აღნიშნავთ ასევე, რომ მიღებული პროცენტები წარმოადგენს ფინანსური მომსახურების ერთ-ერთ სახეს და არ იბეგრება დღგ-ით სსკ 171-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად.

აღსანიშნავია ასევე, რომ სსკ მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს შემოსავალი არ ითვლება ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლად:

„2. ეკონომიკურ საქმიანობას არ მიეკუთვნება:...

ე) ფიზიკური პირის მიერ ფულადი სახსრების საბანკო დაწესებულებებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში დეპოზიტებსა და ანაბრებზე განთავსება“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ანაბრებიდან მიღებული შემოსავალი გათვალისწინებული უნდა იქნეს ოჯახის წლიურ შემოსავალში იმის განსაზღვრავად, ეკუთვნის თუ არა საგადასახადო შეღავათი (40000 ლარამდე შემოსავლების შემთხვევაში) ფიზიკური პირის ქონების გადასახადის გასაანგარიშებლად, რადგან სსკ 202-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით:

„6. ამ კარის მიზნებისათვის, ამ მუხლის მე-7 ნაწილის ვათვალისწინებით, ფიზიკური პირის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავლებში შეიტანება ყველა შემოსავალი, მათ შორის, სარგებელი საგადასახადო შეღავათების გაუთვალისწინებლად, კერძოდ:...

ბ) ნებისმიერი შემოსავალი, მათ შორის, სარგებელი, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან“.

კითხვა: ვარ არამეწარმე ფიზიკური პირი. ნაყიდი მაქვს კომერციული ფართი 2017 წლის 28 ივნისს 300000\$-ად, რომელიც გაქირავებული მაქვს კომპანიაზე (კომპანია გადახდის წყაროსთან მიკავებს 20% საშემოსავლო გადასახადს გადახდილი ქირაგნობის საზღაურიდან, ადეკლარირებს და რიცხავს ბიუჯეტში). ამჟამად ამ ფართს ვყიდი 500000\$-ად. რა გადასახადები მექნება გადასახდელი როგორც პროცენტულად, ასევე თანხებში გამონატული და როდის?

პასუხი: კომერციული ფართის გაყიდვა დაიბეგრება დღგ-ით (თუ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული არ ხართ, უნდა დარეგისტრირდეთ მიწოდების განხორციელებამდე). ეს გამომდინარეობს სსკ 158-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან:

„3. ერთჯერადი/არარეგულარული ხასიათის მიუხედავად, ნებისმიერ შემთხვევაში, ეკონომიკურ საქმიანობად განიხილება არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობის/ნაგებობის მიწოდება“.

დღგ-ის თანხა იქნება $500000 / 1,18 * 18\% = 76271.19$ აშშ დოლარი, მიწოდების დღეს არსებული კურსით;

ეს მიწოდება ასევე დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით (20%) ნამეტი თანხიდან, რადგან მასზე არ გავრცელდება სსკ 82-ე მუხლის „ვ.ვ“ პუნქტით დადგენილი შეღავათი დაბეგვისაგან გათავისუფლებაზე:

„ვ.ვ) 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული აქტივის მიწოდებით მიღებული ნამეტი, გარდა გამსხვიებლის მიერ აქტივის მიწოდებამდე ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების ან/და ამ ქვეპუნქტის „ვ.ა“ და „ვ.ბ“ ქვეპუნქტებით ვათვალისწინებული შემთხვევებისა“, რადგან გასაყიდი ფართი არასაცხოვრებელია და ის გამოყენებულია ეკონომიკურ საქმიანობაში.

ნამეტი დაითვლება შემდეგნაირად: A-B, სადაც:

A არის გასაყიდი ფასი დღგ-ის გარეშე, ანუ $500000 - 76271.19 = 423728.81$ აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, მიწოდების დღეს არსებული სავალუტო კურსით;

B არის შესყიდვის ფასი 300000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, შესყიდვის (2017 წლის 28 ივნისი) დღეს მოქმედი სავალუტო კურსით.

ეს სხვაობა ანუ ნამეტი დაიბეგრება 20% საშემოსავლო გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 135-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქონების/აქტივის მიწოდებით ფიზიკური პირის მიერ მიღებული ნამეტის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვის საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე.

ამავე კოდექსის 153-ე მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში, ფიზიკური პირი ვალდებულია, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და გადაიხადოს კუთვნილი გადასახადი.

დამატებით აღვნიშნავთ, რომ თუ თქვენ დარეგისტრირდებით მეწარმე ფიზიკური პირის სტატუსით (ანუ, თუ ჩაითვლება, რომ თქვენ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ახდენთ ამ ოპერაციას), მაშინ საშემოსავლო გადასახადი უნდა გადაიხადოთ არა უგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რა მიზნითაც საგადასახადო ორგანოს ამ ვადაში უნდა წარუდგინოთ საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია, სსკ 153-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად.

გარდა ამისა, მეწარმე ფიზიკური პირის სტატუსის მიღების შემთხვევაში, თქვენ „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონის თანახმად შეგიძლიათ ნებაყოფლობით ჩაერთოთ საპენსიო დაზღვევის სქემაში როგორც თვითდასაქმებული და გადაიხადოთ საპენსიო შენატანი (4% ზემოაღნიშნული ნამეტიდან). ამ შემთხვევაში, დარიცხული საპენსიო შენატანი გამოაკლდება საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრ ბაზას.

კითხვა: ვართ დაბეგვის „ესტონურ მოდელზე“ მყოფი სამშენებლო კომპანია (შპს). კომპანია ჩართულია საქართველოს მთავრობის „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ „სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2022 წლის 29 მარტის #159 დადგენილებით განსაზღვრულ პროგრამაში.

საქართველოს კანონის საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141-ე მუხლის 23-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის 25-ე პუნქტის თანახმად, კომპანიასა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება „ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით, მუნიციპალური მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში

განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით დადგენილი მოთხოვნის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის საცხოვრებელი ბინების უსასყიდლო საკუთრებაში გადაცემის შესახებ“.

აღნიშნული ხელშეკრულებით, კომპანიისთვის განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის ნამატმა ფართობი შეადგინა 55000 კვ.მ. შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემა ფართობი შეადგინა ნამატი ფართობის 10% – 5500 კვ.მ.

აღნიშნული ფართობის (5500 კვ.მ-ის) მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემა ხომ არ წარმოქმნის რაიმე სახის გადასახადს კომპანიისთვის?

პასუხი: თქვენ მიერ მითითებული საქართველოს კანონით, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 141-ე მუხლის 23-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის 25-ე პუნქტის თანახმად განსაზღვრულია:

„23. ქალაქ ბათუმის განაშენიანების გენერალური გეგმის დამტკიცებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2027 წლის 1 იანვრისა, სათათბირო საბჭოს დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების სახით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განაშენიანების დეტალური გეგმის გარეშე შესაძლებელია განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდა. ასევე დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით (შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე, ფუნქციური ზონა და მისი რეკლამენტი (გარდა განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტისა და გამწვანების კოეფიციენტისა)) გათვალისწინებული სხვა განსხვავებული პირობებით ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციისა და სამშენებლო დოკუმენტაციის დამტკიცება ან მათში ცვლილებების შეტანა. ამ ნაწილით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია, თუ ის კომპენსირდება შესაბამისი ღონისძიებით, ამავდროულად, არ დაუპირისპირდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კანონმდებლობით განსაზღვრულ რეგულაციებს, საზოგადოებრივ ინტერესებს და არ გამოიწვევს ადამიანთა საცხოვრებელი გარემოს და საბუნებრივ გარემოს სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუარესებას. ამასთანავე, დროებითი ხელშემწყობი ღონისძიება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქალაქგეგმარებით ესთეტიკურ პარამეტრებს და უნდა ითვალისწინებდეს არსებული საინჟინრო, სატრანსპორტო და მწვანე ინფრასტრუქტურის ეფექტიანი შენარჩუნების/გაუმჯობესების პირობებს. ამ ნაწილით გათვალისწინებული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ:...

გ) ავარიული შენობა-ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ან მრავალბინიანი, საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი შენობა-ნაგებობა) ჩანაცვლების მიზნით...

25. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ამ მუხლის 23-ე ნაწილით გათვალისწინებული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ამ ღონისძიების შედეგად შენობა-ნაგებობის გაზრდილი ფართობის არანაკლებ 10%-ისა სასარგებლო ფართობის სახით უნდა დარეგისტრირდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და გამოყენებული უნდა იქნეს სოციალური მიზნით, მათ შორის, ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლებისთვის. ეს ფართობი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირდება მესაკუთრის ან/და მშენებლობის ნებართვის მფლობელის თანხმობის გარეშე“.

ამგვარად, მოცემულ შემთხვევაში, ერთი მხრივ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი და მისი საკრებულო ასრულებენ საქმიანობას, „რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მათთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების შესრულებასთან, გარდა ხელშეკრულების საფუძველზე ფასიანი მომსახურების გაწევისა“, რაც არ წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას სსკ მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის მიხედვით;

მეორე მხრივ კი, ზემოაღნიშნული 25-ე პუნქტის ბოლო წინადადებიდან გამომდინარე, შენობა-ნაგებობის გაზრდილი ფართობის არანაკლებ 10%-ის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაცია ხდება მესაკუთრის ან/და მშენებლობის ნებართვის მფლობელის თანხმობის გარეშე, ანუ არ არის დამოკიდებული მის მიერ ნების გამოვლენაზე.

ამ ორი გარემოების ერთობლიობა ქმნის იმის საფუძველს, რომ მოცემული ხდომილება – 5500 კვ.მ ფართობის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემა არ წარმოადგენს ბარტერულ გარიგებას ან მის ნაწილს, არამედ ნამდვილად უსასყიდლო გადაცემაა. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს გამოიყენოს მისთვის სსკ 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ბ“ პუნქტით მინიჭებული უფლება და შეეცადოს ამ გარიგების ბარტერად გადაკვალიფიცირებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს გადაცემა არ დაიბეგრება არც მოგების გადასახადით და არც დღგ-ით, სსკ შემდეგი დებულებებიდან გამომდინარე:

სსკ 98³ მუხლი, მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტი:

„3. მოგების გადასახდით არ იბეგრება უსასყიდლოდ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის ან/და ფულადი სახსრების გადაცემის შემდეგი შემთხვევები:...

დ) სახელმწიფოსათვის, მუნიციპალიტეტისათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა“;

სსკ 172-ე მუხლი, მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტი:

„4. დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით, ასევე გათავისუფლებულია:...

გ) სახელმწიფოსთვის ან/და მუნიციპალიტეტისთვის საქონლის უსასყიდლოდ გადაცემა ან/და მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა“.

პიიისპა: წარმოგადგინეთ დღგ-ის გადამხდელ იურიდიულ პირს. პერიოდულად გვაქვს მარკეტინგული აქტივობები, კერძოდ: თუ კლიენტმა შეიძინა საქონელს ჩვენგან, მას დაერიცხება გარკვეული ოდენობის ქულები, რომლითაც შემდგომ, თუ გარკვეული პერიოდის გათვალისწინებით გამოიყენებს, შეუძლია შეიძინოს საქონელი.

პირობითად განვიხილოთ ასეთი მაგალითი:

2024 წლის ოქტომბერში კლიენტმა შეიძინა 100 ლარის ღირებულების საქონელი, რაზეც მას დაერიცხა 10 ლარის ქულა (ჩვენ დღგ-ით დასაბეგრ ბაზაში ავსახეთ დ-ტი 1410 კ-ტი 6110 - 84.75 და კ-ტი 3330 - 15.25 ლარი, ასევე დ-ტი 1210 კ-ტი 1410 100 ლარი).

2024 წლის თებერვალში აღნიშნულმა ფიზიკურმა პირმა შეიძინა 20 ლარის საქონელი, ხოლო თანხა გადაიხადა 10 ლარი, დანარჩენი კი გაინაშთა დარიცხული ქულებით (აღნიშნული სმფ - სრულად იბეგრება დღგ-ით).

2025 წლის თებერვალში დღგ-ით დასაბეგრ ბაზაში რა უნდა აისახოს? 10 ლარის შესაბამისი 6110 ანგარიშის ბრუნვა თუ 20 ლარის შესაბამისი?

გთხოვთ განიხილოთ ეს მაგალითი (ქულებით განაშთგა) ბუღალტრული ანგარიშების მიხედვით გატარებების დონეზე.

შენიშვნა:

როგორც ჩემთვის არის ცნობილი, არსებობს გამოცემული წინასწარი გადაწყვეტილებები, რომლის მიხედვითაც დღგ-ით დასაბეგრ ბაზად განისაზღვრება გადახდილ თანხას დამატებული ქულებით შექმნილი სმფ-ის ღირებულება.

პასუხი: თქვენ მიერ ნახსენებ წინასწარ გადაწყვეტილებებს ჩვენ არ ვიცნობთ (რაც ბუნებრივია, ისინი ხომ ინდივიდუალური და კონფიდენციალური გადაწყვეტილებებია), თუმცა ჩვენი ჩამოყალიბებული პოზიციაა, რომ ფინანსური აღრიცხვის მიზნებისთვის, ეს არის ასეთი შეთანხმება გამყიდველსა და მყიდველს შორის: შენ თუ „დღეს“ 100 ლარს გადამიხდი, მე გაგიკეთებ 10-ლარიან ფასდათმობას 110 ლარის ღირებულების პროდუქციაზე, რომლიდანაც 100 ლარის პროდუქციას გაგატან „დღეს“, ხოლო დანარჩენი 10 ლარის პროდუქციას კი მოგცემ „ხვალ“. შესაბამისად, ფინანსური აღრიცხვის მიზნებისთვის, მიღებული 100 ლარის 100/110-ედი ნაწილი, ანუ 90.91 ლარი არის შემოსავალი (გადასახადების ჩათვლით) „დღეს“, ხოლო მიღებული 100 ლარის 10/110-ედი ნაწილი, ანუ 9.09 ლარი იქნება შემოსავალი „ხვალ“ (ამ განმარტებაში „შემოსავალში“ ვგულისხმობთ თანხას დღგ-ის ჩათვლით). ისეთ თეორიულ შემთხვევას, რომ მაღაზიამ ქულების სანაცვლოდ შეიძლება ფული დაუბრუნოს მომხმარებელს, არ განვიხილავთ.

ჩვენი პოზიციის ამსახველი ბუღალტრული გატარებები (ფინანსური აღრიცხვის მიზნებისთვის) მოყვანილი გვაქვს ჩვენი ჟურნალის 2024 წლის №7(295) ნომერში.

შესაძლოა ასეთი ინტერპრეტაცია: 100 ლარიან პროდუქციაზე ვიკეთებ 10 ლარიან ფასდაკლებას და გაგატან 90 ლარად, დარჩენილ 10 ლარს კი დავიტოვებ ავანსად და შესაბამის პროდუქციას გაგატან ხვალ. თუმცა, ზემოთ მოყვანილი ჩვენი ინტერპრეტაცია უფრო ზუსტია.

საგადასახადო აღრიცხვის მიზნებისთვის კი, ეს უნდა შეფასდეს, როგორც 2024 წლის ოქტომბერში 90 ლარად პროდუქციის გაყიდვა და 10 ლარი ავანსის მიღება, რომელიც შემდეგ გამოყენებული/ათვისებული იქნება 2025 წლის თებერვალში. ამასთან, თუ ამ მიწოდებაზე სასაქონლო ზედნაღები იწერება და გამყიდველი პირის მიერ ის გამოწერილი იქნა 100 ლარზე, ეს არასწორია და ზედნაღები უნდა შესწორდეს.

საგადასახადო აღრიცხვის მიზნით, სწორი ბუღალტრული გატარებები ასეთია:

1) თავდაპირველი გაყიდვა (2024 წლის ოქტომბერი), 100 ლარი:

დ-ტი 1210 (ან 1110) კ-ტი 1410 90=,

დ-ტი 1210 (ან 1110) კ-ტი 3120 10= - მყიდველისგან მიღებული თანხიდან 90 ლარი ჩაირთვება რეალიზაციაში, ხოლო 10 ლარი აღიარდება ავანსად;

დ-ტი 1410 კ-ტი 6110 90=, დ-ტი 6110 კ-ტი 3330 13.73 - დარიცხულია დღგ გაყიდვის თანხიდან;

დ-ტი 3340/„დარიცხული ავანსის დაბეგვრის გამო აღსადგენი დღგ-ის აქტივი“

კ-ტი 3330 1.52 – დარიცხულია დღგ ავანსის თანხიდან.

2) შემდგომი გაყიდვა ფასდათმობისგან წარმოშობილი ავანსის გამოყენებით (2025 წლის თებერვალი), 20 ლარი:

დ-ტი 1410 კ-ტი 6110 10=,

დ-ტი 3120 კ-ტი 6110 10=,

დ-ტი 6110 კ-ტი 3330 3.05 და დ-ტი 3330 კ-ტი 3340/„დარიცხული ავანსის დაბეგვრის გამო აღსადგენი დღგ-ის აქტივი“ 1.52 – დარიცხულია დღგ გაყიდვის თანხიდან და გაქვითულია ადრე დარიცხული დღგ ავანსიდან.

დამატებით აღვნიშნავთ, რომ ჩვენს ამ პასუხში არ მიმოვიხილავთ იმ შემთხვევას, როდესაც მხარეები არიან ურთიერთდამოკიდებული პირები.

პიიხვა: მოვანდინეთ შენობის გადაფასება, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი ღირებულება. წინა წლებში გარიცხავდით ცვეთას, ნარჩენი ღირებულების 5% -ს. ამ წლიდან გვინდა გადავიდეთ ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდზე. არის თუ არა რამე შეზღუდვა ამ გადასვლასთან დაკავშირებით?

მაგალითად, ვთქვათ შენობის ნარჩენი ღირებულება (პირვანდელ ღირებულებას მინუს ცვეთა) არის 1 500 000 ლარი, სასარგებლო მომსახურების ვადა – 40 წელი. ამ წლების გასვლის შემდეგ მისი ღირებულება იქნება 500 000 ლარი. ცვეთა იქნება 25 000 ლარი ყოველწლიურად – 40 წლის განმავლობაში:

$(1\ 500\ 000 - 500\ 000) : 40 = 25\ 000$ ლარი.

რამდენად სწორია ჩვენი მოქმედებები?

პასუხი: ბასს 8 „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომების“ მე-14 მუხლის თანახმად, „საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ცვლილება:

ა) მოითხოვება სტანდარტის მიერ; ან

ბ) უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში უფრო საიმედო და შესაბამისი ინფორმაციის წარდგენას საწარმოს მიერ განხორციელებული ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების გაუარესების შესახებ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, სამეურნეო საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებზე“.

ანალოგიურ დებულებას შეიცავს ასევე მსს ფასს-ის მე-10 განყოფილება „სააღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და შეცდომები“, კერძოდ კი მისი 10.8 მუხლი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება უფრო შესაბამისია თქვენი ფინანსური ანგარიშგების საიმედოდ და შესაბამისად წარდგენისათვის, მაშინ შესაძლებელია სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების შედეგები აისახება საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში რეტროსპექტულად, ანუ ხდება გასული წლების ფინანსური მონაცემების გადაანგარიშება (იმ პერიოდიდან დაწყებული, როცა ეს პრაქტიკულად შესაძლებელია).

თუმცა, ძირითადი საშუალებების სასარგებლო სამსახურის ვადის განსაზღვრა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი უმეტეს შემთხვევაში განიხილება არა როგორც სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება, არამედ როგორც სააღრიცხვო შეფასება. მსს ფასს-ის 10.15 მუხლში აღნიშნულია:

„10.15. სააღრიცხვო შეფასების ცვლილება არის აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების, ან აქტივის პერიოდული გამოყენების თანხის კორექტირება, რომელიც გამომდინარეობს აქტივებისა და ვალდებულებების მიმდინარე სტატუსის შეფასებიდან, ან აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლისა და ვალდებულებების შეფასებიდან. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებას იწვევს ახალი ინფორმაცია ან ახალი მოვლენები და, შესაბამისად, ეს არ წარმოადგენს შეცდომების გასწორებას. იმ შემთხვევაში, როდესაც რთულია სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასების ცვლილების ერთმანეთისგან გამიჯვნა, ამგვარი ცვლილება მიიჩნევა სააღრიცხვო შეფასების ცვლილებად“.

ბასს 8-ის 32-ე მუხლის თანახმად, „სააღრიცხვო შეფასებების მაგალითებია:.. დ) ძირითადი საშუალების ცვეთის ხარჯი, ბასს 16-ის - „ძირითადი საშუალებები“ შესაბამისად“. ბასს 16 შეიცავს რამდენიმე მუხლს ამ საკითხთან დაკავშირებით:

ბასს 16, 51-ე მუხლი: „აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს მაინც უნდა გადაისინჯოს და თუ მოსალოდნელია მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები უნდა აისახოს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, ბასს 8-ის - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ – შესაბამისად“.

ბასს 16, 61-ე მუხლი: „ძირითადი საშუალებებისათვის ცვეთის მეთოდი პერიოდულად, ფინანსური წლის ბოლოს მაინც, უნდა გადაისინჯოს და, თუ მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება მოცემული აქტივიდან მოსალოდნელი

ეკონომიკური სარგებლის ხასიათში, შესაბამისად უნდა შეიცვალოს ცვეთის მეთოდიც. ეს ცვლილება განიხილება და აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, ბასს 8-ის შესაბამისად“.

ბასს 16, 76-ე მუხლი: „საწარმო სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილების ხასიათსა და შედეგს, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდზე ან მოახდენს მომავალ საანგარიშგებო პერიოდებზე განმარტავს ბასს 8-ის შესაბამისად. ამგვარი ინფორმაციის საჭიროება შეიძლება გამოიწვიოს ისეთი შეფასებების ცვლილებებმა, როგორცაა:

- ა) ნარჩენი ღირებულება;
- ბ) დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადვილმდებარეობის აღდგენის ხარჯები;
- გ) სასარგებლო მომსახურების ვადა; და
- დ) ცვეთის მეთოდი“.

სააღრიცხვო შეფასების ცვლილების შედეგები აისახება საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში პერსპექტიულად, ანუ ამ შემთხვევაში წინა წლების ფინანსური მონაცემები არ გადაანგარიშდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენ მიერ ახალი სააღრიცხვო შეფასებით ძირითადი საშუალების ღირებულებისა და მისი ცვეთის გადაანგარიშება მომხდარია მართებულად.

პიიხპა: ერთ-ერთმა არარეზიდენტმა კომპანიამ, რომელთანაც ვთანამშრომლობთ, დაუდო ჩვენს კომპანიას დამატებითი ერთჯერადი შეთანხმება:

საქართველოში უნდა გამოავსავსოთ საქონელი, „კლინიკა X“-ის პაციენტისთვის, რომელსაც უნდა ჩაუტარდეს სარქველის შეცვლის ოპერაცია. სარქველი არის 15000 აშშ დოლარის ღირებულების და გამოავსავსა ჩვენს კომპანიაში უსასყიდლოდ (ფასი მითითებული იქნება მხოლოდ საბაჟო მიზნებისთვის) და ჩვენ ასევე უსასყიდლოდ უნდა მივაწოდოთ შპს „კლინიკა X“-ს (პირდაპირ კლინიკასთან არ თანამშრომლობენ თავიანთი რეგულაციებიდან გამომდინარე, ასევე იმის გამო, რომ ჩვენი კომპანია არის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში ამ არარეზიდენტი კომპანიის). ამ ოპერაციისთვის არარეზიდენტი კომპანია გვინდის მომსახურების თანხას 3500 აშშ დოლარს.

ჩვენი მხრიდან მომსახურების თანხას ავიღებთ შემოსავალში და დავბეგრავთ დღგ-ით. თავად საქონელს რაც შეეხება, ის არის დაუბეგრავი (გათავისუფლებულია დღგ-ისაგან როგორც იმპორტი, ასევე მიწოდება).

რამე შენიშვნა ხომ არ გექნებათ?

პასუხი: მოცემულ შემთხვევაში, სამ ქმედებას აქვს ადგილი: 1) არარეზიდენტმა კომპანიამ უსასყიდლოდ გამოავსავსათ სამედიცინო საქონელი, რომელიც არ იბეგრება დღგ-ით; 2) ეს სამედიცინო საქონელი თქვენ უსასყიდლოდ მიაწოდეთ კლინიკას ამ არარეზიდენტი კომპანიის დავალებით; 3) ამ ქმედებების განხორციელებისათვის (საქონლის მიღება და კლინიკა X-ისთვის მისი უსასყიდლოდ გადაცემა) არარეზიდენტმა კომპანიამ გადავიხადეთ საფასური, რომელიც აღიარეთ შემოსავლად და დაბეგრეთ დღგ-ით.

პირველ რიგში, შევნიშნავთ, რომ არარეზიდენტისაგან მიღებული ეს გასამრჯელო 3500 აშშ დოლარი ნამდვილად თქვენი შემოსავალია (ამონაგების ნაწილია), მაგრამ მისი დღგ-ით დაბეგვრა არასწორია. თქვენ მიერ გაწეული ამ მომსახურების მიმღები არარეზიდენტი კომპანია, რომელსაც არ აქვს ფიქსირებული დაწესებულება საქართველოში, ამიტომ ის არ დაიბეგრება დღგ-ით, სსკ 162¹ მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტიდან გამომდინარე:

„3. თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი:

ა) მომსახურების გაწევის ადგილად განიხილება ადგილი, სადაც მომსახურების მიმღები არის დაფუძნებული, თუ მომსახურების მიმღები არის დასაბეგრი პირი. ამასთანავე, თუ მომსახურების გაწევა ხორციელდება მომსახურების მიმღების ფიქსირებული დაწესებულებისთვის, რომელიც არ მდებარეობს იქ, სადაც მომსახურების მიმღებია დაფუძნებული, მომსახურების გაწევის ადგილად განიხილება ფიქსირებული დაწესებულების მდებარეობის ადგილი. დაფუძნების ადგილის ან ფიქსირებული დაწესებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურების გაწევის ადგილად განიხილება ადგილი, სადაც მომსახურების მიმღებს აქვს მუდმივი მისამართი, ან, სადაც ის ჩვეულებრივ ცხოვრობს“.

შენიშვნა: გაწეული მომსახურება არ მიეკუთვნება სსკ 162¹ მუხლით განსაზღვრულ გამონაკლისებს.

ზემოაღნიშნული პირველი ორი ქმედებიდან, 1-ლი არანაირ რისკს არ შეიცავს. მე-2 ქმედებაც არ შეიცავს რამე რისკს, რადგან საქონელი დღგ-ით არ იბეგრება, ხოლო კლინიკა X – როგორც ჩანს, მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონურ მოდელზე“ მყოფი პირია. ერთადერთი, რასაც უნდა მიაქციოთ ყურადღება, თუ ამ საქონლის მიწოდებისას გაწეით მის მიწოდებასთან უშუალოდ დაკავშირებული რამე ისეთი ხარჯი, რომელიც დღგ-ს მოიცავდა (მაგალითად, ამ საქონლის ტრანსპორტირება), ეს დღგ არ ექვემდებარება ჩათვლას. ამ ოპერაციასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებზე, თუ ისინი გაქვთ, დღგ შეგიძლიათ ჩაითვალოთ, რადგან ეს ხარჯები მიმართულია არარეზიდენტის მიერ დაკვეთილი მომსახურების შესრულებისათვის, რაც არ ზღუდავს დღგ-ის ჩათვლის უფლებას.

რუბრიკის სპონსორები:



www.aafcapital.ge

შპს „ააფ-კაპიტალი“

AAFC — სასწავლო-სასერტიფიკაციო პროგრამები ფინანსებში



საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერი“

შრომის ბირჟა ფინანსისტიკისათვის / ტვილისი

შრომის ბირჟა ფინანსისტიკისათვის - ამ რუბრიკის მეშვეობით „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“ ეხმარება სასწავლო ცენტრი „ააფ-კაპიტალი“ მსმენელებს ან/და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა „ინფო ბუღალტერი“ მცოდნე ფინანსური სფეროს სპეციალისტებს მათი კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაოს შოვნაში, ხოლო საწარმოებს - კადრების შერჩევაში. ნებისმიერი სახის ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ ჟურნალის რედაქციაში: ტელ. 239-33-50 ან 239-33-47.

განცხადებების განთავსება უფასოა, თუმცა გამოქვეყნების ჯერადობა შეზღუდულია. აუცილებელი მითხვანაა, რომ უფასო განცხადებების გამოქვეყნების მსურველმა გაიაროს ერთჯერადი გასაუბრება ჟურნალის მთავარ რედაქტორთან.

ამ რუბრიკის მეშვეობით სამსახური იშოვა 69 განმცხადებელმა!

- ბანკი. 040010. კაცი, 24 წლის, AAFC-1/ AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - სასაუბრო. კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 289026. ქალი, 34 წლის, AAFC-1/ AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 098901. ქალი, 35 წლის, AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 228501. ქალი, 39 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 058018. ქალი, 44 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 070015. ქალი, 24 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 139402. ქალი, 30 წლის, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 139303. ქალი, 31 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 089026. ქალი, 33 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 049712. კაცი, 26 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - საშუალო, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 029402. კაცი, 29 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - საშუალო, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 099702. კაცი, 26 წლის, AAFC-2 კურსები, ინგლისური - კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 137323. ქალი, 50 წლის, „ბიჯისი“ კურსები, რუსული - ძალიან კარგად, ინგლისური - საშუალო, კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 040010. კაცი, 23 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 125931. ქალი, 59 წლის, AAFC-2 კურსები, კომპიუტერი - საშუალო. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 39121. კაცი, 31 წლის, მსმენელი/AAFC-2 კურსები, ინგლისური - ძალიან კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

საზღვარგარეთის ამბები

საზღვარგარეთის ამბები - ამ რუბრიკით საქართველოს ფარგლებს გარეთ მომხდარ სხვადასხვა სახსრებს და მნიშვნელოვან ამბებს გაგაცნობთ.

რუბრიკას უძღვება „ააფის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ფრიდონ კერვალიშვილი.

ყველაზე ხანგრძლივი SHUT DOWN-ის გავლენა ამერიკის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე

აშშ-ში სამთავრობო კრიზისის ანტირეპორტი დამყარდა

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის „შათდაუნი“ (Shut Down – აშშ-ის ფედერალური მთავრობის დროებითი დახურვა, როცა კონგრესი ვერ ამტკიცებს ბიუჯეტს ან დროებით დაფინანსებას, რის გამოც სახელმწიფო უწყებების ნაწილი წყვეტს მუშაობას) დასრულებულია. კანონპროექტს ხელი პრეზიდენტმა ტრამპმა მოაწერა. არსებული მოცემულობით, დამტკიცებულია დროებითი ბიუჯეტი, რომელიც მთავრობის დაფინანსებას 30 იანვრამდე გულისხმობს. რაც შეეხება 2026 წლის მთლიან ბიუჯეტს, მასზე მსჯელობისთვის კანონმდებლებს ორი თვე ექნებათ.

სანამ პრეზიდენტი საბოლოო კანონპროექტს ხელს მოაწერდა, დოკუმენტს მხარდაჭერა კენჭისყრაზე საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატამ გამოუცხადა. ჯერ სენატში, შემდეგ კი წარმომადგენელთა პალატაში გამოჩნდა იმდენი „დემოკრატი“ კანონმდებელი, რამდენიც გადაწყვეტილების მისაღებად იყო საკმარისი. შედეგად, „დემოკრატების“ მიერ დადებული „ვეტო“ სწორედ მათი წარმომადგენლების დახმარებით დაიძლია.

აღსანიშნავია, რომ ფედერალური მთავრობის გახსნას წინ უძღოდა ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი – 43-დღიანი „შათდაუნი“, რა დროსაც, Goldman Sachs-ის ეკონომისტების შეფასებით, ქვეყნის ეკონომიკამ სულ მცირე \$20 მილიარდის ზარალი მიიღო. მშპ-ის ზრდა მე-4 კვარტალში 1.15%-ით შემცირდა. სამსახური დაკარგა 4,000-მა ფედერალურმა მუშაკმა, ხოლო 600,000 ადამიანი უხელფასო შვებულებაში გავიდა. 700,000 საჯარო მოხელეს საქმიანობა საკუთარი ხარჯებით უწყვედა. გადაიღო ან გაუქმდა ათობით ათასი ფრენა ქვეყნის 40 უმთავრეს აეროპორტში. სახელმწიფო დახმარების გარეშე დარჩა 42 მილიონი მოქალაქე.

ჯერჯერობით უცნობია, მოხერხდება თუ არა 2026 წლის საბიუჯეტო პროექტის დამტკიცება, რადგან რესპუბლიკურ პარტიაში კვლავ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ბარაკ ობამას პრეზიდენტობისას მიღებულ „ხელმისაწვდომი დაზღვევის აქტთან“ დაკავშირებით. სექტემბრის ბოლოს „შათდაუნის“ დაწყებას სწორედ ამ საკითხზე შეუთანხმებლობა უძღოდა წინ. მაშინ

დემოკრატებმა რესპუბლიკელთა შიდა დაპირისპირებით ისარგებლეს და დროებითი ბიუჯეტის პროექტის წინააღმდეგ სენატში ფილიბასტერი გამოიყენეს – პროცედურული ბარიერი, რომელიც უმცირესობას აძლევს შესაძლებლობას, დაბლოკოს კენჭისყრა. მათი მოთხოვნა იყო, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში კვლავ შენარჩუნებულიყო ობამას ჯანდაცვის რეფორმის დაფინანსება.

ასე რომ, აშშ-ში ახალი საფინანსო წლის დაწყებიდან ფედერალური მთავრობა ნაწილობრივ უქმედ 43 დღის მანძილზე იყო.

ზოგადად, „შათდაუნის“ პირობებში შეერთებული შტატების საჯარო სექტორში მხოლოდ ისინი მუშაობენ, ვინც სიცოცხლისა და საკუთრების დაცვას უზრუნველყოფენ (ექიმები, სამხედროები, სამართალდამცველები). გამონაკლისს მიეკუთვნებიან ქვეყნის პრეზიდენტი და კონგრესმენები. ახლანდელი „შათდაუნის“ დროს, თითქმის მილიონნახევარი სახელმწიფო მოხელე ან ანაზღაურების გარეშე შვებულებაში აღმოჩნდა, ან უხელფასოდ მუშაობდა. დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ გეგმაში აქვს 4 ათასზე მეტი მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება – ამ სეგმენტში ძირითადად ფინანსთა, ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს, განათლების, საცხოვრებელი და ურბანული განვითარების სამინისტროები მოხვდნენ. Oxford Economics-ის გამოთვლებით, „შათდაუნი“ ქვეყნის ეკონომიკის ზრდას კვირაში 0,1-0,2%-ით შეანელებს, ხოლო თუ იგი მთელი კვარტალი გავრძელდებოდა, მშპ-ის მატება 1,2-2,4%-ით შემცირდებოდა.

თანამედროვე „შათდაუნების“ ისტორია

ბოლო 6 წლის განმავლობაში ეს აშშ-ის მთავრობის პირველი კრიზისი გახლდათ. ამ პერიოდში ეს მმართველი ორგანო „წამიერად“ თუ ჩერდებოდა, რადგან ვიდრე მხარეთა შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, კონგრესმენები რამდენიმე თვეზე გაწერილ დროებით ბიუჯეტზე (Continuing Resolution, CR) თანხმდებოდნენ. თანამედროვე ისტორიაში შტატებმა 22 „შათდაუნს“ გაუძლო. სხვათა შორის, მანამდეც ყველაზე ხანგრძლივი პაუზა (35 დღე) ტრამპის პრეზიდენტობისას (2018 წლის 22 დეკემბრიდან 2019 წლის 25 იანვრამდე)

მოხდა. მაშინ, უხელფასო შვებულებაში მყოფი მოხელეები, იძულებული გახდნენ სასურსათო დახმარების პაკეტი მიეთხოვათ, ხოლო ვინც ანაზღაურების გარეშე მუშაობდა – ისინი მასობრივად ბიულეტენზე გასვლის გზას დაადგნენ. ის „მათდაუნი“ ამერიკის ეკონომიკას 3 მილიარდი დოლარი დაუჯდა.

ბიუჯეტის მიღების თანამედროვე წესები აშშ-ში 1976 წლიდან მოქმედებს. პირველი პრეზიდენტი, რომლის დროსაც „მათდაუნი“ მოხდა, რესპუბლიკელი ჯერალდ ფორდი იყო. მან ბიუჯეტს ვეტო „ჯანდაცვასა და სოციალურ პროგრამებში არაადეკვატური ხარჯების“ გამო დაადო. მისმა შემცველმა დემოკრატმა ჯიმი კარტერმა უკან 5 „მათდაუნი“ მოიტოვა, რაც ტრამპის მეორედ გაპრეზიდენტებამდე, ჯამში რეკორდულ 56 დღეს ითვლიდა. კარტერისას კონგრესმენები 3-ჯერ ვერ შეთანხმდნენ, რა შემთხვევაში შეიძლება აბორტის ღირებულება ანაზღაურებულიყო შეღავათიანი სამედიცინო დაზღვევის პროგრამით (Medicaid). საბოლოოდ დადგინდა – დაზღვევა მხოლოდ გაუპატიურებისა და ინცესტის შემდგომ აბორტებს ანაზღაურებდა. 1978 წელს კარტერმა ვეტოს უფლება ატომური ავიამზიდის ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმართ გამოიყენა. 1979 წელს კონგრესში 11 დღე კამათობდნენ აბორტების დაფინანსების გზებსა და კონგრესმენებისა და სხვა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეთა ხელფასების მომატებაზე.

რესპუბლიკელი რონალდ რეიგანი „მათდაუნის“ გამოცხადების რეკორდსმენია – 8. თუმცა, მათი დღიური ჯამი მხოლოდ 14 იყო. პირველად მას საბიუჯეტო ხარჯების შემცირება არ მოეწონა, მეორედ კონგრესმენებმა ბიუჯეტის შეთანხმება ვერ მოასწრეს, მესამედ უთანხმოება გამოიწვია ახალი სამუშაო ადგილების დაფინანსებამ და ქვეყნის სარაკეტო პროგრამამ, მეოთხედ განათლებაზე ხარჯებთან ერთად ვეტოს უფლება სირიისა და სალვადორისთვის ფინანსური დახმარების შემცირების გამო გამოიყენა. მეხუთე და მეექვსე ჯერზე საბიუჯეტო განხეთქილება სამართალდამცველებისა და წყალმომარაგებისთვის გასაწევმა ხარჯებმა გამოიწვია. მეშვიდე ვეტო რეიგანმა ბიუჯეტში შრომის რეგულირებისა და შშმ პირების მყოფი ოჯახებისთვის სოციალური უზრუნველყოფის საკითხების შეუთანხმებლობის გამო იხმარა, მერვედ კი ნიკარაგუაში ოპოზიციური მოძრაობის არასათანადო მხარდაჭერის გამო.

უფროსი ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობისას „მათდაუნი“ მხოლოდ ერთხელ გამოცხადდა. 1990 წლის ოქტომბერში ქვეყნის რესპუბლიკელი ლიდერი ბიუჯეტის შემდგენლებს დეფიციტის შემცირების ქმედითი ზომების გაუთვალისწინებლობას უწუნებდა.

ვეტოს გამოცხადების უფლება 2-ჯერ გამოიყენა დემოკრატმა ბილ კლინტონმა. 1995 წლის ნოემბერში მან ბიუჯეტს ხელი მანამ არ მოაწერა, ვიდრე Medicare-ს პროგრამაში გაზრდილი სადაზღვევო შენატანები არ შეამცირეს.

XXI საუკუნეში ვეტოს უფლებით პირველად ისარგებლა დემოკრატმა ბარაკ ობამამ. 2013 წლის 1 ოქტომბრიდან პარტიების წარმომადგენლები 16 დღის განმავლობაში ვერ თანხმდებოდნენ ჯანდაცვის რეფორმის დაფინანსებაზე. საბოლოოდ, Obamacare-მ დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანებისთვის ჯანმრთელობის დაზღვევაზე წვდომა საგრძნობლად გაზარდა.

ბოლოს, ისევ დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის პირველი ვადას მივუბრუნდეთ. მთავრობის მუშაობის შეჩერება ორჯერ გამოცხადდა – 2018 წლის დასაწყისსა და ბოლოს. პირველად, როდესაც მთავრობის მუშაობა მხოლოდ 5 საათით შეჩერდა, პარტიების წარმომადგენლები ვერ შეთანხმდნენ იმიგრაციის პოლიტიკის ზომებზე; მეორედ კი, მექსიკის საზღვარზე კედლის მშენებლობის დაფინანსებაზე.

რამ გაამოიწვია ყველაზე ხანგრძლივი ამერიკული „მათდაუნი“?

დავის მთავარი საგანი „ხელმისაწვდომი ჯანდაცვის კანონის“ (Affordable Care Act) ფარგლებში სუბსიდიების შენარჩუნებაა, რომლის ვადაც 2025 წლის ბოლოს იწურება. დემოკრატები აცხადებდნენ, რომ ისინი არ დაუჭერდნენ მხარს დაფინანსების კანონპროექტს შესაბამისი დებულებების გარეშე. გარდა ამისა, დემოკრატები დაჟინებით მოითხოვდნენ Medicaid-ის ჯანმრთელობის შეღავათიანი დაზღვევის პროგრამის, ასევე ჯანდაცვის ძირითადი სააგენტოების – დაავადებათა კონტროლის ცენტრების (Centers for Disease Control, CDC) და ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტების (National Institutes of Health, NIH) დაფინანსების შემცირების გაუქმებას.

2024 წლის არჩევნების შემდეგ, კონგრესის ორივე პალატა რესპუბლიკელების კონტროლქვეშ მოექცა. თუმცა, სენატში ბიუჯეტის მისაღებად 60 ხმა საჭირო – რესპუბლიკელებს მხოლოდ 53 აქვთ. მათ კატეგორიულად უარი თქვეს კომპრომისზე და შესთავაზეს ჯანდაცვის საკითხის ბიუჯეტისგან განცალკევებით განხილვა. დემოკრატები საკუთარ პოზიციაზე კაი ხანს იდგნენ, თუმცა, რამდენიმე მათგანი საბოლოოდ კომპრომისს დათანხმდა.

„მათ კანონპროექტში დემოკრატების წვლილის ნატამალიც არ არის. ჩვენ ეს აქამდე არასდროს გავიკეთებთ. როდესაც მე სენატის უმრავლესობის ლიდერი ვიყავი, ოთხჯერ მოლაპარაკება მოვაწვევთ რესპუბლიკელებთან და არასდროს გვექონია მათდაუნი“, – განაცხადა სენატში დემოკრატების ფრაქციის ლიდერმა ჩაკ შუმერმა.

დროებითი ბიუჯეტის მიღების რამდენიმე მცდელობა, რომლებიც „მათდაუნის“ გადაღებას ისახავდა მიზნად, წარუმატებელი აღმოჩნდა. ამ მიზნით რეზოლუცია წარმომადგენელთა პალატაში დამტკიცდა, თუმცა სენატში საჭირო ხმების მოპოვება ვერ მოხერხდა. The Hill-ი და NPR-ი აღნიშნავენ, რომ დემოკრატებმა თანაპარტიელების მხრიდან კრიტიკა დაიმსახურეს,

რესპუბლიკელების მიერ მთავრობის სექტემბრამდე დროებით დაფინანსების შესახებ რეზოლუციის მხარდაჭერის გამო.

„მათაუნამდე“ ორიოდე დღით ადრე, ამერიკის პრეზიდენტმა სენატსა და წარმომადგენელთა პალატაში ორივე პარტიის ლიდერთან შეხვედრა გამართა, თუმცა ეს შეხვედრა უშედეგო აღმოჩნდა. შუშერის თქმით, მან ტრამპს აცნობა, რომ ACA სუბსიდიების გაუქმება ამერიკელი ოჯახების ჯანდაცვის ხარჯებს თვეში საშუალოდ 400 დოლარით გაზრდის. როგორც გამოჩნდა, პრეზიდენტმა ეს რიცხვი პირველად გაიგონა, თუმცა, ტრამპისა და მისი თანაპარტიელების პოზიცია უცვლელი დარჩა. მეტიც, ვიცე-პრეზიდენტმა ჯ.დ. ვენსმა, რომელიც მოახლოებული „მათაუნით“ მანიპულირებდა, პოლიტიკური ოპონენტები „მთავრობის მძევლად აყვანაში“ დაადანაშაულა.

კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში „ლურჯების“ ლიდერმა ჰაკიმ ჯეფრისმა, პასუხისმგებლობა მმართველ პარტიას დააკისრა.

„თუ მათაუნი გამოცხადდება, ეს იმიტომ ხდება, რომ რესპუბლიკელებმა გადაწყვიტეს მთავრობის მუშაობის შეჩერება და ამერიკელი ხალხის საზიანო მოქმედება“, – განაცხადა მან 29 სექტემბრის საღამოს თეთრ სახლში გამართული შეხვედრის შემდეგ.

„მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება ამ შეხვედრიდან თავიდანვე არაფრის მოლოდინში იყო, შემდგომ გაკეთებული განცხადებების ტონალობა უფრო პოლიტიკური კრიზისის ნიშნებისკენ მიუთითებს. მხარეებს „მათაუნის“ თავიდან აცილების ნაცვლად ერთმანეთის დადანაშაულება უფრო ხიბლავდათ, ვიდრე მისი თავიდან აცილება“, – აღნიშნავს The Hill.

რისი მოლოდინი უნდა ჰქონდეთ ამერიკელებს

ტრამპის ადმინისტრაციამ ფედერალურ სააგენტოებს დაავალა, წინასწარ მოემზადებინათ მასობრივი გათავისუფლების გეგმები – უპრეცედენტო ზომა წინა „მათაუნებისგან“ განსხვავებით, როცა სახელმწიფო მოხელეებს ანაზღაურების გარეშე შვებულებაში უშვებდნენ. Washington Post-ის ინფორმაციით, შემცირებები არ შეეხებათ იმ უწყებებს, რომლებმაც დამატებითი დაფინანსება ტრამპის „დიდი ლამაზი ბილის“ (One Big Beautiful Bill Act – პრეზიდენტ ტრამპის მიერ ხელმოწერილი ფედერალური კანონი, რომელიც მოიცავს სავადასახადო შეღავათების, ხარჯვითი პოლიტიკისა და სოციალური პროგრამების ფართო ცვლილებებს) პროგრამის ფარგლებში მიიღეს. პირველ რიგში საუბარია თავდაცვისა და შიდა უსაფრთხოების სამინისტროებზე, ასევე მიგრაციულ სამსახურებზე.

გაზეთი აღნიშნავს, რომ დარჩენილი სააგენტოები შესაძლოა იძულებულნი გახდნენ, შეინარჩუნონ თანამშრომლების მინიმალური რაოდენობა მას შემდეგაც კი, რაც მთავრობა ნორმალურ ფუნქციობას დაუბრუნდება.

ამით პრაქტიკულად განხორციელდება სახელმწიფო აპარატის შემცირების ტრამპისეული გეგმა. თავად პრეზიდენტმა NBC News-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ გათავისუფლებებს შესაძლოა პერმანენტული ხასიათი მიეცეს. თუმცა იქვე დაამატა, რომ უმჯობესი იქნებოდა ამ პროცესის თავიდან აცილება.

უკვე დასრულებული „მათაუნისას“ საერთო ჯამში 4 მილიონამდე ამერიკელი სახელმწიფო მოხელე შრომის ანაზღაურების გარეშე დარჩა. აშშ-ის ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს სამინისტრომ თანამშრომლების 41% დაითხოვა უხელფასო შვებულებაში, დაავადებათა კონტროლის ცენტრებმა – 64%, ხოლო ჯანმრთელობის ეროვნულმა ინსტიტუტებმა – 75%.

პენტაგონის ცნობით, უწყების სამოქალაქო თანამშრომელთა თითქმის ნახევარი – 741,5 ათასიდან 334,9 ათასი – იძულებით შვებულებაში აღმოჩნდა. „მათაუნის“ გაგრძელების შემთხვევაში, ცნობილი იყო, რომ დარჩენილთაგან 182,7 ათასი თანამშრომელი სხვა წყაროებიდან მიიღებდა ანაზღაურებას, ხოლო კიდევ 223,9 ათას ადამიანს, ისევე როგორც 2 მილიონი სამხედრო მოსამსახურეს (ეროვნული გვარდიის წევრების ჩათვლით) უხელფასოდ მუშაობა მოუწევდათ.

როულ სიტუაციაში იყვნენ აშშ-ის იმიგრაციული და საბაჟო სამსახურები, პოლიციელები და ავიადისპეტჩერები. ამ უკანასკნელთა (სულ აშშ-ში 13 ათასი უხელფასოდ მომუშავე დისპეტჩერი დაითვალეს – ფ.კ.) პრობლემებს შეეხო 4 ნოემბრის საჯარო გამოსვლისას ქვეყნის ტრანსპორტის მინისტრი შონ დაფი. მისი რწმუნებით, თუ ერთ კვირაში „მათაუნი“ არ შეწყდება, დაიწყებდა ავიარეისების მასობრივად გადაღება. ბუნებრივია, ეს საავიაციო ქაოსს ნიშნავს, რასაც აშშ-ის საჰაერო სივრცის ნაწილობრივი დახურვაც მოჰყვებოდა.

კიდევ ერთი მინისტრი შეეხო სამთავრობო ვეტოთი დაზარალებულთა საკითხს. აშშ-ის ფინანსთა მინისტრ სკოტ ბესენტს განცხადების გაკეთება მას შემდეგ მოუწია, რაც „მათაუნის“ შეწყვეტის თაობაზე კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში ითქვა.

„გუიქრობ, რომ ნოემბრის დასაწყისში მათ ხელფასებს მივცემთ. თუ კიდევ გაგრძელდა კრიზისული სიტუაცია, 15 ნოემბრიდან ჩვენი ჯარისკაცები და სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც სიცოცხლის რისკის ფასად შრომობენ, ხელფასს ვეღარ მიიღებენ“, – განუცხადა ბესენტმა CBS-ს.

იყო სხვა არცთუ უმნიშვნელო პრობლემებიც. მცირე ბიზნესის ასოციაცია (Small Business Association) ვერ ახერხებდა მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის სესხების გაცემას პერსონალის დეფიციტის გამო. მათი სამსახურში დაბრუნების შემდეგაც კი, სესხების გაცემა მნიშვნელოვნად შეფერხდება „მათაუნისას“ დაგროვილი განაცხადების სიმრავლის გამო.

ასევე შეჩერებულია ბინათმშენებლობისთვის ფედერალური კრედიტების გაცემა. პარალიზებულია იმ კონტრაქტორებისთვის საქმიანობის საფასურის

გადახდა, ვინც სამთავრობო უწყებებში დამლაგებლებად და დაცვის თანამშრომლებად მუშაობენ. საჯარო მოხელეებისგან განსხვავებით, ისინი „შათდაუნის“ შემდეგ კომპენსაციას ვერ მიიღებენ.

სოციალური გადახდები და შეღავათები კვლავ ძალაშია, მაგრამ ამ სფეროში საჭირო ინფორმაციის თუნდაც ონლაინ მისაღებად, უფასოდ მომუშავე

მუშაკთა სიმცირის გამო, დიდი ძალისხმევაა საჭირო. ბედის ირონიით თუ სოციალური უსამართლობით კი, კონგრესის წევრები, რომელთა პარტიული შეუთანხმებლობა პლანეტის №1 ეკონომიკის ქვეყანას პოლიტიკურ-ეკონომიკურ კრიზისში ამყოფებდა, ჯამაგირს შეუფერხებლად იღებდნენ.

ფრიდონ კერგალიშვილი

ჩინეთში სანარმოო აქტივობა ისევ შემცირდა

ჩინეთის მასშტაბით სანარმოო აქტივობის ინდექსი ისევ შემცირდა. სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით, წარმოების ინდექსი (PMI) 49-იან ნიშნულს ჩამოსცდა დაეცა, რაც 6-თვიან მინიმუმს წარმოადგენს.

PMI ინდექსი აქტიურად გამოიყენება ჩინეთის ეკონომიკური აქტივობის შესაფასებლად, როდესაც მაჩვენებელი 50-ს აჭარბებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ეკონომიკა იზრდება, 50-ზე დაბალი მაჩვენებელი კი ეკონომიკური აქტივობის შემცირებაზე მიუთითებს.

წარმოების სექტორს ჩინეთის მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში ყველაზე დიდი, 28%-იანი წილი უჭირავს, შესაბამისად, მისი შემცირება ქვეყნის ეკონომიკაზე ნეგატიურად აისახება.

მდგომარეობის გაუარესება რიგი ფაქტორებითაა განპირობებული, მათ შორისაა: აშშ-ჩინეთის დაპირისპირება, ახალი ტარიფები და შეზღუდვები, რომელთა გამო ჩინურ პროდუქციაზე მოთხოვნა მცირდება.

აშშ და არგენტინა ახალ სავაჭრო შეთანხმებას დადებენ

ამერიკის შეერთებულ შტატები და არგენტინა ახალი სავაჭრო შეთანხმების დადებისთვის ემზადებიან. ჩარჩოდოკუმენტის მიხედვით, ოფიციალური ბუენოს-აირესი ამერიკული პროდუქტების დიდი ნაწილისთვის ბაზარს სრულად გახსნის. მათ შორის მედიკამენტებისთვის, ქიმიკატებისთვის, დანადგარებისთვის, IT პროდუქტებისა და სოფლის მეურნეობის ნაწარმისთვის. სანაცვლოდ, აშშ არგენტინას ტარიფებს რამდენიმე საიმპორტო პროდუქტზე, მათ შორის ბუნებრივ რესურსებსა და დაუპატენტებელ ფარმაცევტულ პროდუქტებზე გაუუქმებს.

ჩარჩოდოკუმენტზე შეთანხმებას როგორც თეთრ სახლში, ისე ბუენოს-აირესში დადებითად გამოეხმაურნენ. მხარეები აცხადებენ, რომ ახალი შეთანხმება ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას უზრუნველყოფს. ამასთან, ხელს შეუწყობს ინვესტიციებს მოზიდვას. გარიგების დაანონსების ფონზე, არგენტინის ხელისუფლებამ დადო პირობა, რომ სანარმოო სტანდარტებს ამერიკულს დაუახლოებს. მათ შორის, უზრუნველყოფს უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების შემოღებას და აკრძალავს ისეთი პროდუქტებით ვაჭრობას, რომელთა წარმოების პროცესშიც დასაქმებულთა უფლებები კრიტიკულად ირღვევა.

ქარხნები და DATA-ცენტრები მთვარეზე უნდა გადავიტანოთ – ჯეფ ბეზოსი

Amazon-ის და კოსმოსური სტარტაპი Blue Origin-ის დამფუძნებელი, ჯეფ ბეზოსი დედამიწის გადარჩენის გზად ქარხნების, სანარმოებისა და Data-ცენტრების მთვარეზე გადატანას ხედავს.

როგორც მილიარდერი მენარმე აღნიშნავს, „გეგმა B“ არ არსებობს და დედამიწის ჩანაცვლება შეუძლებელია, ამიტომ კაცობრიობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ კლიმატური ცვლილებით გამოწვეული რისკები მინიმუმამდე შეამციროს.

ბეზოსის აზრით, ტექნოლოგიური პროგრესი კოსმოსში ტვირთის გადატანას მნიშვნელოვნად გააიადებს და გაამარტივებს, ამიტომ მთვარეზე წარმოების გადატანა როგორც კომერციულად შესაძლებელი, ასევე გარემოსათვის გაცილებით უკეთესი იქნება.

ცხადია, Blue Origin-ის დამფუძნებელი აქ მრავალსაუკუნოვან პერსპექტივაზე საუბრობს და უახლოეს მომავალში მთვარეზე ქარხნების მოწყობას არ მოელოს.

BBC-მ დონალდ ტრამპს ბოდიში მოუხადა, თუმცა კომპენსაციის გადახდას არ აპირებს

ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაციამ (BBC) აშშ-ის მოქმედ პრეზიდენტს ფორმალურად ბოდიში მოუხადა. საქმე ეხება მაუწყებლის მიერ ტრამპის 2021 წლის 6 იანვრის სიტყვით გამოსვლის აუდიო მონტაჟს. კონკრეტულად, ტელეარხმა პრეზიდენტის მიერ დროის ორ სხვადასხვა მონაკვეთში წარმოთქმული ფრაზები ისე შეაერთა, რომ სხვა შინაარსის წინადადება გაჟღერებულიყო.

დამონტაჟებული კადრები BBC One-ის ეთერში, გადაცემა Panorama-ში გავიდა, დოკუმენტური ფილმის სათაური კი „Trump: A Second Chance?“ იყო. აღნიშნულ ვიდეოში ტელემაუწყებელმა ტრამპის მიერ წარმოთქმული

სამი ციტატა ამოიღო და ერთ წინადადებად გააერთიანა. ციტატების ამგვარი გადაადგილებით ისე გამოვიდა, თითქოს ტრამპმა თავის ამომრჩეველს პირდაპირი ძალადობისაკენ მოუწოდა, ხოლო ის ნაწილი, სადაც პრეზიდენტი მშვიდობიანი დემონსტრაციის აუცილებლობაზე საუბრობს, დოკუმენტურ ფილმში არ მოხვდა.

აღნიშნული შემთხვევის შემდგომ, აშშ-ის პრეზიდენტი ტელეკომპანიას ცილისწამების ბრალდებით სასამართლოში ჩივილით დაემუქრა. სკანდალის ფონზე თანამდებობა დატოვეს მაუნყებლის გენერალურმა დირექტორმა და ახალი ამბების დეპარტამენტის უფროსმა.

მიუხედავად იმისა, რომ მაუნყებელმა ბოდიში მოიხადა და სინანული გამოხატა, BBC-ში მიიჩნევენ, რომ ტრამპის მუქარა \$1 მილიარდიან სასამართლო დავასთან დაკავშირებით სრულიად უსაფუძვლოა.

ბალტიისპირეთისა და სკანდინავიის ქვეყნები უკრაინისთვის იარაღის შესაძენად \$500 მლნ-ს გამოყოფენ

ბალტიისპირეთისა და სკანდინავიის ქვეყნები უკრაინისთვის სამხედრო იარაღის შესაძენად, 500 მილიონ დოლარს გამოყოფენ. აღნიშნულს NATO-ს ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ.

გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, დანია, ესტონეთი, ფინეთი, ისლანდია, ლატვია, ლიეტუვა, ნორვეგია და შვედეთი „პრიორიტეტული საჭიროებების სიის“ (PURL) პროგრამის ინიციატივის ფარგლებში, უკრაინისთვის იარაღის შესაძენად 500 მილიონ დოლარს გამოყოფენ. ამ მექანიზმის ფარგლებში, ევროპელი მოკავშირეები იარაღს აშშ-სგან ყიდულობენ, შემდეგ კი კიევს გადასცემენ.

ნატოს გენერალური მდივანი, მარკ რუტე მიესალმა ამ განცხადებას და აღნიშნა: „ჩვენი ჩრდილოეთ და ბალტიის მოკავშირეები კიდევ ერთხელ აძლიერებენ მხარდაჭერას და აფინანსებენ უკრაინისთვის აუცილებელი სამხედრო აღჭურვილობის ახალ პაკეტს. ეს ტექნიკა უკიდურესად მნიშვნელოვანია უკრაინისთვის ზამთრის თვეების მოახლოებისას. PURL-ის მეშვეობით მიწოდებები უკვე უკრაინაში მიედინება. ნატოს მოკავშირეები განაგრძობენ აუცილებელი აღჭურვილობისა და მარაგების მიწოდებას“, – განაცხადა გენერალურმა მდივანმა.

ბრიტანეთის ეკონომიკა 0.1%-ით გაიზარდა

დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა მესამე კვარტალში მოსალოდნელზე ნაკლებად, 0.1%-ით გაიზარდა. ქვეყნის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, მთლიანი შიდა პროდუქტის მინიმალური ზრდა სერვისებისა და მშენებლობის სექტორებში დაფიქსირებული პოზიტიური დინამიკით იყო განპირობებული.

შედარებისთვის გეტყვი, რომ მესამე კვარტალთან მიმართებით ანალიტიკოსებს პოზიტიური მოლოდინები ჰქონდათ და ისინი ეკონომიკის 0.3%-იან ზრდას პროგნოზირებდნენ, თუმცა რეალური შედეგები მოსალოდნელზე უარესი აღმოჩნდა.

საერთო ჯამში, დიდ ბრიტანეთში არსებული რთული ეკონომიკური მდგომარეობა მკაცრ მონეტარულ პოლიტიკასთან, პოლიტიკურ არასტაბილურობასა და ბიზნესგარემოს გაუარესებასთან არის დაკავშირებული.

ინდოეთი „ტრამპის ტარიფებით“ დაზარალებულ კომპანიებს \$5.1 მილიარდით დაეხმარება

ინდოეთის მინისტრთა კაბინეტმა ფინანსური დახმარების პაკეტის გააქტიურებას მხარი დაუჭირა. სახელმწიფო სუბსიდიებით ის ინდური კომპანიები ისარგებლებენ, რომლებმაც ამერიკული ტარიფების გამო მნიშვნელოვნად იზარალებს. ზოგიერთი ინდური პროდუქტისათვის ახლად დაწესებული ტარიფების მოცულობა 50%-ს სცდება. კერძოდ, საუბარია ქსოვილებზე, ძვირფასეულობასა და ზღვის ნობათზე.

ინდოეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება ადგილობრივი მწარმოებლების ინტერესების დაცვისა და მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდას ისახავს მიზნად. საგულისხმოა, რომ დაწესებული ტარიფების გამო, ინდური კომპანიები შტატების ბაზარზე ვიეტნამურ და ბანგლადეშურ მწარმოებლებს ჩამორჩებიან.

დახმარების პაკეტის ღირებულება 450 მილიარდი ინდური რუპიაა, რაც ამერიკულ დოლარებში \$5.1 მილიარდს უდრის.

ამასთან, ინდოეთის კომერციისა და ინდუსტრიის სამინისტრო დაზარალებულ კომპანიებს საპროცენტო განაკვეთებს დაუსუბსიდირებს. ამასთან, დაიწყება დაკრედიტების ახალი პროგრამა, რომელიც ინდოელ მწარმოებლებზე იქნება გათვლილი და რომელიც სესხის მისაღებად აქტივების ჩადებას არ მოითხოვს.

საინტერესოა, რომ ინდოეთის ხელისუფლებამ კომპანიებს საერთაშორისო ბაზრების დივერსიფიკაციისკენაც მოუწოდა. როგორც ოფიციალურ დელიში განმარტავენ, სახელმწიფო ყველანაირად შეუწყობს ხელს არსებულ მწარმოებლებს, რომ ისეთ ახალ ბაზრებზე გავიდნენ, როგორებიცაა აფრიკა და სამხრეთ ამერიკა. ინდოეთის მთავრობის თქმით, ახალ ბაზრებზე შესვლით დაინტერესებულ სანარმოებს ისინი ბრენდინგის, შეფუთვისა და ლოგისტიკის საკითხებში დაეხმარებიან.

დახმარების პაკეტი ხაზს უსვამს ინდოეთის ხელისუფლების სურვილს, ადგილობრივმა სანარმოებმა საერთაშორისო ბაზარზე დაკარგული პოზიციები დაიბრუნონ და ზარალის ეფექტი შეამცირონ.

უცხოური ვალუტის კურსები

ოქტომბრის თვის ევროს საშუალო კურსი: **1 EURO=3.1640** ლარი

ვალუტა	ოქტომბერი, 2025 წელი														
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1 ბულგარული ლევი	1.6363	1.6350	1.6379	1.6344	1.6344	1.6344	1.6217	1.6191	1.6130	1.6111	1.6047	1.6047	1.6047	1.6061	1.6061
10 დანიური კრონი	4.2866	4.2824	4.2902	4.2813	4.2813	4.2813	4.2476	4.2424	4.2254	4.2207	4.2031	4.2031	4.2031	4.2059	4.2059
1 ევრო	3.1999	3.1968	3.2034	3.1967	3.1967	3.1967	3.1714	3.1672	3.1550	3.1517	3.1385	3.1385	3.1385	3.1411	3.1411
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3.6632	3.6725	3.6759	3.6649	3.6649	3.6649	3.6539	3.6463	3.6422	3.6291	3.6014	3.6014	3.6014	3.6150	3.6150
100 ისლანდიური კრონი	2.2504	2.2420	2.2526	2.2481	2.2481	2.2481	2.2336	2.2366	2.2282	2.2255	2.2163	2.2163	2.2163	2.2182	2.2182
100 სერბიული დინარი	2.7299	2.7281	2.7331	2.7280	2.7280	2.7280	2.7071	2.7031	2.6927	2.6899	2.6785	2.6785	2.6785	2.6804	2.6804
10 ნორვეგიული კრონი	2.7269	2.7397	2.7478	2.7366	2.7366	2.7366	2.7287	2.7281	2.7150	2.7097	2.6845	2.6845	2.6845	2.6909	2.6909
10 პოლონური ზლოტი	7.4911	7.5120	7.5231	7.5127	7.5127	7.5127	7.4574	7.4441	7.4218	7.4086	7.3706	7.3706	7.3706	7.3703	7.3703
10 რუმინული ლეი	6.2978	6.2901	6.3020	6.2759	6.2759	6.2759	6.2326	6.2195	6.1905	6.1868	6.1630	6.1630	6.1630	6.1725	6.1725
100 უნგრული ფორინტი	0.8192	0.8232	0.8241	0.8226	0.8226	0.8226	0.8148	0.8083	0.8040	0.8057	0.8037	0.8037	0.8037	0.8005	0.8005
10 შვედური კრონი	2.8904	2.8976	2.9155	2.9041	2.9041	2.9041	2.8855	2.8945	2.8789	2.8663	2.8462	2.8462	2.8462	2.8502	2.8502
1 შვეიცარიული ფრანკი	3.4159	3.4184	3.4259	3.4184	3.4184	3.4184	3.4048	3.4032	3.3910	3.3868	3.3644	3.3644	3.3644	3.3724	3.3724
10 ჩეხური კრონა	1.3145	1.3173	1.3212	1.3168	1.3168	1.3168	1.3043	1.3016	1.2947	1.2959	1.2911	1.2911	1.2911	1.2906	1.2906
1 აშშ დოლარი	2.7252	2.7258	2.7263	2.7238	2.7238	2.7238	2.7201	2.7130	2.7128	2.7125	2.7117	2.7117	2.7117	2.7111	2.7111
1 კანადური დოლარი	1.9580	1.9571	1.9563	1.9500	1.9500	1.9500	1.9482	1.9447	1.9452	1.9444	1.9342	1.9342	1.9342	1.9359	1.9359
1 ავსტრალიური დოლარი	1.8008	1.8023	1.8026	1.7991	1.7991	1.7991	1.7931	1.7887	1.7834	1.7886	1.7764	1.7764	1.7764	1.7679	1.7679
10 ეგვიპტური გირვანქა	0.5690	0.5695	0.5709	0.5704	0.5704	0.5704	0.5714	0.5703	0.5704	0.5704	0.5701	0.5701	0.5701	0.5684	0.5684
1 თურქული ლირა	0.0655	0.0655	0.0655	0.0653	0.0653	0.0653	0.0652	0.0651	0.0650	0.0650	0.0648	0.0648	0.0648	0.0649	0.0649
100 იაპონური იენი	1.8416	1.8534	1.8584	1.8488	1.8488	1.8488	1.8091	1.7999	1.7743	1.7762	1.7755	1.7755	1.7755	1.7816	1.7816
10 არაბეთის გაერთიანებული სამეფოს დირჰამი	7.4195	7.4212	7.4225	7.4159	7.4159	7.4159	7.4057	7.3863	7.3858	7.3850	7.3828	7.3828	7.3828	7.3812	7.3812
10000 ირანული რიალი	0.6489	0.6490	0.6491	0.6485	0.6485	0.6485	0.6476	0.6460	0.6459	0.6458	0.6456	0.6456	0.6456	0.6455	0.6455
10 ისრაელის შეკელი	8.2377	8.2219	8.2395	8.2347	8.2347	8.2347	8.2958	8.2842	8.2722	8.3624	8.3204	8.3204	8.3204	8.2754	8.2754
1 სინგაპურული დოლარი	2.1127	2.1147	2.1185	2.1129	2.1129	2.1129	2.1016	2.0992	2.0937	2.0935	2.0885	2.0885	2.0885	2.0880	2.0880
1 ქუვეითური დინარი	8.9175	8.9195	8.9182	8.9071	8.9071	8.9071	8.8863	8.8602	8.8451	8.8384	8.8329	8.8329	8.8329	8.8338	8.8338
10 ჩინური იუანი	3.8279	3.8276	3.8283	3.8248	3.8248	3.8248	3.8196	3.8096	3.8094	3.8078	3.8071	3.8071	3.8071	3.8012	3.8012
10 ჰონკონგური დოლარი	3.5027	3.5027	3.5039	3.5002	3.5002	3.5002	3.4947	3.4856	3.4856	3.4863	3.4845	3.4845	3.4845	3.4862	3.4862
100 ინდური რუპია	3.0692	3.0732	3.0738	3.0679	3.0679	3.0679	3.0636	3.0560	3.0551	3.0550	3.0574	3.0574	3.0574	3.0573	3.0573
1 ახალზელანდიური დოლარი	1.5790	1.5834	1.5897	1.5891	1.5891	1.5891	1.5809	1.5765	1.5661	1.5676	1.5590	1.5590	1.5590	1.5532	1.5532
100 რუსული რუბლი	3.3105	3.3665	3.3526	3.3152	3.3152	3.3152	3.2718	3.2974	3.3271	3.3359	3.3416	3.3416	3.3416	3.3584	3.3584
1 აზერბაიჯანული მანათი	1.6025	1.6028	1.6031	1.6022	1.6022	1.6022	1.6001	1.5959	1.5958	1.5956	1.5951	1.5951	1.5951	1.5942	1.5942
1 ბელარუსული რუბლი	0.9010	0.9050	0.9134	0.9114	0.9114	0.9114	0.9050	0.8927	0.8988	0.9005	0.9031	0.9031	0.9031	0.9049	0.9049
10 თურქმენული მანათი	7.7863	7.7880	7.7894	7.7823	7.7823	7.7823	7.7717	7.7514	7.7509	7.7500	7.7477	7.7477	7.7477	7.7460	7.7460
10 მოლდოვური ლეი	1.6316	1.6330	1.6306	1.6283	1.6283	1.6283	1.6246	1.6163	1.6034	1.6029	1.5970	1.5970	1.5970	1.6002	1.6002
1000 სომხური დრამი	7.1104	7.1099	7.1110	7.1025	7.1025	7.1025	7.0982	7.0765	7.0797	7.0826	7.0820	7.0820	7.0820	7.0852	7.0852
10 ტაჯიკური სომონი	2.8892	2.9019	2.9057	2.8953	2.8953	2.8953	2.8991	2.9065	2.8944	2.8945	2.8936	2.8936	2.8936	2.9164	2.9164
1000 უზბეკური სუმი	0.2256	0.2254	0.2256	0.2255	0.2255	0.2255	0.2261	0.2253	0.2249	0.2239	0.2235	0.2235	0.2235	0.2231	0.2231
10 უკრაინული გრივნა	0.6628	0.6613	0.6602	0.6601	0.6601	0.6601	0.6581	0.6566	0.6547	0.6534	0.6510	0.6510	0.6510	0.6516	0.6516
100 ყაზახური ტენგე	0.4962	0.4965	0.4984	0.4973	0.4973	0.4973	0.4999	0.5020	0.5022	0.5011	0.5041	0.5041	0.5041	0.5044	0.5044
100 ყირგიზული სომი	3.1234	3.1214	3.1229	3.1227	3.1227	3.1227	3.1158	3.1031	3.1094	3.1091	3.1080	3.1080	3.1080	3.1004	3.1004
10 სამხრეთ აფრიკული რანდი	1.5770	1.5856	1.5865	1.5802	1.5802	1.5802	1.5749	1.5788	1.5806	1.5867	1.5735	1.5735	1.5735	1.5661	1.5661
1 ზრახილიური რიალი	0.5120	0.5122	0.5116	0.5102	0.5102	0.5102	0.5096	0.5108	0.5070	0.5076	0.5050	0.5050	0.5050	0.4911	0.4911
10 კატარული რიალი	7.4757	7.4780	7.4792	7.4721	7.4721	7.4721	7.4617	7.4425	7.4413	7.4411	7.4391	7.4391	7.4391	7.4372	7.4372
1000 სამხრეთ კორეული ვონი	1.9409	1.9398	1.9441	1.9375	1.9375	1.9375	1.9230	1.9205	1.9033	1.9121	1.9073	1.9073	1.9073	1.8995	1.8995

უცხოური ვალუტის კურსები

ოქტომბრის თვის აშშ დოლარის საშუალო კურსი: **1 USD=2.7160** ლარი.

ვალუტა	ოქტომბერი, 2025 წელი															
	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31
1 ბულგარული ლევი	1.6112	1.6147	1.6198	1.6198	1.6198	1.6136	1.6098	1.6061	1.6119	1.6174	1.6174	1.6174	1.6161	1.6224	1.6163	1.6115
10 დანიური კრონი	4.2188	4.2285	4.2414	4.2414	4.2414	4.2257	4.2141	4.2049	4.2202	4.2355	4.2355	4.2355	4.2319	4.2491	4.2336	4.2200
1 ევრო	3.1508	3.1582	3.1680	3.1680	3.1680	3.1560	3.1475	3.1407	3.1522	3.1638	3.1638	3.1638	3.1610	3.1740	3.1621	3.1514
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3.6205	3.6408	3.6389	3.6389	3.6389	3.6328	3.6260	3.6085	3.6290	3.6280	3.6280	3.6280	3.6232	3.6265	3.5898	3.5766
100 ისლანდიური კრონი	2.2253	2.2335	2.2309	2.2309	2.2309	2.2287	2.2229	2.2150	2.2168	2.2218	2.2218	2.2218	2.2105	2.2196	2.2080	2.1945
100 სერბიული დინარი	2.6890	2.6950	2.7029	2.7029	2.7029	2.6929	2.6857	2.6788	2.6885	2.6981	2.6981	2.6981	2.6954	2.7059	2.6967	2.6877
10 ნორვეგიული კრონი	2.6858	2.6921	2.6870	2.6870	2.6870	2.6913	2.6950	2.6987	2.7228	2.7228	2.7228	2.7228	2.7124	2.7225	2.7177	2.7022
10 პოლონური ზლოტი	7.4009	7.4314	7.4475	7.4475	7.4475	7.4370	7.4252	7.4230	7.4449	7.4617	7.4617	7.4617	7.4655	7.4904	7.4613	7.4270
10 რუმინული ლეი	6.1919	6.2075	6.2252	6.2252	6.2252	6.2008	6.1908	6.1793	6.2027	6.2245	6.2245	6.2245	6.2168	6.2429	6.2207	6.1965
100 უნგრული ფორინტი	0.8067	0.8107	0.8102	0.8102	0.8102	0.8101	0.8083	0.8073	0.8071	0.8120	0.8120	0.8120	0.8114	0.8170	0.8145	0.8115
10 შვედური კრონი	2.8576	2.8695	2.8625	2.8625	2.8625	2.8711	2.8777	2.8724	2.8874	2.9010	2.9010	2.9010	2.8947	2.9053	2.9016	2.8814
1 შვეიცარიული ფრანკი	3.3847	3.4005	3.4308	3.4308	3.4308	3.4152	3.4101	3.4005	3.4068	3.4209	3.4209	3.4209	3.4111	3.4289	3.4104	3.3949
10 ჩეხური კრონა	1.2983	1.3005	1.3031	1.3031	1.3031	1.2989	1.2939	1.2920	1.2967	1.3003	1.3003	1.3003	1.3000	1.3049	1.3002	1.2938
1 აშშ დოლარი	2.7108	2.7095	2.7079	2.7079	2.7079	2.7076	2.7110	2.7105	2.7200	2.7241	2.7241	2.7241	2.7152	2.7212	2.7154	2.7139
1 კანადური დოლარი	1.9306	1.9300	1.9293	1.9293	1.9293	1.9297	1.9291	1.9336	1.9433	1.9426	1.9426	1.9426	1.9425	1.9444	1.9483	1.9450
1 ავსტრალიური დოლარი	1.7666	1.7633	1.7515	1.7515	1.7515	1.7578	1.7584	1.7599	1.7691	1.7698	1.7698	1.7698	1.7804	1.7848	1.7927	1.7819
10 ეგვიპტური გირვანქა	0.5691	0.5694	0.5692	0.5692	0.5692	0.5700	0.5701	0.5699	0.5715	0.5725	0.5725	0.5725	0.5723	0.5747	0.5740	0.5746
1 თურქული ლირა	0.0648	0.0647	0.0645	0.0645	0.0645	0.0645	0.0646	0.0646	0.0648	0.0649	0.0649	0.0649	0.0647	0.0648	0.0647	0.0646
100 იაპონური იენი	1.7907	1.7921	1.8077	1.8077	1.8077	1.7963	1.7841	1.7857	1.7813	1.7810	1.7810	1.7810	1.7772	1.7920	1.7830	1.7631
10 არაბეთის გაერთიანებული სამეფოს დირჰამი	7.3803	7.3770	7.3726	7.3726	7.3726	7.3718	7.3809	7.3795	7.4054	7.4166	7.4166	7.4166	7.3925	7.4087	7.3929	7.3890
10000 ირანული რიალი	0.6454	0.6451	0.6447	0.6447	0.6447	0.6447	0.6455	0.6454	0.6476	0.6486	0.6486	0.6486	0.6465	0.6479	0.6465	0.6462
10 ისრაელის შეკელი	8.2305	8.2111	8.1485	8.1485	8.1485	8.1788	8.2321	8.2199	8.2203	8.2747	8.2747	8.2747	8.3342	8.3611	8.3530	8.3458
1 სინგაპურული დოლარი	2.0912	2.0915	2.0922	2.0922	2.0922	2.0915	2.0891	2.0868	2.0925	2.0961	2.0961	2.0961	2.0944	2.1021	2.0978	2.0883
1 ქუვეითური დინარი	8.8328	8.8604	8.8580	8.8580	8.8580	8.8484	8.8479	8.8405	8.8715	8.8820	8.8820	8.8820	8.8558	8.8725	8.8507	8.8458
10 ჩინური იუანი	3.8037	3.8023	3.7999	3.7999	3.7999	3.8012	3.8077	3.8041	3.8183	3.8248	3.8248	3.8248	3.8216	3.8329	3.8246	3.8161
10 ჰონკონგური დოლარი	3.4872	3.4861	3.4862	3.4862	3.4862	3.4848	3.4887	3.4885	3.5000	3.5060	3.5060	3.5060	3.4957	3.5023	3.4946	3.4936
100 ინდური რუპია	3.0781	3.0851	3.0781	3.0781	3.0781	3.0792	3.0830	3.0825	3.0961	3.1008	3.1008	3.1008	3.0769	3.0831	3.0786	3.0596
1 ახალზელანდიური დოლარი	1.5519	1.5544	1.5514	1.5514	1.5514	1.5515	1.5496	1.5569	1.5618	1.5645	1.5645	1.5645	1.5645	1.5715	1.5709	1.5646
100 რუსული რუბლი	3.4281	3.4290	3.3354	3.3354	3.3354	3.3425	3.3320	3.3156	3.3447	3.3608	3.3608	3.3608	3.4240	3.4004	3.3985	3.3656
1 აზერბაიჯანული მანათი	1.5940	1.5933	1.5923	1.5923	1.5923	1.5921	1.5941	1.5938	1.5994	1.6024	1.6024	1.6024	1.5966	1.6005	1.5971	1.5962
1 ბელარუსული რუბლი	0.9139	0.9195	0.9183	0.9183	0.9183	0.9076	0.9071	0.9102	0.9077	0.9131	0.9131	0.9131	0.9111	0.9297	0.9190	0.9196
10 თურქმენული მანათი	7.7451	7.7414	7.7369	7.7369	7.7369	7.7360	7.7457	7.7443	7.7714	7.7831	7.7831	7.7831	7.7577	7.7749	7.7583	7.7540
10 მოლდოვური ლეი	1.6039	1.6033	1.6052	1.6052	1.6052	1.6026	1.5989	1.5923	1.5909	1.5912	1.5912	1.5912	1.5925	1.6007	1.5985	1.5988
1000 სომხური დრამი	7.0871	7.0838	7.0813	7.0813	7.0813	7.0809	7.0830	7.0863	7.1133	7.1265	7.1265	7.1265	7.0939	7.1124	7.0967	7.0942
10 ტაჯიკური სომონი	2.9172	2.9189	2.9334	2.9334	2.9334	2.9210	2.9246	2.9263	2.9488	2.9382	2.9382	2.9382	2.9251	2.9247	2.9182	2.9162
1000 უზბეკური სუმი	0.2217	0.2226	0.2235	0.2235	0.2235	0.2244	0.2256	0.2241	0.2243	0.2248	0.2248	0.2248	0.2250	0.2265	0.2265	0.2258
10 უკრაინული გრივნა	0.6491	0.6507	0.6491	0.6491	0.6491	0.6484	0.6493	0.6490	0.6492	0.6484	0.6484	0.6484	0.6452	0.6466	0.6462	0.6463
100 ყაზახური ტენგე	0.5026	0.5043	0.5036	0.5036	0.5036	0.5032	0.5032	0.5032	0.5052	0.5059	0.5059	0.5059	0.5051	0.5095	0.5150	0.5114
100 ყირგიზული სომი	3.1003	3.0988	3.0969	3.0969	3.0969	3.1033	3.1072	3.1066	3.1148	3.1195	3.1195	3.1195	3.1120	3.1122	3.1122	3.1105
10 სამხრეთ აფრიკული რანდი	1.5655	1.5650	1.5523	1.5523	1.5523	1.5638	1.5651	1.5531	1.5665	1.5708	1.5708	1.5708	1.5781	1.5777	1.5878	1.5714
1 ბრაზილიური რიალი	0.4943	0.4968	0.4973	0.4973	0.4973	0.5005	0.5044	0.5031	0.5036	0.5060	0.5060	0.5060	0.5038	0.5064	0.5068	0.5062
10 კატარული რიალი	7.4362	7.4329	7.4270	7.4270	7.4270	7.4276	7.4353	7.4358	7.4619	7.4723	7.4723	7.4723	7.4489	7.4654	7.4497	7.4449
1000 სამხრეთ კორეული ვონი	1.9045	1.9124	1.9030	1.9030	1.9030	1.9035	1.8938	1.8930	1.8882	1.8930	1.8930	1.8930	1.8959	1.8958	1.9119	1.8967